საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 105-106 (384-385) ოთხშაბათი, 17 ივნისი, 1992 წელი ფასი 3 მანეთი

რაოდენ პატარაც უნდა იყოს საქართველო, იგი არავის არ მისცემს უფლებას, რომ ელაპარაკოს იმპერიული დიქტატის ენით!

მიმართვა რუსეთის მოქალაქეებს, სახალხო დეპუტატებს

პატივცემულო რუსეთის მოქალაქენო, რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატებო!

ჩვენი მომართვა თქვენდამი ნაკარნახევია საქართველო-რუსეთის მომავალი ურთიერთობის გამო, საქართველოსა და რუსეთის ხალხთა მრავალსაუკუნოვანი კავშირის ბედის გამო შეშფოთების გრძნობით. ჩვენ შეგნებული გვაქვს, თუ რაოდენ უპრეცედენტოა ასეთი მიმართვა, მაგრამ ეს მასშტაბი მისთვის ჩვენ არ მიგვინიჭებია. არჩევანი მასშტაბისა — რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისადმი — ეკუთვნის რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს რ. ხასბულატოვს, რომელმაც თავის ამა წლის 15 ივნისის მიმართვაში თქვენდამი არსებითად სცადა ჩვენი ხალხების გადაკიდება. დიახ, სწორედ ასე, რამეთუ, დაასახელა რა ცხინვალის რეგიონში კონფლიქტი როგორც სამხრეთელ ოსთა ეთნოსის გენოციდი და „თავისი ისტორიული სამშობლოდან მასობრივი გაძევება", ამით მან ნებსით თუ უნებლიედ სისხლისღვრის გაგრძელებისათვის ბრალი დააკისრა მთელ ქართველ ხალხს. შეუძლებელია რაიმე სხვა დასკვნის გამოტანა რ. ხასბულატოვის იმ აშკარა მუქარის გამო, რომ განიხილავს რუსეთის პარლამენტში „რუსეთის ფედერაციასთან სამხრეთ ოსეთის" შეერთების, სხვაგვარად რომ ვთქვათ ქართველი ხალხისათვის მისი სასიცოცხლო ისტორიული არეალის მნიშვნელოვანი ნაწილის წართმევის საკითხს. ამით არსებითად დაშვებულია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილის ანექსიის შესაძლებლობა, რაც სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპისა და საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმების უხეში დარღვევაა.

საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე განვაცხადოთ, რომ ამგვარი მიმართვები რუსეთის იმ ზოგიერთი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის ცნობილ განცხადებებთან ერთ რიგში დგას, რომლებმაც მხარი დაუჭირეს საქართველოს ეკონომიკურ ბლოკადას, რაც მხოლოდ ხელს უწყობს კონფლიქტურ რეგიონში დაძაბულობის გაძლიერებას და ეროვნებათაშორის და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობის გაუარესებას.

ყოველივე ამაში აშკარად ჩანს თვითმპყრობელური იმპერიული აზროვნების ნიშნები, იმ დროის გამოძახილი, როცა სახელმწიფოები ძალის პოზიციიდან უკარნახებდნენ თავიანთ ნებას პატარა სახელმწიფოებს.

ასეთია რ. ხასბულატოვის განცხადების ჩვენეული შეფასება. სახელმწიფო საბჭო ახლავე გარკვევით გამოხატავს, რომ არ სურს ჩაება დისკუსიაში რუსეთის პარლამენტის სპიკერთან, ჩვენს მიზნად მიგვაჩნია თავიდან ავიცილოთ მოვლენათა საშიში განვითარება, რომელიც პროვოკაციულად შეიძლება გამოიწვიოს ამ აშკარად გაუაზრებელმა, ნაჩქარევმა და ჩვენი ხალხისათვის უაღრესად შეურაცხმყოფელმა დოკუმენტმა. სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ ზოგიერთმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებამ სასწრაფოდ გააუწყა საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში წარმოქმნილი დაძაბულობა.

ეს ხდება იმ დროს, როცა ჩვენ და რუსეთის პრეზიდენტმა ბ. ელცინმა მივაღწიეთ თანხმობას ჩვენს ქვეყნებს შორის დიდი ხელშეკრულების დადების საკითხზე, როცა რუსეთის სახელმწიფოს მეთაურმა გამოთქვა სურვილი პირადად მიიღოს მონაწილეობა ცხინვალში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესში, როცა თბილისში ბ. ელცინის დავალებით იმყოფება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია, რომელმაც ჩამოგვიტანა წინადადება ჩვენ შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

განცხადება-ულტიმატუმი გაისმის იმ დღეებში, როცა თბილისში ყოფილი კავშირის ყველა კუთხიდან ჩამოსული ავღანელი მეომრები განიხილავენ შინაური კონფლიქტების მოწესრიგებაში მონაწილეობის საკითხებს, იქმნება ერთობლივი მრავალეროვნული სამშვიდობო ქვეგანაყოფი, რომლის მიზანია შეაჩეროს ცეცხლი და სისხლისღვრა ცხინვალის რეგიონში.

გვინდა ვუთხრათ რუსეთის დემოკრატიულ საზოგადოებრიობას, რომ ვეთანხმებით უძველეს ჭეშმარიტებას: „დამნაშავე არიან ადამიანები — პასუხს აგებს ხალხი". მაგრამ ამავე დროს ჩვენი ხალხი ის ადამიანებია, რომლებსაც სურთ ოსებთან იცხოვრონ მშვიდობიანად, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისამებრ.

განსაკუთრებით ის გვაკვირვებს, რომ რუსეთის პარლამენტის სპიკერმა ხმა აღიმაღლა მაშინ, როცა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა გახდა. რუსეთის ყველა პატიოსან ადამიანს გვსურს ვუთხრათ, რომ 15 ივნისის განცხადებაში უხეშად არის დამახინჯებული ცხინვალის რეგიონში საქმის ვითარების რეალური სურათი. ერთი სიტყვაც არ თქმულა ჩვენს სამშვიდობო ძალისხმევაზე, გამსახურდიას რეჟიმის დამხობის შემდეგ რომ ვიწყეთ; იმაზე, რომ კონფლიქტის ზონიდან რუსეთის შინაგანი ჯარების გაყვანის შემდეგ თავი შევიკავეთ მათი საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაწილებით შეცვლისაგან, რის შემდეგადაც მათი პოზიციები [illegible] შეიარაღებულმა ფორმირებებმა დაიკავეს.

15 ივნისის განცხადებაში ყურადღება გამახვილებულია „რუსეთის ჯარების მცირე კონტინგენტის მიმართ დაწოლაზე", მაგრამ ერთი სიტყვაც არ თქმულა იმაზე, რომ ოსი ექსტრემისტები დაესხნენ თავს ინჟინერ-მესანგრეთა პოლკს და ხელთ იგდეს მისი სამხედრო ქონება. ახლავე არაფერი თქმულა რუსეთის ტერიტორიიდან კონფლიქტის ზონაში შემოტანილ საბრძოლო ტექნიკაზე და „მოხალისეებზე", რომლებიც „რუსეთის სამხრეთ საზღვრებს იცავენ ცხინვალში". კრინტიც არ დაუძრავთ ასობით მოკლულ, დასახიჩრებულ, დამწვარ ქართველზე, ათობით ნაცარტუტად ქცეულ სოფელზე, ათასობით ქართველ ლტოლვილზე, რომლებიც, ისევე როგორც ოსები გადახვეწილი არიან თავიანთი დანგრეული მამაპაპური კერებიდან.

ახლავე არ არის ნახსენები საქართველოს ხელმძღვანელობის ძალისხმევა ყველა ლტოლვილის, განურჩევლად მათი ეროვნებისა, მკვიდრ ადგილებში დაბრუნებისათვის, დუმილი ამჯობინეს.

ლტოლვილები დაბრუნდებიან. დაბრუნდება მშვიდობა ამ მრავალტანჯულ მიწაზე.

ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ ეს მოხდეს. საქართველოს სურს გაგრძელდეს ყველაზე კეთილი ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის. ჩვენ ვთხოვთ ყველას, დაგვეხმარონ, მხარი დაგვიჭირონ ამ საქმეში. მაგრამ, მოდი ნურავის ნუ შეეშლება: რაოდენ პატარაც უნდა იყოს საქართველო, იგი არავის არ მისცემს უფლებას, რომ ელაპარაკოს იმპერიული დიქტატის ენით. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთს აქვს თავისი საშინაო პრობლემები, მაგრამ ისინი არ უნდა გადაიჭრას სხვის ხარჯზე. ჩვენს მიერ დაწყებული მოლაპარაკების პროცესი ოსეთის მხარესთან წარიმართება რეგიონში საქმის ვითარებისათვის ორი ხალხის პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. უხეში ჩარევა ამ პროცესში უთუოდ უკუშედეგებს მოგვიტანს. მაგალითი ყველას თვალწინ არის და სულ იოლი დასანახია ასეთ ჩარევათა შედეგები — ჩვენი საზღვრების უშუალო სიახლოვეს ბობოქრობენ გარეშე ძალების მიერ გაჩაღებული კონფლიქტები.

ჩვენ თვითონ უნდა გავაკეთოთ ის, რაც გვევალება, რეალობად ვაქციოთ ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის ჩვენი პოლიტიკა, რადგან ეს თუ არ მოვიმოქმედეთ, ვერ განვახორციელებთ ჩვენს ოცნებას თავისუფალ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოზე. და ამ საქმეში პროგრესული დემოკრატიული რუსეთის მხარდაჭერის დიდი იმედი გვაქვს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს სახელით:

ედუარდ შევარდნაძე,
სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე,
ვახტანგ გოგუაძე,
სახელმწიფო საბჭოს მდივანი.

1992 წლის 16 ივნისი.

კიდევ ერთი ფალია, რომელიც მიაქვთ დენთის კასრთან

რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ რ. ხასბულატოვმა გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

პატივცემულო რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებო.

როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული მრავალი ცნობიდან შეიტყვეთ, რუსეთის რამდენიმე მოსაზღვრე რეგიონში უაღრესად რთული ვითარება შეიქმნა. ერთ-ერთი ყველაზე კრიზისული სიტუაცია, რომელიც სისხლისმღვრელ შეტაკებებში გადაიზარდა, სამხრეთ ოსეთშია. საქართველოს ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე, მათ კონტროლს დაქვემდებარებული შეიარაღებული ფორმირებები დაადგნენ საქართველოში მათი ისტორიული სამშობლოდან სამხრეთ ოსების გამოდევნის ოდიოზურ კურსს. სამხრეთ ოსეთის სოფლებს, ქალაქ ცხინვალს განუწყვეტლივ უშენენ ყოველგვარი იარაღის, მათ შორის არტილერიის ცეცხლს, იყენებენ სარაკეტო ტექნიკასაც.

რუსეთის პრეზიდენტსა და საქართველოს ხელმძღვანელობას შორის ამ ცოტა ხნის წინათ მიღწეული მორიგებანი სისხლისღვრის შეჩერებისა და მოლაპარაკების დაწყების შესახებ, რომელშიც ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთიც მონაწილეობდა, ცინიკურად დაარღვიეს საქართველოს შეიარაღებულმა ფორმირებებმა, რომლებმაც კიდევ უფრო გააძლიერეს ცეცხლი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. ამავე დროს სულ უფრო მეტად უტევენ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სამშვიდობო მიზნით მყოფი რუსეთის საჯარისო ნაწილების მცირე კონტინგენტს, არის მათთვის ცეცხლის დაშენის შემთხვევები. რასაც სასიკვდილო შედეგი მოჰყოლია, აგრეთვე სამხედრო ტექნიკისა და ქონების საწყობებზე თავდასხმები.

რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატთა ყრილობებზე, უზენაესი საბჭოს სესიებზე არაერთგზის განხილულა სამხრეთ ოსეთის პრობლემა, რადგან ათიათასობით ლტოლვილი დაიძრა ჩრდილოეთ ოსეთის მჭიდროდ დასახლებული რაიონებისკენ, რითაც ობიექტურად იქმნება იქ მძლავრი სოციალური აფეთქების პირობები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს პრობლემა უშუალოდ ეხება რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ინტერესებს, სახალხო დეპუტატთა ყრილობებსა და უზენაეს საბჭოს არაერთგზის მიუღიათ გადაწყვეტილებები, რომლებშიც საქართველოს ხელისუფალთა ყურადღება ეპყრობოდა იმას, თუ რაოდენ შეუწყნარებელია სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის განდევნა რუსეთში, კერძოდ, ჩრდილოეთ ოსეთში. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ასეთი მოქმედება უნდა შეფასდეს როგორც გენოციდი და თავისი ისტორიული სამშობლოდან სამხრეთოსური ეთნოსის მასობრივი განდევნა. რუსეთის უზენაეს საბჭოს, რომელიც ცდილობს ეს პრობლემა საქართველოსთან უკონფლიქტო საფუძველზე გადაჭრას, მრავალი საუკუნის განმავლობაში რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა რომ აქვს, არ განუხილავს სამხრეთ ოსეთის ოფიციალური მიმართვა რუსეთის ფედერაციასთან მისი შეერთების შესახებ.

შექმნილ პირობებში კი, როცა აშკარაა ზრახვა საქმით განხორციელდეს „მომხდარი ფაქტების" პოლიტიკა მთელი ხალხის განდევნისა და მისი ავტონომიის მოსპობის გზით, რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭო შეიძლება აღმოჩნდეს ისეთ პირობებში, როცა იძულებული გახდება დაუყოვნებლივ განიხილოს ეს საკითხი სამხრეთ ოსეთის ხალხის სურვილისა და რუსეთის პარლამენტში მის ხელისუფალთა მიმართვის შესაბამისად, თუ საქართველოს მხარეს არ სურს მოვლენათა განვითარება ასეთი მიმართულებით, მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეწყდეს ცეცხლი, გამოიჩინონ ვაჟკაცობა და მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას. ნუთუ საქართველოს ხელმძღვანელებს არა აქვთ შეგნებული, რომ გენოციდის პოლიტიკა და პრაქტიკა, რუსეთთან ურთიერთობის გართულება და პროვოცირება ჩირქს სცხებს თვით ქართველ ხალხს, რომლის ვაჟკაცობა, სიკეთე და სამართლიანობა არასოდეს ყოფილა საეჭვო.

ამავე დროს მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეწყდეს პროვოკაციები სამხრეთ ოსეთში რუსი ჯარისკაცებისა და ოფიცრების მიმართ, რომლებიც მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის მხედრულ მოვალეობას იხდიან. ვაფრთხილებთ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთს შეუძლია დაუყოვნებლივ იღონოს ყველაფერი თავისი მოქალაქეების დასაცავად მათი სიცოცხლის დანაშაულებრივი ხელყოფის წინააღმდეგ და გააუვნებლოს ბანდიტთა ის ჯგუფები, რომლებიც დამიზნებით უშენენ ცეცხლს როგორც რუს მეომრებს, ისევე მშვიდობიან მოსახლეობას.

საქართველოს მხარემ უნდა შეიგნოს: რუსეთის ტერიტორიაზე მყოფი უკლებლივ ყველა ლტოლვილი უნდა დაუბრუნდეს მშობლიურ ადგილებს და სრულიად უაზრო სისხლისღვრა ყოვლად აუხდენელი ზრახვების გულისთვის.

რ. ხასბულატოვის განცხადება განმარტა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ:

წავიკითხე რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის განცხადება მას შემდეგ, რაც გავეცანი ცნობას დასავლეთ საქართველოდან რკინიგზის ლიანდაგების აფეთქებისა და დივერსიების ადგილზე დაგროვილი 15 სამგზავრო შემადგენლობის შესახებ. იძულებული გავხდი თავი მიმენებებინა ამ საქმის მოგვარებისთვის, რათა განმემარტა რ. ი. ხასბულატოვის დემარში.

ორი დღის წინათ თბილისის მჭიდროდ დასახლებულ რაიონში მოხდა ტერორისტული აქტი, დაიღუპნენ მშვიდობიანი მოქალაქეები, მათ შორის — ბავშვები და ქალები? იმავე დღეს გორში გვარდიელებსა და სატანკო პოლკის სამხედრო მოსამსახურეებს შორის მომხდარი შეტაკების შედეგად, კვლავ დაიღვარა სისხლი. ყოველივე ეს — სისხლისღვრა, არეულობა, ანარქია, ქაოსი, რომლებიც ინსპირირებულია დემოკრატიული საქართველოს მოწინააღმდეგეთა მიერ, გვაიძულებს ვიმოქმედოთ ძალების უკიდურესი დაძაბვით. ჩვენ ძალ-ღონეს არ ვიშურებთ იმისთვის, რომ ჩავაქროთ უაზრო კონფლიქტის ალი ცხინვალის რეგიონს რომ მოსდებია.

ამ სიტუაციასთან კონტექსტში რ. ი. ხასბულატოვის განცხადება, მიმართული რუსეთის მოქალაქეებისადმი, წააგავს კიდევ ერთ ფალიას, რომელიც მიაქვთ დენთით სავსე კასრთან.

შეუძლებელია განცხადების ავტორმა არ იცოდეს, რომ იმას, რაც ახლა საქართველოში ხდება ღრმად აქვს გადგმული ფესვი წარსული რეჟიმის პოლიტიკაში. ჩვენს მისწრაფებას, ბოლო მოვუღოთ ამ მემკვიდრეობას, ყოველმხრივ მხარდაჭერა სჭირდება. ამის ნაცვლად რუსეთის პარლამენტის მეთაური აკეთებს განცხადებას, რომელსაც მე ვაფასებ როგორც პოპულისტურსა და დემაგოგიურს, გაანგარიშებულს ცნობილი წრეებისთვის, ასე აშკარად რომ წამოყვეს ახლა თავი.

რ. ი. ხასბულატოვის განცხადება შეურაცხმყოფელია სუვერენული, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკისთვის, რომლის მიმართ არც რუსეთს, არც სხვა რესპუბლიკებს არ შეიძლება ჰქონდეთ რაიმე ტერიტორიული პრეტენზიები.

რ. ი. ხასბულატოვის განცხადება წყალს უშვებს ექსტრემიზმის წისქვილზე, იმის მიუხედავად, თუ როგორ ეროვნულ სამოსელშია გამოწყობილი.

ეს არის პირდაპირი ხელშეწყობა იმ ძალებისთვის, რომლებიც აყალიბებენ „მოხალისეთა" ეგრეთ წოდებულ ლეგიონებსა და რაზმებს და გზავნიან მათ კონფლიქტის ზონაში, ისევე როგორც დეპუტატთა დელეგაციებს, არად აგდებენ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იურისდიქციის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიის ხელშეუვალობის პრინციპებს.

ასეთმა განცხადებებმა შეიძლება ჩაშალოს მოლაპარაკების ის პროცესი, რომელშიც მონაწილეობისთვის ჩვენ მოვიწვიეთ რუსეთიც, რასაც მხარი დაუჭირა თვით პრეზიდენტმა ბ. ნ. ელცინმა.

ედუარდ შევარდნაძე,
1992 წლის 15 ივნისი. 17 საათი და 30 წუთი.

წუხელ შევიტყვეთ

წერილი იტალიიდან

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ჯაბა იოსელიანმა იტალიის ქალაქ ნოვარადან მიიღო იტალიის მოქალაქის, ამნესტი ინტერნაციონალის წევრის მარია ალესანდრა ალესანდრის წერილი, რომელშიც კერძოდ ნათქვამია: „მივესალმები 1991 წლის აპრილში სიკვდილით დასჯის მუხლის გაუქმებას. ამნესტი ინტერნაციონალს სწამს, რომ ნებისმიერი ჩადენილი დანაშაულისთვის სიკვდილით დასჯა ადამიანის ძირითადი უფლების დარღვევაა.

მოვუწოდებ საქართველოს შეუერთდეს ევროპაში სიკვდილით დასჯის გაუქმების ტენდენციას, როგორც სიცოცხლის პატივისცემის, თავმოყვარეობისა და საკუთარ მოქალაქეთა უფლებების დაცვის ნიშანს".

თავდასხმები პოლიციის მუშაკებზე

ცხინვალის რეგიონში ბოლო სამი დღის განმავლობაში შედარებით სიმშვიდე იყო.

16 ივნისს დილის 5 საათზე ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანთან ძებნილის დასაკავებლად ჩასაფრებულმა პოლიციის რაიგანყოფილების ოპერატიული ჯგუფის წევრებმა, უბნის რწმუნებულებმა პოლიციის ლეიტენანტმა ერემო გოგუამ, პოლიციის ლეიტენანტმა თემურ სივსივაძემ და პოლიციის კაპიტანმა ტარიელ ხოფერიამ გადაწყვიტეს შეემოწმებინათ მათ წინ შეჩერებული უნომრო „მოსკვიჩი", რომელშიც ისხდნენ გვარდიის ფორმიანი, დამცავი ჟილეტებით, ავტომატით და გადაპრილი თოფით შეიარაღებული პირები. როდესაც პოლიციის თანამშრომლები მიუახლოვდნენ, ავტომანქანიდან მოულოდნელად აუტეხეს სროლა, რის შედეგადაც ადგილზევე გარდაიცვალა პოლიციის კაპიტანი ტარიელ ხოფერია, ხოლო ლეიტენანტი თემურ სივსივაძე ფეხში დაიჭრა. საპასუხო სროლით ერთი ბოროტმოქმედი იქვე მოკლეს, ხოლო მეორემ გაქცევით უშველა თავს.

მიმდინარეობს მოკლულის ამოცნობა და გამოძიება.

სამწუხაროდ, 15 ივნისს, კიდევ მოხდა ორი თავდასხმა პოლიციის მუშაკებზე. კერძოდ, ქობულეთში და ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშთან.

შსს პრესცენტრის ცნობა.

ანგარიშს გვისწორებენ თუ?..

ქუთაისი. 15 ივნისს საქართველოს ტელევიზიის ქუთაისის ზონის განყოფილების მუშაკებს დარბეული და გაძარცვული დახვდათ კორპუნქტი. გამოძიებისათვის ჯერ ისევ უცნობმა პირებმა დააზიანეს ჟურნალისტების სამუშაო ოთახები, დალეწეს ავეჯი, ტექნიკა. წაიღეს კორესპონდენტების პირადი და განყოფილებაზე რიცხული ნივთები. მათ შორის ტელეფონის აპარატები, ტელევიზორი...

ცოტა ხნით ადრე, ასევე დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა გაძარცვეს და დააზიანეს საქინფორმის ქუთაისის ზონის განყოფილების სასამსახურო ვაზ-2121 მარკის ავტომანქანა.

მომხდარი ფაქტების გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ამ დღეებში

გამომცემლობა
„საქართველოს
რესპუბლიკა"
და საქინფორმის
[illegible]

**ფაქტი
მოვლენა
კომენტარი**

საქართველოს პოლიცია:

მთავარი ორიენტირია კანონი და კანონიერება!



სურათზე: პრეზიდიუმში — საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე და დროებითი მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თენგიზ კიტოვანი.

ბონდო დვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

14 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე შეხვდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებს. თათბირზე ცენტრალური აპარატის სამსახურების უფროსების გარდა მოწვეული იყვნენ ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა მინისტრები, ქუთაისის, ზუგდიდის, გორის სამმართველოების, საქალაქო და რაიონული განყოფილებების უფროსები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე — თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი.

თათბირზე მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა რომან გვენცაძემ. კამათში მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი მ. დარჩია, საგამოძიებო სამსახურის უფროსი ჯ. მახარაძე, სამძებრო სამმართველოს უფროსი დ. მიქაძე, მარნეულის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი ა. ზუბიტიძე, აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი გ. ლომინაძე, დაცვის სამსახურის უფროსი გ. ყვარელაშვილი, ცხაკის რაიონის მილიციის უფროსი თ. ანჯაფარიძე, ქუთაისის მილიციის უფროსი მ. ბუცხრიკიძე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ზ. ხაზალია, რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ვ. რაზმაძე და სხვები.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა ე. შევარდნაძემ.

საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, რა მწვავე შეფასება მიეცა სახელმწიფო საბჭოს ამასწინანდელ გაფართოებულ სხდომაზე სოციალურ-პოლიტიკურ და კრიმინოგენულ ვითარებას საქართველოში. ამიტომ თათბირის მონაწილეთა მსჯელობის უპირველესი საკითხი შეეხებოდა იმას, თუ რა ზომები უნდა მიიღოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლისათვის, რა დახმარება სჭირდებათ მათ, რომ პირნათლად შეასრულონ თავიანთი მისია დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში და საზოგადოებრივი წესრიგის განსამტკიცებლად.

თათბირზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს ყველაფერი კეთდება, რათა მილიციამ კვლავ აღიდ-

(დასასრული მე-2 გვ.).

ნომერში

- მეტი მზრუნველობაა საჭირო ეროვნული კულტურის განვითარებისათვის. 5
- ქართული ორკესტრი სტამბოლში. 6

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

დადგენილება

1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის აღდგენასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის მოქმედების შესახებ

ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციით აღდგენილია 1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით, და სამხედრო საბჭოს 1992 წლის 24 თებერვლის დადგენილებით სათანადო ორგანოებს დაევალათ მოამზადონ წინადადებები მოქმედი კანონმდებლობის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო **ადგენს:**

განიმარტოს, რომ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს არსებული კანონმდებლობა, მათ შორის საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელთა სისტემა და სახეები კანონით დადგენილი წესით მათ გაუქმებამდე ან შეცვლამდე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი
ვ. გოგუაძე.

საქართველოს სამთავრობო დელეგაცია ირანში

ოფიციალური ვიზიტი დამთავრდა

თეირანი. (იტარ-საქდესის კორ.). ირანმა და საქართველომ მოილაპარაკეს პოლიტიკისა და ეკონომიკის დარგში ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების შესახებ, როგორც ირანის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, დღეს ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს სამთავრობო დელეგაციისა და მისი მეთაურის — რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის თენგიზ სიგუას სამდღიანი ვიზიტის დამთავრების შემდეგ ხელი მოაწერეს ხუთ ერთობლივ დოკუმენტს.

ეს დოკუმენტები ეხება, კერძოდ, ვაჭრობის, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის სფეროებში თანამშრომლობას, საქართველოში ირანის ბუნებრივი გაზის ექსპორტს, დიპლომატიური და სამსახურო პასპორტების მფლობელთათვის ვიზების გაუქმებას.

ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ კომუნიკეს, რომელშიც განაცხადეს, რომ მიღწეულია მორიგება დიპლომატიური მისიების გაცვლის, რეგიონალური პრობლემების გამო კონსულტაციების მოწყობის, საერთაშორისო ორგანიზაციებში თანამშრომლობისა და ერთობლივი ეკონომიკური კომისიის შექმნის შესახებ.

თეირანში ვიზიტის დროს საქართველოს დელეგაციის წევრებმა გამართეს მოლაპარაკება ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტთან აკბარ ჰაშემი-რაფსანჯანისთან, ირანის საგარეო საქმეთა, მრეწველობისა და ტრანსპორტის მინისტრებთან.

მართალნიც და მტყუანნიც პასუხს აგებენ მომავალ თაობათა წინაშე!

მიტროპოლიტ დავითის მიმართვა აფხაზეთის მოსახლეობას

ძვირფასო ძმებო და დებო!

განსაცდელის წინაშე, რთულ დაძაბულ ჟამს, როცა საკმარისია უმნიშვნელო შემთხვევითობაც კი, რომ მოხდეს გამოუსწორებელი რამ, მოგიწოდებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენთვის ყველასათვის მშობლიური და კურთხეული აფხაზეთის მშვიდობა, თანხმობა, კეთილდღეობა, შეწყვიტოთ იარაღის ჟღარუნი, ჩაიცხროთ პატივმოყვარე პოლიტიკოსთა ჟინი, აღივსოთ გული ქრისტესმიერი სიყვარულითა და მორჩილებით.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მოუწოდებს თავის სამწყსოს მეგობრობის, მშვიდობის, თანხმობისა და თანამშრომლობისათვის მთელ იმ ძალებთან, რომლებიც აღიარებენ ზოგადსაკაცობრიო იდეალებსა და სათნოებათ.

ჩვენ ყველანი ღვთის ქმნილებანი ვართ და წმინდად უნდა ვასრულებდეთ ბიბლიის მცნებებს; უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს აღთქმას, რათა ამ ქვეყნად არ გამეფდეს ბოროტება. დაუცხრომლად ვლოცულობთ ადამიანთა შორის შემწყნარებლობისა და თანხმობისათვის, ქრისტიანულ სათნოებათა აღზევებისათვის.

ჩვენს დღევანდელ საზოგადოებას ძალიან სჭირდება შემწყნარებლობა, სიკეთე, მოყვასისადმი თანაგრძნობა. უამისოდ კი შეუძლებელია ტაძრის აგება. ამიტომ ჩემთვის უაღრესად სასიამოვნო და სასიხარულო იყო, როცა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სოხუმის ბატალიონის ერთ-ერთ ქვეგანაყოფში ყოფნისას სამხედროებმა აღმითქვეს, ჩვენი მხრივ არასოდეს გავარდება პირველი ტყვია და თავდასხმასაც არავიზე არ ვაპირებთო.

ჩვენი ეკლესია, როგორც ყოველთვის, ადამიანებს უხმობს თანხმობისა და მშვიდობისათვის. ჩვენი აზრით, ყველა სადავო საკითხი შეიძლება გადაიჭრას მოლაპარაკების გზით „მრგვალ მაგიდასთან", ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებაზე დაფუძნებული პოლიტიკური დიალოგის საშუალებით. საჭიროა მხოლოდ აღვივსოთ მოთმინებით და ყურად ვიღოთ საკუთარი გულისთქმა. უნდა შევაჩეროთ, გზა გადავუღობოთ იმათ, ვინც თავის უსაფუძვლო ამბიციათა აღსრულების გზაზე მეტისმეტად შორს შეტოპა.

დასასრულ მინდა შევახსენოთ ჩვენს მშფოთვარე დროში განსაკუთრებით აქტუალური მცნება: „გიყვარდეთ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდნენ თქუენ და გდევნიდნენ თქუენ. რაითა იყვნეთ თქუენ შვილ მამისა თქუენისა ზეცათაისა, რამეთუ მზე მისი აღმოავლს ბოროტთა ზედა და კეთილთა, და წვიმს მართალთა ზედა და ცრუთა".

ჩვენი ეკლესია მზად არის დაეხმაროს საზოგადოებრივ ძალთა, პარტიათა და მოძრაობათა ლიდერებს იპოვნონ ერთმანეთი, რათა მათ ერთად შეიმუშაონ კრიზისიდან გამოსვლის პროგრამა.

კონსენსუსი რადაც უნდა დაგვიჯდეს უნდა გამოვძებნოთ, რამეთუ, თუ ეს არ მოხდა, მთელი საზოგადოება — მართალნიც და მტყუანნიც პასუხს აგებენ მომავალ თაობათა წინაშე იმისათვის, რომ ვერ შეძლეს შეეჩერებინათ საშიში სწრაფვა კატასტროფისაკენ, როცა არ იქნებიან არც გამარჯვებულნი და არც დამარცხებულნი, რამეთუ დაიღუპება ადამის მთელი მოდგმა.

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი **დავითი**
1992 წლის 14 ივნისი
სოხუმის საკათედრო ტაძარი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსაგან

სახელმწიფო საბჭო იუწყება, რომ 1992 წლის 16 ივნისს ქ. გორში განლაგებულ სატანკო ნაწილსა და გვარდიელებს შორის მომხდარი ინციდენტის დროს დაიღუპა 18 და დაჭრილია 41 ადამიანი. დაჭრილთა შორის არის მშვიდობიანი მოსახლეობაც. სახელმწიფო საბჭო სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს.

საქართველოს პოლიცია: მთავარი ორიენტირია კანონი და კანონიერება!

(დასასრული)

განის თავისი ფუნქციები, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მთლიანად მოშლილი იყო. მიღებულია სასიცოცხლო მნიშვნელობის დოკუმენტები — „პოლიციის დეკრეტი" და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულება". ამ დოკუმენტების შესაბამისად უნდა მოხდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ფორმის, მეთოდებისა და მიმართულების ძირეული შეცვლა. შეიქმნას პრაქტიკულად ახალი, თანამედროვე სტრუქტურები, რომლებიც მიღებული და აპრობირებულია ცივილიზებულ სამყაროში. შეიქმნება ახალი ცხოვრებით ნაკარნახევი სამსახურები, შემცირდება ცენტრალური აპარატი, მოხდება კადრების გადანაწილება, მოეწყობა ატესტაცია, საპატრულო დაცვის და სხვა სამსახურები აღიჭურვება თანამედროვე ტექნიკით და აპარატურით, მანქანებით და, რაც მთავარია, საჭირო რაოდენობის იარაღით. გაუმჯობესდება შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა სოციალური პირობები.

ამავე დროს წინა პლანზეა წამოწეული პიროვნების ინტერესებისა და უფლებების დაცვის ამოცანები, რაც ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენში რეალურად ყალიბდება სამართლებრივი, ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფო, რომ საქართველოს პოლიციის მუშაობის მთავარი ორიენტირი უნდა გახდეს კანონი და კანონიერება. რაღა თქმა უნდა, ასეთ სახელმწიფოს შესაბამისი სამართალდამცველი ორგანოებიც უნდა ჰყავდეს. თათბირზე დიდი ადგილი დაეთმო კადრების საკითხს. სისტემაში საკადრო პოლიტიკა იმდენად მოიშალა, რომ მილიციაში აღმოჩნდნენ ნარკომანები, კორუმპირებული პირები. ბევრი მათგანი უკვე დათხოვილია სამუშაოდან, ხოლო შემდგომ ყოველი კონკრეტული გამოვლინება მთელი სიმკაცრით იქნება დაგმობილი.

ჩერჩეროვით კი, აღნიშნავდნენ თვით სისტემის მუშაკები, მილიცია თავისი მოუქნელი მუშაობით მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევს. ანდა, რა იმედი უნდა ჰქონდეთ ისეთი სამართალდამცველი ორგანოებისა, რომლებიც, როგორც წესი, ვერ ავლენენ დამნაშავეს. 117-დან 101-ს. უამრავი ნაქურდალი და ნაყაჩაღარი ისე იყიდება კომერციულ მაღაზიებში, რომ ეკონომიური დანაშაულის სამსახური ამას ვერ ამჩნევს, შეიარაღებული ბოროტმოქმედები დანავარდობენ რესპუბლიკის გზატკეცილებზე, გააქვთ ნაქურდალი და გადაჰყავთ... გატაცებული ადამიანებიც, ავტოინსპექციის მუშაკები კი ამას „ვერ ხედავენ"? შინაგან საქმეთა სამინისტროს ვიზების და რეგისტრაციის განყოფილების თბილისიდან გატაცებული გაზ-24 მრავალრიცხოვანი საბაჟოსა და ოვირის თანამშრომელთა გავლით თურქეთში გადაჰყავს ქურდს, რომელიც დიდი ხანია ძიებაშია. ჩვეულებრივ ამბად იქცა კაცთკვლა, ადამიანის გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით, რეკეტი, ყაჩაღური თავდასხმები. ხოლო მაშინაც კი, როცა გამოვლენილი და დაკავებული არიან ადამიანის გამტაცებლები, დაზარალებული მხარე თავს არიდებს მილიციაში მისვლას და აცხადებს, რომ არ უჩივის არავის. შიშმა შეიპყრო მოსახლეობა, რომელსაც აღარ აქვს მილიციის იმედი.

ყოველივე ამას წინ უნდა აღუდგნენ მხოლოდ და მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები.

— დღევანდელი ჩვენი შეხვედრა შემთხვევითი არ არის, — თქვა ე. შევარდნაძემ. — აქ უკვე ითქვა, რომ სახელმწიფო საბჭომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება მკაცრად მოითხოვოს სამართალდამცავი ორგანოებისაგან, რომ ქვეყანაში დამყარდეს წესრიგი. სხდომაზე და დღევანდელ შეხვედრაზე აისახა ის რეალური სურათი, რომელიც ჩვენში შეიქმნა, ის წუხილი, რომელსაც მოსახლეობა გამოთქვამს. დღეს არ არის იმის საშუალება, რომ მეცნიერულად გაანალიზდეს ყოველივე, რაც ხდება. ალბათ, თავის დროზე ესეც გაკეთდება. მაგრამ ის, რაც ხდება, მოსალოდნელი იყო, რადგან ყოველგვარი დიდი მომზადების გარეშე ტოტალიტარულმა ქვეყანამ გადაწყვიტა დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება. ძველის ნგრევის და ახლის შენების პროცესი ეკონომიკური კრიზისის, ფინანსური ქაოსის ფონზე მიმდინარეობს. ბუნებრივია, რომ ამ სირთულეებს უნდა მოჰყოლოდა სწორედ ის პროცესები, რომლებზეც დღეს ჩვენ ვილაპარაკეთ. ბუნებრივია ისიც, რომ, ამ პროცესების წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია იმ მეთოდებით, რომლებიც წინათ ეფექტიანი იყო. ისეთი ნორმები და სტანდარტები უნდა დავნერგოთ, რომლის დროს პიროვნების, სხვადასხვა ჯგუფების, პრესის წარმომადგენელთა ინტერესები არ შეილახება. ბრძოლა დანაშაულობათა წინააღმდეგ ახლა განსაკუთრებით გაჭირდა. კარგად მესმის თქვენი გულისტკივილი — მიუხედავად პატარ-პატარა ძვრებისა, მოსახლეობას არ შეუძლია თავისუფლად იშრომოს და დაისვენოს.

ყოველივე ამას ეთნოკრიზისები დაემატა. ეთნოკრიზისი ჩვენ დავარქვით, თორემ ნამდვილი სახელი რომ ვუწოდოთ, სამაჩაბლოში ომია — ინგრევა სოფლები, იღუპება ხალხი! მდგომარეობა ძალზე რთულია და დაძაბული. სანამ ყველაფერს არ შევიგნებთ, რომ არ არსებობს ომის გზით გადაჭრილი პრობლემები, რომ ყოველივე მოლაპარაკების, მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს, ვითარება არ დაწყნარდება.

ის, რაც გორში მოხდა, უპრეცედენტო ინციდენტია, რომლის საშუალებით, შესაძლოა, ჩვენ ჩათრეული ვიქნებით უფრო დიდ, არასასურველ კონფლიქტში, და სანამ ცივილიზებული სამყარო გვერდით დაგვიდგება, ჩვენ ჩვენი დაგვემართება.

თქვენ მუშაობა მოგიხდათ ურთულეს პირობებში. ბანდიტებთან ბრძოლაში დაიღუპა თქვენი სისტემის 57 მუშაკი. მათ უკან კი ოჯახები დგანან, მილიცია პრაქტიკულად დარბეული იყო. თუ კადრები კიდევ შემორჩა, მთლიანად მოშლილი იყო სტრუქტურები. თქვენ ბევრი რამ მოასწარით უმოკლეს დროში — ამ ბოლო 2-3 თვის მანძილზე. ჩემს სამუშაო დღეს ოპერატიული ვითარების გაცნობით ვიწყებ და ჯერ კიდევ ორი თვის წინათ იშვიათად მხვდებოდა ფრაზა „საქმე გახსნილია ცხელ ფაქტზე". გმადლობთ.

შეიცვალა დრო, სახელმწიფო. ის მეთოდი, რომლითაც თქვენ მუშაობდით, აღარ გამოდგება. ფეხი უნდა ავუწყოთ დროს, რაც შეიძლება ჩქარა შემუშავდეს ნორმატიული კანონები, რომ იცოდით, რისი გაკეთება შეიძლება და რისი — არა. მთავრობა, სახელმწიფო საბჭო, მომავალში კი პარლამენტი უნდა დაგეხმაროთ ამაში.

ჩვენ დღეს კიდევ ვაწყდებით პოლიტიკურ ნიადაგზე წამოჭრილ კონფლიქტებს. ეს ძველი, პარტიული დროიდან მოდის. პოლიტიკა პოლიტიკად რჩება, პოლიცია კი თავის საქმეს უნდა აკეთებდეს. არც ერთი პარტია არ იკისრებს წესრიგის, კანონიერების საქმეს, ეს პოლიციამ უნდა იტვირთოს, იგი უნდა გახდეს მოქალაქეთა დაცვის სრული გარანტი. ისევე, როგორც ეს გერმანიაში, შვეიცარიაში, შეერთებულ შტატებში ხდება. თუ რაიმე კარგი გაკეთდება, თქვენს აქტივში ჩაიწერება, თუ არა და, ხალხი პასუხს თქვენ მოგთხოვთ. რაც შეიძლება მალე უნდა გადაწყდეს დაცვის სამსახურის ფორმით აღჭურვა, მათი ფართოდ გამოყენება. ეს კანონის დაცვაც იქნება და დიდი და რეალური ძალაც. უნდა დაჩქარდეს სატრანსპორტო სამსახურის რეფორმა, მოგვარდეს ხელფასების საკითხი, დამუშავდეს სისტემის მუშაკთა წახალისების და დაჯილდოების საშუალებები. პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ ფართოდ უნდა გააშუქონ ყოველი დადებითი ფაქტი, ადამიანი უნდა დარწმუნდეს, რომ იგი უყურადღებოდ არ არის დატოვებული.

ასპარეზზე გამოდის სრულიად ახალი ფენა — ბიზნესმენები. მათზე ბევრი რამე იქნება დამოკიდებული ჩვენი ეკონომიკის, ვაჭრობის, ფინანსების შემდგომ განვითარებაში. ნამდვილი, ფართო გაქანების მქონე ბიზნესმენები — ერის სიამაყეა.

ბევრი უცხოელი ბიზნესმენი იჩენს ჩვენს მიმართ ინტერესს. ჩამოდიან აქ, მაგრამ თუ ქვეყანა არ დამშვიდდა, არა მგონია, ვინმემ განაგრძოს თანამშრომლობა. მათაც ესმით ღამით გამაყრუებელი სროლა. ეს ხომ ფაქტია — ვისაც მოესურვება გამოდის აივანზე და ისვრის. მართალი გითხრათ, მეცხვენია მათი. ეს შეუწყნარებელია. 15 ივნისიდან ძალაში შედის 6 ივნისს მიღებული კანონი, რომლის თანახმად ყაზარმებში შევლენ ყველა შეიარაღებული ფორმირების წარმომადგენლები. ახლა საქმე თქვენზეა. თქვენ გაქვთ უფლება ნებისმიერი კაცი, რომელიც ქუჩაში იარაღით გამოვა და არა აქვს მისი ტარების უფლება, დააკავოთ.

მოსახლეობამ კანონის ძალაში შესვლის პირველსავე დღეებში უნდა იგრძნოს შვება. მე არ მინდა ჩრდილი მივაყენო „მხედრიონის" თუ გვარდიის წარმომადგენლებს, თქვენს შორისაც არიან უღირსები, ისე კი გჯეროდეთ, თუ ხალხი დაინახავს, რომ თქვენ ასრულებთ თქვენს მოვალეობას, მხარში ამოგიდგებათ.

საკადრო პოლიტიკა მთლიანად უნდა წყდებოდეს შინაგან საქმეთა სამინისტროში. ჩვენ შეიძლება გავუწიოთ რეკომენდაცია ცალკეულ ღირსეულ სპეციალისტებს, მაგრამ გადაწყვეტილება მაინც თქვენ უნდა მიიღოთ. უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი ტელეფონის ზარები.

საჭიროა შევისწავლოთ საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების პოლიციის გამოცდილება, ფართოდ ჩავაბათ ამ საქმეში ახალგაზრდობა. უნდა აღიკვეთოს ყაჩაღობა, ფულის გამოძალვა, მოსახლეობაში გაქრეს შიშის გრძნობა. ხალხმა უნდა ირწმუნოს, რომ მილიციის ძალი შესწევს აღკვეთოს ორგანიზებული ტერორიზმი, რომელთანაც რეალურად გვაქვს საქმე. ის, რაც ჩიქოვანის ქუჩაზე მოხდა, ერთი ადამიანის წინააღმდეგ როდი იყო გამიზნული. ის მთელი საქართველოს წინააღმდეგ ჩაფიქრებული საზარელი აქტია. დაიღუპა ხუთი კაცი, მათ შორის ერთი ბავშვი, დაინგრა სახლები. ამ ფაქტს შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს საქართველოს. ტერორიზმი დაგმობილია მთელ ცივილიზებულ სამყაროში. მაგალითად, შეერთებულ შტატებში ყოველი მოლაპარაკება სხვა ქვეყანასთან ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ხელშეკრულებით იწყება. საჭიროა დიდი პროფესიონალიზმი ამ ბოროტებასთან საბრძოლველად. უფრო მწვავედ დგება იარაღის ამოღების საკითხი. იარაღის რეგისტრაციის შემთხვევაში უნდა არსებობდეს ტესტირება იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა ამ კონკრეტულ პიროვნებას მიეცეს იარაღის ტარების უფლება.

განსაკუთრებული გულისტკივილით ილაპარაკა ბატონმა ედუარდმა სამეგრელოში, კერძოდ, ჩხოროწყუში შექმნილ ვითარებაზე. მე პირადად წინააღმდეგი ვარ იქ შეიარაღებული ფორმირებების შეყვანისა, — განაცხადა მან, — მაგრამ ფაქტია: რაღაც უნდა გაკეთდეს, მით უმეტეს, რომ იქაური მოსახლეობის უმრავლესობას, ეს ღრმად მწამს, სურს მშვიდობა დამყარდეს.

დასასრულ ბატონმა ედუარდმა სრული ნდობა გამოუცხადა საქართველოს პოლიციას და წარმატებები უსურვა წესრიგის დამყარებაში.

ლამარა გაგუა.

სურსათი, ისევ სურსათი

საქართველოსთვის განკუთვნილი 22 ათასი ტონა ხორბალი მიიღეს ოდესის ნავსადგურში. ამდენივე მარცვლეული გადმოტვირთეს ტალინში. ილიჩოვსკიდან ფოთში გამოგზავნეს რამდენიმე ათასი ტონა ფქვილი.

მოსახლეობის სურსათით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის რესპუბლიკურმა კომისიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ უახლოესი დროისთვის არის პურის გარკვეული პოტენციური მარაგი, სამინისტროებისა და უწყებების ყურადღება მიაპყრო იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ უაღრესად საჭირო პროდუქტის უწყვეტი მიღება. მაგრამ, ზოგჯერ ისე ხდება, რომ მარცვლეული ჯერ შემოაქვთ დედაქალაქში, შემდეგ კი გზავნიან... უკან, იმავე გზით, რაიონებში დანიშნულების ადგილის მიხედვით. ეს დროის დანაკარგს, სათბობის და ელექტროენერგიის ზედმეტ დანახარჯებს იწვევს.

სხდომაზე დაისვა ნავსადგურებში რკინიგზის ვაგონების დროული განტვირთვის, მთელი გზის მანძილზე მათი კიდევ უფრო ეფექტიანი გამოყენების, ახალი მოსავლის ხორბლის აღებისა და შენახვისათვის დროულად მომზადების საკითხები. ყურადღება გაამახვილეს აგრეთვე იმაზე, რომ მეზობელ რესპუბლიკებში გაძვირდა პურპროდუქტები, რის გამოც შეიძლება ზოგ-ზოგებმა საქართველოს ფარგლებს გარეთ ფქვილის და პურის გატანაც სცადონ.

კომისიამ აგრეთვე მოისმინა ინფორმაცია კარტოფილითა და ბოსტნეულით მოსახლეობის მომარაგების შესახებ. აღინიშნა, რომ გაიზარდა მაღაზიებში ამ პროდუქტების მიწოდება, გამონაკლისს შეადგენს ხახვი. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკითხიც მალე მოგვარდება. სხდომის მონაწილეებმა წამოაყენეს წინადადება დაჩქარდეს ბოსტნეულის და სხვა სურსათის გაიაფების მექანიზმის შემუშავება იმის მიხედვით, თუ სავაჭრო ქსელში რამდენი იქნება ეს პროდუქტები. ისევ და ისევ აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სატრანსპორტო კონვეიერის მუშაობის ზუსტ რეგულირებას, საწვავით საავტომობილო ტრანსპორტის ოპერატიულ მომარაგებას, რათა დროულად მივაწოდოთ ქალაქელებს სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

განიხილეს აგრეთვე რესპუბლიკაში საარსებო მნიშვნელობის ხორაგის შემოზიდვის მიზნით საზღვარგარეთელ პარტნიორებთან თანამშრომლობის ყველაზე ხელსაყრელი წინადადებები.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა **ოთარ ქვილითაიამ.**

პარტიებსა და მოძრაობებში

ვინ როგორ ხედავს, ვინ როგორ აფასებს

პოლიტიკური ორგანიზაცია „ქარტია-91"-ის განცხადება

საქართველოში მიმდინარეობს დაუნდობელი ბრძოლა ძალაუფლებისთვის, რომელიც ამ ბოლო ხანს ცივილიზებული ქვეყნისთვის აუტანელი და ყოვლად უღირსი ფორმით ხორციელდება. გარკვეული პოლიტიკური ძალები ამ ბრძოლაში არ ერიდებიან ისეთ მეთოდებს, როგორიცაა წინასწარგანზრახული სიცრუე, შანტაჟი და ტერორი, რასაც მსხვერპლად ეწირება უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლე და საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები. ფეხქვეშ ითელება ზნეობის ელემენტარული პრინციპები, ხალხისა და პიროვნების ღირსება, რითაც კანონდება განუკითხაობის ატმოსფერო და ისედაც გაპარტახებული ქვეყნის ტოტალური ძარცვა. ნიშანდობლივია, რომ მოვლენები ვითარდება იმ გადაწყვეტილებათა ფონზე, რომლებიც ითვალისწინებდა სამხედრო ფორმირებათა ყაზარმებში შესვლას და თბილისში კომენდანტის საათის გაუქმებას. როგორც ჩანს, ხსენებული დესტრუქციული ძალები დარწმუნებული არიან, რომ ვითარების სტაბილიზაცია და ახალი არჩევნების ჩატარება პოლიტიკური სარბიელიდან მათი ჩამოცილების ტოლფასია.

„ქარტია-91" პროტესტს უცხადებს და მკვეთრად ემიჯნება პოლიტიკური ინტრიგანობისა და ალვირახსნილობის ყოველგვარ გამოვლინებას. თუ ხელისუფლების მოსაპოვებლად გამართული ეს უწესო დოღი კვლავაც გაგრძელდა, იძულებული გავხდებით გადავსინჯოთ ჩვენი დამოკიდებულება პარლამენტის მომავალი არჩევნებისადმი.

მათ, ვინც უდანაშაულო ქალებისა და ბავშვების სიცოცხლის ფასად ძალაუფლების საბოლოოდ ხელში ჩაგდებას ისახავს მიზნად, თავი უნდა ანებონ მტრის იერსახით მანიპულირებას, გაუხსნელ დანაშაულობათა ნაჩქარევ გადაბრალებას ყოფილი ხელისუფლების მომხრეთათვის და გაითვალისწინონ სიცრუეზე დამყარებული პოლიტიკის გარდაუვალი კრახი. ხალხის მოთმინება უსაზღვრო როდია.

სამოქალაქო ინიციატივა და თვითმმართველობა, დღეს რომ მავანთაგან ლიტონ სიტყვებად აღიქმება, ხვალ გაცოცხლებული რევოლუციური პროცესის რეალობად გადაიქცევა და საფუძვლად დაედება წესრიგის დამყარებას განახლებულ ქვეყანაში.

მოვუწოდებთ არსებულ ხელისუფლებას და ყველას, ვინც ვალდებულია დაიცვას საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები, ხელი შეუწყონ ამგვარი ინიციატივის გაღვივებას და მის წარმართვას სწორი მიმართულებით.

14 ივნისი, 1992 წ.

„უწესო დოღი"

პოლიტიკური რეიტინგის ასამაღლებლად მრავალი ხერხი არსებობს, ხალხისათვის სასარგებლო საქმიანობის გარდა. სამწუხაროდ, პოლიტიკური პარტიები ხშირად თვალთმაქცობასაც მიმართავენ, რის წინააღმდეგაც 14 ივნისს ტელევიზიით განცხადება გააკეთა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ „ქარტია-91".

პატიოსანი, ცივილიზებული პოლიტიკური ბრძოლისკენ მოწოდების საწინააღმდეგო, ცხადია, არაფერი გვაქვს, მით უმეტეს, თუ არ ვიცით, რომელი „მხედრიონს" ჰყავს მხედველობაში „ქარტია-91"-ს, როცა „ხელისუფლების მოსაპოვებლად გამართული უწესო დოღის" გამო ამომრჩევლებს ემუქრება, საპარლამენტო არჩევნებისადმი ჩვენს დამოკიდებულებას გადავხედავთო.

მაგრამ ამ მოწოდებას ძალა ეკარგება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვერც ერთ განცხადების ავტორობა გაუძლებს ცდუნებას — ხელისუფლების ოპოზიციონერთა პოზის მიღებით მოიპოვონ პოლიტიკური ქულები. აშკარად ჩანს, რომ განცხადება მიმართულია სახელმწიფო საბჭოს და დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. ამის უფლება, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ პარტიას აქვს, მაგრამ იგი თვითონ არ უნდა სჩადიოდეს იმას, რის წინააღმდეგაც იბრძვის.

აი, რა განაცხადა „ქარტია-91"-მა: „მათ, ვინც უდანაშაულო ქალებისა და ბავშვების სიცოცხლის ფასად ძალაუფლების საბოლოოდ ხელში ჩაგდებას ისახავს მიზნად, თავი უნდა ანებონ მტრის იერსახით მანიპულირებას, გაუხსნელ დანაშაულობათა ნაჩქარევ გადაბრალებას ყოფილი ხელისუფლების მომხრეთათვის და გაითვალისწინონ სიცრუეზე დამყარებული პოლიტიკის გარდაუვალი კრახი".

აქ, ცხადია, ლაპარაკია იმაზე, ვისაც უკვე აქვს ძალაუფლება და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ისახავს მიზნად, მიმართავს სიცრუეს, იგონებს მტრის სახეს და გაუხსნელ დანაშაულს ყოფილი ხელისუფლების მომხრეებს აბრალებს. ვინ შეიძლება იყოს იგი? რა თქმა უნდა, არა ადრინდელი ხელისუფლება, არა „ქარტია-91", არამედ ის, ვის ხელშიც არის ძალაუფლება. განცხადების დასასრულს უფრო მკაფიოდ არის დასახელებული ადრესატი: „მოვუწოდებთ არსებულ ხელისუფლებას"...

ამრიგად, „ქარტია-91" ცილს სწამებს ხელისუფლებას, თითქოს იგი ხოცავდეს ქალებს და ბავშვებს. მტრის სახეს იგონებდეს და დანაშაულს ყოფილ ხელისუფლებას აბრალებდეს. თითქმის სიტყვასიტყვით არის გამეორებული ექსპრეზიდენტის მომხრეთა მიტინგზე წამოყენებული ბრალდებები და, ეტყობა, „ქარტია-91"-ს არჩევნებში იმ მიტინგების მონაწილეთა ხმების იმედი აქვს. ისიც უნდა ითქვას, რომ დანაშაულობათა მთელ სერიას — დივერსიებს, ტერორსა და ა. შ. ვინმე კი არ აბრალებს, არამედ ექსპრეზიდენტი თვითონ „იბრალებს" როცა აცხადებს, ამ აქციებს მე ვხელმძღვანელობო.

საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი ღიად აფასებს ერთ დროს უზენაესი საბჭოს ოპოზიციური ფრაქციის როლს ავტორიტარული რეჟიმის რღვევის საქმეში, პატივს სცემს მის განსხვავებულ აზრს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ, მაგრამ კატეგორიულად ემიჯნება ცილისწამებისა და ამით პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების გზას, რომელიც ხელს უწყობს დესტაბილიზაციას და კიდევ უფრო ამძაფრებს „ხელისუფლების მოსაპოვებლად გამართულ უწესო დოღს".

საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი.

სათქმელი უნდა ითქვას

შეხვდება? არ შეხვდება?

რომან მიმინოშვილი,

ყმაწვილური თამაში გახსოვთ ალბათ: გოგონები ფოთოლს აცლიან გვირილას და მარჩიელობენ — „უყვარვარ? არ უყვარვარ?". ასე თამაშობდა, თურმე, მთელი საქართველო და ერთ კითხვაზე პასუხი აინტერესებდა: შეხვდება თუ არა ვალტერ შურღაია ედუარდ შევარდნაძეს?

არა გენშერი, არა ბეიკერი, არა ბუში, არამედ ვალტერ შურღაია! აბა, სხვანაირად როგორ ავხსნათ ის გარემოება, რომ გაზეთ „იბერია-სპექტრის" პატივცემულ რედაქციას სათაურად გამოუტანია არა ვალტერ შურღაიას წერილში, არამედ მის მინაწერში გამოთქმული აზრი და აღუნიშნავს „ვალტერ შურღაია არ შეხვდება ე. შევარდნაძეს". თანაც დააკვირდით, ვინ არის სახელით მოხსენიებული და ვინ მხოლოდ ინიციალით. ესეც მეტყველებს, ვისი „ობიექტური" გაზეთია „იბერია-სპექტრი", რომლის 11-17 ივნისის ნომერშიც დაბეჭდილია „პოლიტიკურ პროცესში ჩახედული კაცის" ვალტერ შურღაიას „მცირე რეპლიკა და დიდი ბრალდებები". ბატონი შურღაია რომ „პოლიტიკურ პროცესში ჩახედული კაცია", იქიდანაც ჩანს, რომ თვითონვე ბრძანებს: „დღევანდელ პოლიტიკურ პროცესში ჩაუხედავ კაცს ძნელად თუ იპოვით საქართველოშიო". როგორ ვაკადრებთ, რომ თვითონ მივიჩნიოთ ასეთ „ჩაუხედავ" კაცად, ასეთ იშვიათ ეგზემპლარად. თუმცა, ეჭვს იწვევს მისი წერილის პირველივე წინადადება: „მინდა ორიოდე სიტყვა ვუთხრა პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც გასაერთიანებლად მართლაც დიდებული სახელწოდება გამოუნახავთ: საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი".

მას მრავალთაგან ერთ-ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია პარტიების კრებულად, გაერთიანებად მიუჩნევია, ისე ღრმად „ჩაუხედავს პოლიტიკურ პროცესში", რომ ვერაფერი დაუნახავს! ამ პროცესის სიღრმეში, სადაც, ეტყობა, სინათლე ვერ აღწევს, მან ისიც კი ვერ გაუგო, ვის მიმართავს: „სამწუხაროდ, არ ვიცი, რომელი პიროვნებები შედიან თქვენს კავშირში და რომელ პარტიებს წარმოადგენენ". არადა, შეუძლებელია „პოლიტიკურ პროცესებში ჩახედულ კაცს" დღეს პირველად გაეგო ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის არსებობა. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების მონაწილეს უთუოდ უნდა ახსოვდეს, რომ ამ კავშირმა პროპორციულ არჩევნებში მრგვალი მაგიდისა და კომპარტიის შემდეგ ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა, მიუხედავად მრგვალი მაგიდის მიერ მის წინააღმდეგ გაჩაღებული დაუნდობელი ბრძოლისა, ხოლო პრეზიდენტის არჩევნებში ამ კავშირის კანდიდატი ბატონი ვალერიან ადვაძე იყო ძირითადი კონკურენტი მომავალი პრეზიდენტისა. ბატონ შურღაიას კი თურმე არ სცოდნია, რომელი პარტიები „შედიან" ამ კავშირში! მაგრამ მისთვის მაინც აუხელია თვალი საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის განცხადებას, გამოქვეყნებულს 27 მაისს „საქართველოს რესპუბლიკაში", რაკი აღნიშნავს: „იმდენად ღიაა, პასუხს ნამდვილად იმსახურებსო". რაკი ეს „ღია" განცხადება ინახა, ავტორი ენის ფილოსოფიური განჭვრეტის გუნებაზეც დამდგარა და დიდსულოვნად იმეტებს ჩვენთვის შემდეგ სიბრძნეს: „ქართული ენა უმდიდრესი ენაა და განუსაზღვრელ შესაძლებლობებს ქმნის(?), მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩამოყალიბებულ სიტყვას (მოქნევას) მაშინ აქვს ფასი, თუ ის გაწონასწორებულია უწმინდეს სულიერ სამყაროსთან". ეს სიბრძნე ჩვენთვის ჯერ კიდევ ძნელი გასაგებია: როგორ ხდება „სიტყვის ჩამოყალიბება", რომელიც, როგორც იტყობა, „მოქნევასაც" ნიშნავს, და რანაირად შეიძლება მისი გაწონასწორება „უწმინდეს სულიერ სამყაროსთან"? მაგრამ იმდენს მაინც მივხვდით, რომ მის მიერვე დიდებულად მიჩნეული „ეროვნული თანხმობა და აღორძინება" სიტყვებია, ანუ „მოქნევებია" და ეწინააღმდეგება ჩვენი კავშირის მოქმედებას: „რაღაც არ გამოდის ეროვნული თანხმობა, ბატონებო, თქვენ სულში ჩააფურთხეთ ამომრჩეველსო". ეს მისი სიტყვაა, ანუ მოქნევაა — „ჩაფურთხება"! არ ვიცით, როგორაა იგი „გაწონასწორებული" ავტორის „უწმინდეს სულიერ სამყაროსთან".

არ შევეხებით ავტორის „დებულებებს", მოუხეშავ ცდებს შავის თეთრად მოჩვენებისა, საკუთარი ცოდვების სხვისთვის გადაბრალებისა, რაშიც ასე გაწაფული იყო ხელისუფლება, რომლის ნაშთსაც იგი წარმოადგენს. მაგრამ ვეთანხმებით მის სენტენციას — „უსინდისობას იმიტომაც ჰქვია უსინდისობა, რომ საზღვარი არ გააჩნია". ჩვენი მხრით დავუმატებთ, რომ სიმართლესაც აქვს საზღვარი. მხოლოდ სიცრუეა უსაზღვრო. მაგრამ სჯობს, ფილოსოფიურ მაღლებში ნუ ავყვებით ბატონ შურღაიას, თორემ ისევ შეგვიყვანს ჩამოყალიბებული სიტყვის ანუ მოქნევის ჯურღმულში, აღვნიშნოთ მხოლოდ, თუ, მისი აზრით, რა განსხვავებაა ჩვენს შორის: „ჩვენ ვიბრძოდით იმისთვის, რომ გვეცოცხლა... თქვენ იბრძოდით იმიტომ, რომ მოგეკლათ... თქვენ დაამყარეთ სასტიკი, ჯერ არნახული დიქტატურა და ახლა გყოფნით სინდისი, ეროვნული დაუმორჩილებლობის აქციებს უწოდოთ სამშობლოს ღალატი".

ჯერ ერთი, რატომ არ დაუფიქრდება ბატონი შურღაია იმას, რომ „არნახული დიქტატურის" პირობებში, რაღაც ორიოდე თვის განმავლობაში მსოფლიოს სამოცზე მეტმა მოწინავე ქვეყანამ ცნო საქართველო და ბევრმა უკვე დაამყარა მასთან დიპლომატიური კავშირი, ე. ი. ეროვნულ ხელისუფლებას კი აფრთხილებდნენ, თქვენში ადამიანის უფლებები ირღვევა და არც გამოვიხედავთ თქვენსკენო! დაგვავიწყდა განა კომიკური ტაშ-ფანდური მთავრობის სახლის წინ, როცა პრეზიდენტმა ჭორი გაავრცელა — „ევროპის უდიდესმა სახელმწიფომ — უკრაინამ გვცნოო"? რით ავხსნათ ეს გარემოება? ნუთუ მხოლოდ ბატონი შურღაია და მისი თანამოაზრენი არიან ჭკვიანები, ხოლო დანარჩენი საქართველო და მთელი მსოფლიო მართლ ბრიყვებითაა დასახლებული?

ახლა მეორე საკითხი, რომელიც შეეხება „ეროვნული დაუმორჩილებლობის" აქციებს. იძულებული ვართ, შევახსენოთ ქართველ მამათმთავრებს, რომ რასაც ისინი „ეროვნულ დაუმორჩილებლობას" უწოდებენ, არის მოქმედება საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ, მით უმეტეს, როცა ეს მოქმედება გამოიხატება ხიდებისა და გვირაბების აფეთქებით, ქვეყნის სასიცოცხლო არტერიების გადაკეტვით, სკოლების დაწვით, საგაზაფხულო სამუშაოებზე გასული გლეხების დაშინებით, ბანდიტიზმით, ტერორიზმით, და ა. შ. მაშ, ვინ არის უსინდისო, ვინც ამას სჩადის, თუ ვინც ამ საქციელს ღალატს უწოდებს? არ შეიძლება ყველაფერს ეროვნული ვუწოდოთ, არ არსებობს ეროვნული დივერსია, ისევე, როგორც არ არსებობს ეროვნული კანალიზაცია...

ეტყობა, უხერხულობას ბატონი ვ. შურღაიაც გრძნობს და ცდილობს გაემიჯნოს ამ აქციებს, თუმცა, იმავდროულად საოცარ გულახდილობასაც იჩენს: „ავტორიტეტულად გიცხადებთ: თქვენი ბრალდებები ჩვენდამი არის ცრუ. ჩვენ არაერთხელ მოგვიწოდებია და არაფერი აგვიფეთქებია". როგორ არ დავუჯეროთ ამ ავტორიტეტულ განცხადებას! მზად ვართ, ისიც დავიჯეროთ, რომ თვით ბატონ ვ. შურღაიას ხიდის ასაფეთქებლად არ წაუკიდებია ზონარისათვის ეროვნული ასანთი, მაგრამ ამისთვის სხვები წაუქეზებია! აფერუმ, თქვენს მამულიშვილობას, ბატონებო!

კიდევ უფრო კომიკური ის გახლავთ, რომ, თურმე, შურღაია და მისი თანამზრახველნი აფეთქებებისა და დივერსიებისკენ მოუწოდებდნენ, ხოლო ამ საქმეს ასრულებდნენ არა მათი მომხრენი, არამედ... მოწინააღმდეგენი! არ გჯერათ? მოუსმინეთ ვ. შურღაიას: „მე მოგახსენებთ, აფეთქებების, დივერსიების მომწყობი არიან თქვენს ხელისუფლებაში შემავალი ძალები და ამას აკეთებენ იმ მიზნით, რომ საკუთარი უსუსურობა გაამართლონ როგორმე".

ვერაფერს იტყვი, მეტად ორიგინალური მთავრობა გვყოლია. ასეთ ხელისუფლებას „ეროვნული დაუმორჩილებლობა" არც კი უნდა დაუპირისპირო, თვითონ აიფეთქებს თავს. ამის შემდეგ რაღა უნდა გაგვიკვირდეს, როცა ვ. შურღაია „ამხელს" სახელმწიფო საბჭოს, თითქოს იგი ცდილობს საქართველოს დაშლას და ამისთვის აჩაღებს ტომობრივ შუღლს, წვავს კონსტანტინე გამსახურდიას სახლს იმის გამო, რომ იქ პრეზიდენტი ცხოვრობდა. ალბათ, ამავე მიზნით დაწვა მან მთავრობის სახლი, რაკი იქ პრეზიდენტი „მუშაობდა", პირველი სკოლა, რაკი იქ პრეზიდენტი სწავლობდა, მხატვრის სახლი, რაკი მას პრეზიდენტი კაბინეტიდან უყურებდა, ბანკისა და მინისტრთა კაბინეტის სამეურნეო სამმართველოს შენობა, რაკი იქ პრეზიდენტისთვის გამოტანილი ფული და საბუთები ინახებოდა. ალბათ ყაზბეგი კოტიტიშვილმა და ძმებმა შენგელაიებმა მამისეული სახლებიც მიაყოლეს, რაკი იმ სახლში პრეზიდენტს არ უცხოვრია... რაღა გვეჭირს, ყველაფერი გარკვეულია!

ერთი რამ ვერ გაგვიგია მხოლოდ: რატომ გვამადლის ბატონი ვ. შურღაია 60-70-იან წლებში პოლიტპატიმრად ყოფნას? ეტყობა, რაღაც ანალოგიას ეძებს კომუნისტურ რეჟიმსა და დღევანდელობას შორის. ეს ნაცადი ხერხია, ექსპრეზიდენტის მომხრეთა მიტინგებზე აპრობირებული. მოგვიტევონ ჩვენმა ძალიან სერიოზულმა ოპონენტებმა ღიმილი, რომელსაც ასეთი ფანდი იწვევს. „ძალაუფლება თქვენშია და ამ ფაქტების შემოწმება ადვილად შეგიძლიათო", — მოგვმართავს ყოფილი პოლიტპატიმარი. ჩვენ კი ვურჩევთ ბატონ ვ. შურღაიას, ასეთი ფაქტების გამოსამზეურებლად მიმართოს თავისივე გაზეთის რედაქტორს, ბატონ ირაკლი გოცირიძეს, ის გახლავთ სუკის არქივებში „ჩახედული კაცი".

ავტორი წერილს, თურმე, ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად გვწერს: „რეაქცია მაინტერესებს, თუ მიკადრებთ, რა თქმა უნდა". ღმერთო ჩემო, რა თავმდაბლობაა! ჩვენ ვინა ვართ, რომ „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთან" საუბარი არ ვიკადროთ? თვითონ თუ გვიკადრებს? ეს არის საკითხავი! თვითონ კი, აი, რას ბრძანებს: „იმისათვის, რომ თქვენთან სასაუბროდ დავსხდეთ, საჭიროა ყველაფერზე იფიქროთ და განიწმინდოთ". განწირულნი ვყოფილვართ და ეგ არის: ჩვენ ხომ მის დაუხმარებლად ვერ განვიწმინდებით! ეს არის ქრისტიანული მიმტევებლობა და შემწყნარებლობა?

წერილში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ბატონ ედუარდ შევარდნაძეზე, მაგრამ ერთვის საინტერესო მინაწერი: „ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა განვაცხადო, რომ ჩემი შეხვედრა ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან ამ ეტაპზე საჭიროდ არ მიმაჩნია". ამ შემთხვევაში ბატონი ვ. შურღაია პატარა იმედს მაინც გვიტოვებს: შეიძლება დადგეს სხვა ეტაპი, როცა ჩვენი ოცნება ახდება! ამ მხრივ დაუნდობელი აღმოჩნდა „იბერია-სპექტრის" რედაქცია, რომელმაც კატეგორიულად მოგვიჭრა გზა: „ვალტერ შურღაია არ შეხვდება ე. შევარდნაძეს".

რაღა გვეშველება?!

P.S. ერთდროულად ორი ტრაგედია დატრიალდა: ტერორისტული აქტი თბილისში და რუსეთის პოლკზე თავდასხმა გორში. ვის წინააღმდეგ იყო ეს აქციები მიმართული? ალბათ, არა ექსპრეზიდენტის წინააღმდეგ! შეგვიძლია თუ არა ქართველებს, ვის მხარესაც უნდა ვიყოთ, დავგმოთ ასეთი ველურობა? თუ ესეც ერთმანეთს უნდა დავაბრალოთ და არ ვაღიაროთ, რომ მხოლოდ მტერსა და მოღალატეს აძლევს იგი ხელს და არ შეიძლება კეთდებოდეს საკუთარი „უსუსურობის" გასამართლებლად? თუ ბატონ შურღაიას უყვარს საქართველო, ეს დივერსიები და ტერორიზმი ხელისუფლებას კი არ უნდა დააბრალოს და ამით ხელ-ფეხი გაუხსნას მტერს — მაინც სხვას დაბრალდებაო, არამედ თავისი სახელი უნდა დაარქვას საგანს: ეს არის ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ. განვაგრძოთ ქართველებმა ერთმანეთთან ბრძოლა და გავახაროთ მტერი?

რ. მ.

გვირჩიეთ, ბატონო ხასბულატოვ, — ვესროლოთ თუ არა მკვლელებს?

გია ჭელიძე,
ქართველ ჟურნალისტთა დამოუკიდებელი პრესცენტრის ხელმძღვანელი.

ამ რამდენიმე დღის წინათ რუსეთის საინფორმაციო თუ სატელევიზიო საშუალებანი, რომ იტყვიან, ნიანგის ცრემლებს ღვრიდნენ იმ ამაზრზენი ფაქტის გამო, რომელიც თავს დაატყდა ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე განლაგებულ ერთ-ერთ სამხედრო ნაწილს, რომელსაც, თურმე, დღესაც დაუდგენელმა შეიარაღებულმა ბანდიტებმა მუხანათური თავდასხმით წაართვეს მძლავრი სამხედრო ტექნიკა. ამ ტექნიკას, როგორც აცხადებენ, დღესაც ამაოდ „ეძებს" რუსეთის არმია, მთელი მისი სადაზვერვო-საიდუმლო სამსახური.

ეტყობა, ცუდად ეძებთ, ბატონებო, თორემ, ოდნავ რომ გარჯილიყავით და გორში ჩამობრძანებულიყავით, სულ რაღაც ნახევარ საათში ცხინვალთან განლაგებული თქვენი ერთ-ერთი პოლკის მისადგომებთან გიჩვენებდით „დაკარგულ" ტექნიკას, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა გრუხუნებს ოს „ბოევიკთა" პოზიციებზე და ცეცხლს აფრქვევს ქართული სოფლების მშვიდობიან მოსახლეობას.

მეტი სიზუსტისთვის მოგახსენებთ: აქ არის თქვენი 8 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, 5 ტანკი „ტ-72" და კიდევ სხვა მრავალი მძიმე თუ მსუბუქი სამხედრო საჭურველი.

„ნოვოსტიმ" და „ვესტიმ" კი ლამის არის გახეთქონ ეკრანი თავიანთი ანტიქართული პასკვილებით. თურმე ნუ იტყვით, ჩვენმა გვარდიამ მკერდი უნდა გადაიღოს და იძახოს: — გვესროლეთ, დაგვხოცეთ, ჩვენ კი ყვავილებს მოგაყრით!

რატომ არ იკითხავთ, ჩვენო დემოკრატო რუსო კოლეგებო: — როგორ აღმოჩნდა ეს „დაკარგული ტექნიკა" ოსი „ბოევიკების" ხელში? როგორ გამოიარა ორჯონიკიძე-ცხინვალის გზაზე განლაგებული რუსეთის ჯარების ნაწილები ისე, რომ?..

მაგრამ, მოდით, კითხვის ნიშნებითა და ლვარძლიანი სიუჟეტებით ომს თავი ვანებოთ და ყური მივუგდოთ თქვენს გენერლებს, რომლებმაც უკვე ჩამოიხსნეს ნიღბები და საჯაროდ თავხედურად აცხადებენ გულში ნადებს: — ზოგი რუსეთის ესკადრილიების გამოგზავნითა და თბილისის დაბომბვით გვემუქრება, ზოგი რუსი მოხალისეების შემოსვლით და კიდევ რით...

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ რუსეთის პარლამენტის თავმჯდომარე ხასბულატოვი უკვე „ანაწილებს" ჩვენს მამულ-დედულს და აზრადაც კი არ მოსდის, რომ საქართველო უკვე კარგა ხანია მისი ვასალი აღარ არის და მსოფლიო თანამეგობრობის წევრია...

ალბათ, ამით არის გათავხედებული ჩვენს მიწაზე ჯერ ისევ განლაგებული რუსეთის საოკუპაციო ჯარი, რომელიც ყოველ მომენტს იყენებს იმისთვის, რომ დაერიოს ქართულ ქალაქებს, დაუსჯელად აჭიროთოს თავისი ტანკები ქუჩებში და ცეცხლი აფრქვიოს მშვიდობიან მოსახლეობას ისე, როგორც ამ დღეებში გორში ქნეს.

თავდასხმები სად არ ხდება. თითქმის ყოველდღიურად გვიფეთქებენ ხიდებს, რკინიგზებს, გვირაბებს, ახდენენ ტერორისტულ აქტებს ჩვენს ლიდერებზე, მაგრამ არავინ გამოდის ტანკებით ქუჩებში და არ მუსრავს მოსახლეობას.

გაგვაგებინეთ, რამდენი ტანკი თუ მედესანტე გამოიჭრა ჩრდილოეთ ოსეთის იმ ქალაქსა თუ დაბაში, სადაც რუსეთის სამხედრო ნაწილს „მოსტაცეს" მოძალადეებმა ის ტექნიკა, რომელიც ახლა ცხინვალში გრუხუნებს? რატომ ამაზე არაფერს ამბობს რუსეთის პრესა თუ ტელევიზია? ხელს არ გაძლევთ?

ნათქვამს ერთსაც დავუმატებდით: აქ, ცხინვალთან, განლაგებულ ექსტრემისტ „რაინდებს", რომლებიც მათგან ბოძებული იარაღით გვიხოცავენ ქალებს, ბავშვებს, ფარად ჰყავთ ამოფარებული პოლკის სამხედრო ქალაქში მცხოვრები რუსი ოფიცრების ოჯახები, ქალები და ბავშვები, რომლებსაც ვერ ესვრის ქართული გვარდია.

ეგებ თქვენ გვირჩიოთ, ბატონო ხასბულატოვ: — რა ვქნათ, ვესროლოთ თუ არა მკვლელებს?!

ჭ. ბორი.

Nantucket. **Clipper**™

ოფიციალური დილერი — გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის მცირე სახელმწიფო საწარმო „ალფა“

Clipper 5.0

— ღია არქიტექტურა;
— EXE-ფაილების ახალი გამაერთიანებელი (LINK);
— სწრაფი და ეკონომიკური მუშაობის საშუალება ქსელში;
— პროგრამირების პროცესის დაჩქარებისთვის საჭირო ყველა უტილიტა;
— საკუთარი პროგრამების გავრცელების უფლება MS DOS-ის ოფიციალურად შეძენის გარეშე;
— მასივებთან მუშაობის გაფართოებული საშუალებები (მასივებისადმი მიმართვა, იერარქიული მასივები, მრავალგანზომილებიანი მასივები);
— მონაცემების ახალი ტიპები;
— ახალი ოპერატორები და ოპერატორები გაფართოებული საშუალებებით;
— ცხრილების ვიზუალური შემოწმების გაუმჯობესებული საშუალებები;
— დამატებითი ფუნქციების ჩამატების საშუალება სხვადასხვა ენაზე (C, ასემბლერი, პასკალი) დაწერილი პროგრამების გამოყენებისთვის.
— გახსნილი ფაილების მაქსიმალური რაოდენობა — 250;
— რიცხვები 16 თანრიგის სიზუსტით;
— 1 მილიარდამდე ჩანაწერი მონაცემთა ბაზის ყოველ ფაილში;
— 1024-მდე ველი ყოველ ჩანაწერში;
— 15-მდე აქტიური ინდექსი მონაცემთა ბაზის ყოველი ფაილისათვის;
— სიმბოლური ველი — 32 K-მდე;
— რიცხვითი ველი — 30 თანრიგამდე;
— თარიღის ველი — 8 თანრიგი;
— ლოგიკური ველი — (MEMO) 64 K-მდე;
— მასივები — 4096 ელემენტამდე (ნებისმიერი ტიპის) ყოველ განზომილებაში, განზომილებათა რაოდენობა იზღუდება მხოლოდ მეხსიერების მოცულობით;
— ტექსტური რედაქტორი (PE.EXE);
— დოკუმენტაცია, რომელიც წარმოდგენილია მონაცემთა ბაზის სახით.

Clipper 5.0 შეძენისთანავე თქვენ ხდებით მისი ოფიციალურად რეგისტრირებული მომხმარებელი და გეძლევათ უფლება:

— ლეგალურად დაამუშაოთ და გაავრცელოთ საერთაშორისო ბაზარზე თქვენი საკუთარი კომერციული პროგრამული პროდუქტები, რომლებსაც შექმნით *Clipper 5.0*-ის გამოყენებით;
— ერთი წლის განმავლობაში უფასოდ მიიღოთ პროფესიონალი პროგრამისტებისათვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟურნალი Nantucket News რუსულ ენაზე;
— მიიღოთ ინფორმაცია Nantucket-ის ფირმის ახალ პროდუქციაზე;
— აიმაღლოთ კვალიფიკაცია სერტიფიცირებულ სასწავლო ცენტრებში, მათ შორის ინგლისში, აშშ-ში, ავსტრალიაში, ბრაზილიაში;
— მიიღოთ მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში და სემინარებში Nantucket ფირმის საერთაშორისო კონფერენციების ჩატარების გეგმაში შედის ორი ყოველწლიური შეხვედრა აშშ-ში, სამი — ევროპაში და ერთი — ავსტრალიაში. დამატებითი კონფერენციები გათვალისწინებულია იაპონიაში, ბრაზილიაში და ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებში);
— ფასდაკლებით შეიძინოთ Nantucket-ის სხვა პროგრამული პროდუქტები.

ნუ გადასდებთ CLIPPER 5.0 შეძენას და თქვენ ავტომატურად გახდებით პროგრამისტების საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი!

„ალფა“ უზრუნველყოფს ოფიციალურად რეგისტრირებული მომხმარებლების ტექნიკურ უზრუნველყოფას და კონსულტაციებს, მათ შორის ტელეფონითაც.

დაინტერესებულ პირებს ჩვენ დამატებით გადავცემთ ფირმა NANTUCKET-ის ყველა პროდუქტის ნუსხას ფასების მითითებით და აგრეთვე Nantucket-ის რეგისტრირებული მომხმარებლის უფლებების დეკლარაციას. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ თვითონ გასინჯონ *Clipper 5.0* სადემონსტრაციო პროგრამა ჩვენს კომპიუტერზე და თვითონ დარწმუნდნენ მის მაღალ ეფექტურობაში.

Clipper 5.0 შეგიძლიათ შეიძინოთ თბილისში მისი ღირებულების (30 000 მან.) გადახდისთანავე.

ვიღებთ აგრეთვე შეკვეთებს ამერიკული კორპორაცია BORLAND-ის პროგრამულ პროდუქტებზე. მათი შეძენა შეიძლება საგარანტიო წერილის მიღებიდან სამი კვირის განმავლობაში. ანგარიშსწორება ხდება პროდუქტის მიღებისას.

გთავაზობთ აგრეთვე შემდეგ ტექნიკურ საშუალებებს:

1. IBM-XT (4.6 Mhz, RAM 640 Kb, HDD 32 Mb, FDD 360 Kb, EGA monitor , Printer 132 col.) 150.000 მან. გადარიცხვით, 100.000 მან. ნაღდ ანგარიშზე.
2. ფაქს-მოდემი 9624 70.000 მან. გადარიცხვით.
3. ტელეფაქსი ARFAX-2000 110.000 გადარიცხვით 85.000 ნაღდ ანგარიშზე.
4. თერმოქაღალდი UX-30M 1000 მან. გადარიცხვით, 800 მან. ნაღდ ანგარიშზე.
5. ავტომოპასუხე 50.000 მან. გადარიცხვით.

ფასებში გათვალისწინებულია დამატებითი ღირებულების გადასახადი (28 პროცენტი). საქონლის გაცემა ხდება ფულის ჩარიცხვისთანავე.

გველოდებით:

დაგვირეკეთ: 39-69-77 მობრძანდით, მოგვწერეთ: 380114, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 2, მე-7 სართული (შესასვლელი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შენობის ეზოდან).

ფირმა „ლაზიკა“

ყიდის როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით მოთუთიებული ფურცლით გადახურულ ლითონის ასაწყობ გარაჟებს (რუსეთის წარმოება).

22 კვ.მ. ფართობისა და 2,5 მმ სისქის ლითონის ფურცლებისგან სწრაფად ასაწყობი მყარი ნაგებობის გამოყენება შეიძლება აგრეთვე სავაჭრო-საწარმოო საქმიანობისთვის.

ფირმის მისამართია:
ორხევი, ახვლედიანის
მეორე შესახვევი, 10.
დარეკეთ: 34-85-46,
22-11-54.

ასთმიითა და სასუნთქი ორგანოებით დაავადებულ ავადმყოფთა საყურადღებოდ

მიმდინარე წლის 22 ივნისიდან ქ.რუსთავში, მეგობრობის გამზირზე, ქალაქის №2 ბავშვთა პოლიკლინიკაში ფუნქციონირებას იწყებს სამკურნალო პროფილაქტიკური კომპლექსი „გალაკამერა“, რომელიც შექმნილია ლენინგრადის პულმონოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეთოდის მიხედვით.

მსურველთა წინასწარი ჩაწერა მიმდინარეობს 15 ივნისიდან, 10 სთ-დან 14 სთ-მდე . დღის დანარჩენ დროს დარეკეთ: 12-14-07.

ფირმა „სტიმული“

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის № 502 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი

იწვევს დაინტერესებულ ფირმებს, ორგანიზაციებს, ასოციაციებს, კოოპერატივთან ერთად წილობრივი მონაწილეობის წესით აიშენონ საცხოვრებელი ბინები, ოფისები ყიფშიძის ქუჩაზე (ვაკის ყოფილი სტუდქალაქის მიმდებარე ტერიტორია).

ცნობებისთვის მიმართეთ კოოპერატივის გამგეობას მისამართზე:
ი. ჭავჭავაძის გამზირი, 1, თსუ-ის I კორპუსი,
კადრების განყოფილება.
ტელეფონი: 22-36-19, 34-80-95.

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

საქალაქო მეურნეობის ინფრასტრუქტურის უმაღლესი ტექნიკური ინსტიტუტი აცხადებს

აბიტურიენტთა მიღებას 1992-1993 სასწავლო წლისათვის დღისა და საღამოს სწავლების ქართული და რუსული სექტორების შემდეგ სპეციალობებზე:

— წყალმომარაგება, წყალარინება, წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა;
— თბოაირმომარაგება და მიკროკლიმატი;
ქალაქებისა და დასახლებული ადგილების სანიტარული დასუფთავება;
— საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების სანიტარული მოწყობილობები და ექსპლუატაცია.

ინსტიტუტი ამზადებს კომუნალური დარგის ინჟინერ-მშენებლებს. სწავლის ხანგრძლივობა 4,5 წელია.

ინსტიტუტში ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების შედეგად, რომელიც ჩატარდება ქართულ სექტორზე — მათემატიკასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ სექტორზე — მათემატიკასა და რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ:
თბილისი, კოსტავას I შესახვევი, № 33, ფირმა
„თბილწყალკანალის“ შენობაში
(სანაპიროზე, საცურაო აუზის უკან),
10 ივნისიდან 25 აგვისტომდე. ტელეფონი: 93-22-97.

ფირმა „მკურნალი“ გთავაზობთ:

— გამოკვლევას და მკურნალობას ქ. მოსკოვის ნებისმიერ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მათ შორის ყოფილ „კრემლის“ კლინიკაში, სადაც ავადმყოფებს მოემსახურებიან ცნობილი აკადემიკოსები, პროფესორები, მაღალკვალიფიციური ექიმები, უახლესი სამედიცინო ტექნიკის გამოყენებით.

— უმაღლეს და საშუალო (სამედიცინო, ბიოლოგიური) განათლების მქონე პირებისათვის:
ა. სწავლას ასპირანტურაში დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე;
ბ. სწავლას კლინიკურ ორდინატურაში ნებისმიერი განხრით;
გ. კვალიფიკაციის ამაღლებას.

— სამედიცინო ტექნიკის შეძენას ორგანიზაციებსა და კერძო პირებს.

— 15-17 წლის მოზარდებისათვის წინასწარი გასაუბრების შემდეგ სწავლის გაგრძელებას აშშ-ში. სწავლის ვადა ერთი წელია, მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან ბინითა და კვებით.

ყოველგვარი მომსახურება ფასიანია; ანგარიშსწორება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით.

ცნობებისათვის მოგვმართეთ:
10 სთ-დან 16 საათამდე.
ტელეფონი თბილისში: 38-11-72,
ქუთაისში: 5-34-49.

უძრავი ქონების სააგენტო

«ვექსილი»



სახლმმართველობა,
საკრებულო, ნოტარიუსი,
ტექაღრიცხვის ბიურო,
საბინაო ტრესტი,
სახლმმართველობა,
გაცვლის ბიურო...
ბინის პრივატიზება,
ქაღალდები,
სახლმმართველობა, აქტები,
საკრებულო...
ყველა ამ პრობლემას თავიდან
აგაცილებთ
უძრავი ქონების სააგენტო
„ვექსილი“
დაგვირეკეთ, პირდაპირ ბინის
გასაღებს მოგართმევთ!

ვყიდით:

სახლებს, ბინებს, აგარაკებს.

თბილისი, კოსტავას 10, ტელ: 99 94 03

ფირმა „ლგვ“-ს მთავარი კომერციული ცენტრი ჰყიდის

1. კამაზ—53212 მარკის ახალ ავტომანქანას — 1 ც;
2. კამაზ—4310 მარკის ახალ ავტომანქანას — 2 ც;
3. ზილ—130 საბარგო მანქანას — 1 ც. (ნახმარი);
4. რმპ ტიპის № 1915 მორების დასამუშავებელ დაზგას („პილორამა“);
5. მშენებარე ბინას ვაკეში, საერთო ფართობი — 400 კვ.მ.
აგრეთვე კერძო აგარაკს მცხეთის რაიონში. აგარაკის ფართობია 2000 კვ. მ., აქვს ეზო და ხეხილის ბაღი.

გაყიდვა — სახელშეკრულებო ფასებით.

ცნობებისათვის დარეკეთ ფირმა
„ლგვ“-ში: 37-42-10
9 სთ-დან 18 სთ-მდე (კვირის გარდა).

LGV

ხელით სამართავი ავტომანქანა „ზაპოროჟეცის“

შეძენის მსურველ ინვალიდთა საყურადღებოდ!

პატივცემულო მეგობრებო! უკანასკნელ წლებში შექმნილმა სიტუაციამ თავისი დაღი დაასვა ინვალიდების ხელით სამართავი ავტომანქანებით უზრუნველყოფის საქმეს, რომლებიც სათანადო სამედიცინო ჩვენებების საფუძველზე აღრიცხვაზე იმყოფებიან ქალაქებსა და რაიონების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებში.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ მნიშვნელოვნად გაართულა ამ კატეგორიის ინვალიდთა მდგომარეობა, რადგან ავტომანქანა „ზაპოროჟეცის“ ფასი ძალიან გაიზარდა და დღეისათვის 119 ათას მანეთს აღემატება.

მოგმართავთ თხოვნით, თუ შესაძლებლობა გაქვთ გასწიოთ ასეთი ხარჯი ხელით სამართავი ავტომანქანა „ზაპოროჟეცის“ შესაძენად, ამის შესახებ აცნობეთ თქვენი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას ან უშუალოდ სამინისტროს სოციალური მომსახურების სამმართველოს არა უგვიანეს 1 ივლისისა.

ხელით სამართავი ავტომანქანის შეძენის მსურველთა დაზუსტების შემდეგ სამინისტრო შეეცდება ქარხანასთან უშუალოდ მოლაპარაკების გზით მაქსიმალურად დააკმაყოფილოს თქვენი თხოვნა.

კომერციული ფირმა „გური“

იწვევს ყველას, ვისაც აქვს სურვილი და შესაძლებლობა ზაფხულის 14 დღე გაატაროს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.

თქვენ გეძლევათ შანსი დაისვენოთ მსოფლიოს ისეთ აღიარებულ კურორტებზე, როგორიცაა ანტალია, ქემერი, ფეტიე, დალიანი, მარმარისი, ესმერალი. ფასები ხელმისაწვდომია.

ჩვენ მომსახურებაში შედის „მერსედესის“ მარკის კომფორტული ავტობუსით მგზავრობა, აგრეთვე ყველა იმ საკითხის უმტკივნეულოდ მოგვარება, რომლებსაც ჩვეულებრივ აწყდებიან ყოფილი საბჭოეთის ქვეყნების ტურისტები.

გასვლა ქ.ბათუმიდან. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: თბილისი, დოლიძის ქ. 30.
ქ. ბათუმი, გიორგი ბრწყინვალეს ქ. 112. ტელეფონი: 39560, 21975



საქართველოს კერძო საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტი

აცხადებს

1992-1993 სასწავლო წლისათვის აბიტურიენტთა მიღებას.

ინსტიტუტი ამზადებს:

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, ჯანდაცვის, საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საქალაქო მეურნეობის, ქიმიურ-სატყეო კომპლექსის, აგროსამრეწველო კომპლექსის, საგამომცემლო საქმისა და პოლიგრაფიის, ტრანსპორტის, კვების მრეწველობის ეკონომიკისა და მართვის, აგრეთვე წარმოების ორგანიზაციის პროფილის ინჟინერ-ეკონომისტებს.

აბიტურიენტები გასაუბრებას გაივლიან მათემატიკაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

სტუდენტი, მის მიერ არჩეულ სპეციალობასთან ერთად, დაეუფლება ორ უცხო ენას (იმ ვარაუდით, რომ ერთ უცხო ენაზე შეეძლოს თავისუფლად საუბარი, მეორეზე — ლექსიკონით თარგმნა მაინც). გაძლიერებული პროგრამით შეისწავლის აგრეთვე ბუღალტერიას, სტატისტიკას, ინფორმატიკის საშუალებათა გამოყენებას, ადამიანთმცოდნეობის თეორიას, შრომის ფსიქოლოგიას, სამეურნეო და შრომის სამართალს.

ინსტიტუტში სწავლა ფასიანია. 1992-1993 სასწავლო წლის საფასური შეადგენს 10.000 მანეთს (შემდგომში სწავლის საფასური დადგინდება ფულის ინფლაციის დონის შესაბამისად). სწავლის ხანგრძლივობა 5 წელია.

აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე, საშუალო განათლების ატესტატი (დიპლომი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფ. № 086), 4 ცალი ფოტოსურათი (3x4). საბუთების შემოტანის დროს აბიტურიენტი საორგანიზაციო ხარჯებისთვის იხდის 200 მანეთს.

საბუთები მიიღება 2 ივლისიდან 20 ივლისამდე 12-დან 17 საათამდე შაბათ-კვირის გარდა. აბიტურიენტთა შერჩევა, გასაუბრება და მათთან კონტრაქტის გაფორმება ტარდება 23 ივლისიდან 5 აგვისტომდე. სწავლის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს კონტრაქტის გაფორმებიდან 15 დღის განმავლობაში.

ინსტიტუტი განაგრძობს აგრეთვე მეორე კურსზე სხვა უმაღლეს სასწავლებლებიდან იმ სტუდენტთა გადმოყვანას, ასევე უმაღლეს განათლების მქონე პირთა მიღებას, რომელთაც სურთ ჩვენს ინსტიტუტში სწავლის გაგრძელება ან მეორე სპეციალობის დაუფლება, მათთვის დაწესდება სწავლის შეღავათიანი საფასური.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი 380059, დიდუბის რაიონი, დიღმის მასივის მესამე კვარტალი (147-ე სკოლის შენობა), ინსტიტუტის სამდივნო, ტელეფონი: 51-98-84, 95-38-29.

საქართველოს ეროვნულ-საგანმანათლებლო საზოგადოება

აცხადებს მიღებას საიუველირო საქმის შემსწავლელ კურსებზე, კურსდამთავრებულებს მიეცემათ დიპლომი.

სამკურნალო მასაჟისტების მოსამზადებელ კურსებზე, კურსდამთავრებულებს მიეცემათ დიპლომი.

კურსებზე მიღება იწარმოებს ივნისის ბოლომდე, სწავლა დაიწყება 1 სექტემბრიდან.

მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ: ვაჟა-ფშაველას პრ., 16, XII სართული, 1213 ოთ.

ტელეფონი: 37-96-49, 10 სთ-დან 15 საათამდე.
ტელეფონი: 37-30-59, 10 სთ-დან 20 საათამდე (შაბათისა და კვირის გარდა).

სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკის თბილისის განყოფილების ბაზაზე შეიქმნა საქართველოს ექსპორტ-იმპორტის ბანკი „საქექსიმბანკი“.



საერთაშორისო საბანკო ოპერაციების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით „საქექსიმბანკმა“ პირდაპირი საკორესპონდენტო ურთიერთობა დაამყარა მსოფლიოსა და ევროპის პირველი კლასის ბანკებთან და ანგარიშები გახსნა:

— შვეიცარიის „იუნიონ ბენკ ოფ სვიზერლანდ“-ში (ციურიხი) — შვეიცარულ ფრანკებში, აშშ-ს დოლარებში.
— „ბანკ აუსტრია“-ში (ვენა) — ავსტრიულ შილინგებში, აშშ-ს დოლარებში, გერმანულ მარკებში და იაპონურ იენებში.
— „ცენტრალ ევროპეან ინტერნეიშნლ ბენკ“-ში — (ბუდაპეშტი) — აშშ-ს დოლარებში, გერმანულ მარკებში და შვეიცარულ ფრანკებში.
— იტალიის „ბანკ ტოსკანა“-ში (ფლორენცია) — იტალიურ ლირებში.

აღნიშნულ ბანკებში გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიშების მეშვეობით წამოსული თანხები იმოძრავებს თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვებისა და დაბრკოლების გარეშე,

„საქექსიმბანკი“ დროებით განლაგებულია შემდეგ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შენობა.

ტურისტული მოგზაურობის მსურველთა საყურადღებოდ!

მრავალდარგოვანი კოოპერატივი „ექსპრეს-კ“ გიწვევთ საზღვარგარეთ სამოგზაუროდ — საბერძნეთში (ქ.სალონიკი), სირიაში, ირანსა და თურქეთში შეღავათიან ფასებში.

ცნობებისათვის მოგვმართეთ:
ქუჩიშვილის ქ. 4
(ვერის აბანოსთან).
ტელეფონი:
29-18-48, 60-34-60.
აგრეთვე ქუთაისის ფილიალს:
დავითაშვილის ქ. 15.
ტელეფონი: 6-60-05

ეროვნული თვითმყოფადობის აღორძინების საქველმოქმედო ასოციაცია „მზისასთან“ არსებული ფასიანი პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. საქართველოს ისტორიის ფაკულტეტი; 2. ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ანჯის ქ. 20, №63 საშუალო სკოლა, 10 საათიდან 16 საათამდე ყოველდღე კვირის გარდა.

კინოთეატრ „გაზაფხულის“ პირდაპირ.

გაერთიანება „საქტოქსმეორეულ გადამუშავება“ გთავაზობთ

მ-400
მარკის ცემენტს,
სახელშეკრულებო
ფასებში.
ტელეფონები: 38-15-74,
38-55-47, 22-14-84, 22-12-17

კომერციული ფირმა „იალნო“

იყიდება მრავალდარგოვანი კომერციული ფირმა 5,5 კვ.მ. ფართობის რკინის მოქმედი ჯიხურით.

ტელეფონი: 61-61-83, 19 სთ-ის შემდეგ.

აი რატომ უნდა მობრძანდეთ, ბატონებო,

25 ივნისს
თბილისის
ბიზნეს-ცენტრში



პირველად საქართველოში!



25 ივნისს, ხუთშაბათს
12 საათზე, თბილისის
ბიზნეს-ცენტრი
TBC (თი-ბი-სი)
იწყებს რეგულარულ
სავაჭრო შეკრებებს, რომლებზეც
თქვენ შეგეძლებათ

ყოველგვარი შუამავლის გარეშე

იყიდოთ ან გაყიდოთ ნედლეული,
ფართო მოხმარების
საქონელი, საკვები პროდუქტები, უძრავი ქონება,
ფასიანი ქაღალდები და სხვა.

TBC—ში თქვენ გელით გარიგების გაფორმების
გამარტივებული პროცედურა, მინიმალური საკომისიო პროცენტი.
მხოლოდ ჩვენთან შეგიძლიათ მიიღოთ კვალიფიციური კონსულტაციები
ფასიანი ქაღალდების შესახებ.

ველით თქვენს განაცხადებს!

ჭავჭავაძის პრ. 11,
ტელ: 22-26-07 22-02-12 22-04-16 29-43-56
ტელექსი: 212915 *TBC SU* ფაქსი 29-43-56

TBC

ყოველგვარი შუამავლის გარეშე!

საქართველოს საქმიანი მომავლისათვის!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტთან არსებული ბიზნესის უმაღლესი სკოლა აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას

საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობაზე

სწავლება იწარმოებს ამერიკის შეერთებული შტატების ბიზნესის სკოლების პროგრამით; ლექცია-სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის მოწვეულია ამერიკის, ევროპის, აგრეთვე სხვა უცხოეთის ქვეყნებისა და თბილისის უნივერსიტეტის წამყვანი, პროფესორ-მასწავლებლები, პრაქტიკოსი მუშაკები და ბიზნესმენები.

სწავლების ხანგრძლივობა განისაზღვრება 4 წლით, სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შედეგად სტუდენტებს მიეცემათ ბიზნესის უმაღლესი სკოლის დიპლომი საერთაშორისო სერტიფიკატით და მიენიჭებათ ბაკალავრის წოდება.

სწავლების პროცესში განსაზღვრულია მოკლე და გრძელვადიანი სტაჟირება საზღვარგარეთ,

სწავლების დამთავრების შემდეგ გამორჩეულ სტუდენტებს მიეცემათ რეკომენდაცია უცხოეთის ფირმებში სამუშაოდ

სწავლების მეორე სემესტრიდან ფრიადოსან სტუდენტებს მიეცემათ სტიპენდია, სტიპენდიის ნაწილი გაიცემა ამერიკულ დოლარებში (შესაბამისი კურსის მიხედვით).

სწავლება ფასიანი, ყოველი სტუდენტის 1 წლით მომზადება ჯდება 20 ათასი მანეთი და 500 ამერიკული დოლარი, მიიღება მხოლოდ ერთი ჯგუფი — 25 კაცი.

მისაღები გამოცდა ჩატარდება მათემატიკაში (ტესტებით), გასაუბრება ქართულსა და უცხო ენაში,

საბუთები მიიღება 1 სექტემბრამდე, ტესტირება და გასაუბრება 7-10 სექტემბერს, სწავლება დაიწყება 14 სექტემბრიდან.

ცნობებისათვის მიაკითხეთ ბიზნესის უმაღლესი სკოლის ოფისს მისამართზე: უნივერსიტეტის ქ. № 2, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული, ოთახი № 1108.

ტელეფონი: 30-01-07, 36-40-28; ფაქსი: 308-964; ტელექსი: 21-22-91 „ჭვარი“.

კაზინოს გახსნის მსურველთა საყურადღებოდ !

ფირმა „მთიები“
გთავაზობთ მაგიდების
კომპლექტს და კაზინოს
პერსონალის მომზადებას.

ფირმის მისამართია:
ვაჟა-ფშაველას პრ. 59
ტელ: 31-40-66 (10-დან 14 სთ-მდე)
39-24-25 (21-დან 22 სთ-მდე)



საქართველოს ხელოვნების აკადემია (შექმნილია სამუსიკო-პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე) აცხადებს მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

— საშემსრულებლო (საფორტეპიანო, საორკესტრო, საგუნდო-სადირიჟორო, ხალხური საკრავები), — მუსიკისმცოდნეობა (თეორიული),

მიიღებიან საშუალო სამუსიკო განათლების მქონე პირები. სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია. აბიტურიენტთა ასაკი განუსაზღვრელია.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: — განცხადება, — სამი ფოტოსურათი (3x4), — ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, — დიპლომის ან ატესტატის ასლი, — მომუშავეებმა — ამონაწერი შრომის წიგნაკიდან. პროფილით მომუშავე აბიტურიენტებს მიენიჭებათ უპირატესობა. საბუთები მიიღება 25 ივნისიდან 6 ივლისამდე. გამოცდები დაიწყება 10 ივლისს. სწავლა სამეურნეო ანგარიშზეა.

მისამართი: გ. ქიქოძის ქუჩა (ყოფილი გაზარაძის), 8. ტელეფონი: 93-36-12, 93-67-63. ხელოვნების მოღვაწეთა სახლი

გამოყენებითი ბოტანიკისა და მწვანე მშენებლობის უმაღლესი კომერციული სასწავლო ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამკურნალო მცენარეთა მშენებლობა და ექსპლუატაცია — სამკურნალო მცენარეთა მენეჯერი;
2. მწვანე ნარგაობათა არქიტექტურა და მშენებლობა — მწვანე ნარგაობათა არქიტექტორ-მენეჯერი;
3. დენდროლოგია და სანერგე მეურნეობა — დენდროლოგ-მენეჯერი; 4. მევავილეობა და სასათბურე მეურნეობა — მევავილეობის მენეჯერი.

გასაუბრება მოეწყობა ბოტანიკასა და ზოგად ბიოლოგიაში.
საბუთების მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 10 ივლისიდან 15 აგვისტომდე, 10 საათიდან 16 საათამდე.
გასაუბრება მოეწყობა 17-დან 22 აგვისტოს ჩათვლით.
საბუთები უნდა წარმოადგინოთ საერთო წესით.
დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას.
მისამართი: თბილისი 380005, ბოტანიკური ქ. 1. თბილისის ბოტანიკური ბაღი. გამოყენებითი ბოტანიკისა და მწვანე მშენებლობის ინსტიტუტი. ტელეფონი: 72-11-85, 72-26-19.

სარეკლამო სააგენტო „ფორმა“

ტელეფონი: 99 86 96

Forma

ALL RIGHTS RESERVED

საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული თბილისის სავაჭრო-ეკონომიკური ინსტიტუტი

აცხადებს 1992-93 სასწავლო წლისათვის აბიტურიენტთა საბუთების მიღებას საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის (საგარეო ვაჭრობის უცხო ენის მცოდნე ეკონომისტის) სპეციალობაზე. სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია. სწავლება ქართულ ენაზეა.

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი. ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით. სასწავლებელში შემსვლელებმა განცხადებას უნდა დაურთონ: საშუალო განათლების საბუთის დედანი; სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086); ექვსი ფოტოსურათი (3X4); პასპორტს და სამხედრო მოწმობას აბიტურიენტი წარადგენს პირადად. განცხადებები მიიღება 1 ივლისიდან 30 ივლისამდე. მისაღები გამოცდები მოეწყობა 1 აგვისტოდან 15 აგვისტომდე.

აბიტურიენტები გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:
— საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფია (ზეპირი); — უცხო ენა (ზეპირი); ქართული ენა და ლიტერატურა (წერა). წერითი და ზეპირი გამოცდების შეფასება მოხდება 5, 10 ან 20-ქულიანი სისტემით. სწავლა ფასიანია. გამოცდები მოეწყობა საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებული მისაღები გამოცდების პროგრამებით. აბიტურიენტები ჩაირიცხებიან გამოცდებზე დაგროვილ ქულათა ჯამის მიხედვით. განრიგით დანიშნულ გამოცდაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში აბიტურიენტი მომდევნო გამოცდაზე არ დაიშვება.

საბუთების მიღება — ყოველდღე, კვირის გარდა, 10 სთ. 16 სთ-მდე.

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი, 71.
ტელეფონი: 31-44-88

ვისაც გსურთ დაეუფლოთ მედდის ან სამეანო (ბებია ქალის) სპეციალობას

თბილისის ა/კ რკინიგზის პროფ. ნ. კახიანის სახ. საგზაო კლინიკური საავადმყოფოს (დიღმის მასივი) ბაზაზე გახსნილი სამედიცინო სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე: მედდის საქმე და სამეანო საქმე.

სასწავლებლად მიიღებიან სრული და არასრული საშუალო განათლების მქონე პირები. სწავლების ვადა შესაბამისად 2 და 3 წელია.

მოსწავლეები აგრეთვე დაეუფლებიან მასაჟისტისა და კოსმეტიკოსის სპეციალობებს და მიიღებენ შესაბამის მოწმობებს. საბუთები მიიღება 15 ივლისამდე, ყოველდღე კვირის გარდა 10 სთ-დან 15 სთ-მდე. მსურველებმა უნდა წარადგინონ: 1. განცხადება დირექტორის სახელზე; 2. ატესტატი (დედანი); 3. ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 086); 4. ოთხი ფოტოსურათი (3X4); 5. პასპორტი.

არასრული საშუალო განათლების მოსწავლეები მისაღებ გამოცდას აბარებენ ადამიანის ანატომიაში, სრული საშუალო განათლების მქონენი — ბიოლოგიაში. სწავლა დაიწყება 1992 წლის 15 სექტემბერს.

სასწავლებელში სწავლა ფასიანია. სწავლის გადასახადის შეტანა შეიძლება როგორც ნაღდი ანგარიშით, ისე გადარიცხვით. მოსწავლეებისათვის, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობები გაიმართება რკინიგზის საავადმყოფოს აუდიტორიებში. მსურველებს შეუძლიათ სწავლის პროცესში იქვე იმუშაონ უმცროსი მედდის თანამდებობაზე შესაბამისი ანაზღაურებით.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, ლუბლიანას ქ. 5, ა/კ რკინიგზის პროფ. ნ. კახიანის სახ. საგზაო კლინიკური საავადმყოფო, I სართული, საშუალო სამედიცინო სასწავლებლის დირექცია.
ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ: დღისით — 51-76-15.
საღამოს — 22-45-16.

იჩქარეთ!

ჩვენი სასწავლებლის კურსდამთავრებული ერთდროულად დაეუფლება სამ სპეციალობას და ისარგებლებს ყველა იმ უფლებებით, რაც გათვალისწინებულია შრომითი დასაქმებისა და სწავლის გაგრძელების შესახებ არსებული კანონმდებლობით.

გიძლევით ხარისხიან და იაფი სწავლის გარანტიას.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას 1992-93 სასწავლო წელს შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

მექანიზაციის ფაკულტეტი — „მიწათმოქმედების მექანიზაცია" (დასწრებული), „მეცხოველეობის მექანიზაცია" (დასწრებული), „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი" (დასწრებული), „ჰიდრომელიორაციულ სამუშაოთა მექანიზაცია" (დასწრებული), „სოფლის მეურნეობის მექანიზაცია" (დაუსწრებელი).

ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტი — „ჰიდრომელიორაცია" (დასწრებული, დაუსწრებელი);

ელექტროფიკაციის ფაკულტეტი — „სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია" (დასწრებული);

ეკონომიკის ფაკულტეტი — „აგროსამრეწველო კომპლექსის დარგთა ეკონომიკა და მართვა" (დასწრებული, დაუსწრებელი), „საზღვარგარეთის ქვეყნების სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია" (დასწრებული, დაუსწრებელი), „ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსები" (დასწრებული, დაუსწრებელი);

სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტი — „მიწათმოწყობა" (დასწრებული), „სატყეო-სამეურნეო" (დასწრებული, დაუსწრებელი), „საბაღე-საპარკე მეურნეობა" (ქალაქების გამწვანება და ეროვნული პარკები, დაუსწრებელი);

მებაღეობა-მევენახეობისა და ტექნოლოგიის ფაკულტეტი — „მეხილეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა" (დასწრებული, დაუსწრებელი), „მეაბრეშუმეობა" (დასწრებული), „დაკონსერვების (ხილის, ბოსტნეულის, ხორცისა და თევზის) ტექნოლოგია" (დასწრებული, დაუსწრებელი), „სამადუღრო წარმოების (ლუდის, ლიქიორ-არაყის, სპირტის, უალკოჰოლო სასმელების) და მეღვინეობის ტექნოლოგია" (დასწრებული, დაუსწრებელი), „ხილბოსტნეულის შენახვისა და პირველადი გადამუშავების ტექნოლოგია" (დაუსწრებელი);

აგრონომიული ფაკულტეტი — „აგროქიმია-ნიადაგთმცოდნეობა" (დასწრებული), „მცენარეთა დაცვა" (დასწრებული, დაუსწრებელი), „სელექცია-გენეტიკა" (დასწრებული) "მემინდვრეობა" (დასწრებული, დაუსწრებელი), „საკვებწარმოება" (დასწრებული, დაუსწრებელი).

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში სხვა ინსტიტუტებიდან გადმომსვლელ სტუდენტთა საყურადღებოდ!

1. სხვა ინსტიტუტებიდან დაუსწრებელი სწავლების ფორმაზე გადასაყვანად სტუდენტზე გადასახადი შეადგენს: ა) II-III კურსზე გადმოყვანისთვის ერთჯერადი შესატანი — 7 ათასი მანეთი, ბ) IV-V კურსზე გადმოყვანისთვის ერთჯერადი შესატანი — 5 ათასი მანეთი.

2. სხვა ინსტიტუტებიდან დასწრებული სწავლების ფორმაზე გადმოყვანისთვის ვაკანტური ადგილის არსებობისას სტუდენტზე გადასახადი თანხა შეადგენს: ა) II-III კურსზე გადმოყვანისთვის ერთჯერადი შესატანი — 14 ათასი მანეთი; ბ) IV კურსზე გადმოყვანისთვის ერთჯერადი შესატანი — 12 ათასი მანეთი. ერთჯერადი საფასურის გადახდა შეიძლება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით.

ცნობებისთვის მიმართეთ უნივერსიტეტის მიმღებ კომისიას.

აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ დისციპლინებში, შემდეგი თანმიმდევრობით:

სპეციალობებზე — „მიწათმოქმედების მექანიზაცია", „მეცხოველეობის მექანიზაცია", „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი", „ჰიდრომელიორაციულ სამუშაოთა მექანიზაცია", „სოფლის მეურნეობის მექანიზაცია", „ჰიდრომელიორაცია", „სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია და ავტომატიზაცია", „მიწათმოწყობა" — **მათემატიკა (წერა და ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).**

სპეციალობებზე — „აგროსამრეწველო კომპლექსის დარგთა ეკონომიკა და მართვა", „საზღვარგარეთის ქვეყნების სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია", „ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსები" — **მათემატიკა (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), გეოგრაფია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).**

სპეციალობებზე — „დაკონსერვების (ხილის, ბოსტნეულის, ხორცისა და თევზის) ტექნოლოგია", „სამადუღრო წარმოების (ლუდის, ლიქიორ-არყის, სპირტის, უალკოჰოლო სასმელების) და მეღვინეობის ტექნოლოგია" — **მათემატიკა (წერა), ქიმია (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).**

სპეციალობებზე — „სატყეო-სამეურნეო", „საბაღე-საპარკე მეურნეობა" (ქალაქების გამწვანება და ეროვნული პარკები), „ხილბოსტნეულის შენახვისა და პირველადი გადამუშავების ტექნოლოგია" — **მათემატიკა (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).**

სპეციალობებზე — „მეხილეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა", „მეაბრეშუმეობა", „მემინდვრეობა", „საკვებწარმოება" — **ფიზიკა (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).**

სპეციალობებზე — „აგროქიმია-ნიადაგთმცოდნეობა", „მცენარეთა დაცვა", „სელექცია-გენეტიკა" — **ქიმია (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).**

შენიშვნა: აბიტურიენტები, რომლებმაც დაამთავრეს არაქართული სკოლა და სურთ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება, აბარებენ: **ქართულ წერას — საკითხულის შინაარს, ხოლო ყველა სხვა საგანი შეუძლიათ ჩააბარონ რუსულ ენაზე.**

უნივერსიტეტში მიღების წესების შესაბამისად:

1. აბიტურიენტებად მიიღებიან საშუალო განათლების მქონე პირები ასაკის შეუზღუდავად;
2. უნივერსიტეტში შესვლისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით;
3. ყველა ფაკულტეტზე, სწავლების ყველა ფორმაზე კონკურსი ტარდება სპეციალობების მიხედვით;
4. აბიტურიენტებმა განცხადებას მისაღებ გამოცდაზე დაშვების შესახებ თან უნდა დაურთონ:
   ა. საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი (დანართთან ერთად);
   ბ. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086);
   გ. ექვსი ფოტოსურათი (3X 4);
   პასპორტისა და სამხედრო დოკუმენტის წარმოდგენა აუცილებელია საბუთების ჩაბარებისა და გამოცდებზე გასვლის დროს.
5. **განცხადებებს უნივერსიტეტის მიმღები კომისიის სამდივნო იღებს 1 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლი ყოველდღე (გარდა კვირისა) 10 საათიდან 16 საათამდ**
6. **მისაღები გამოცდები ჩატარდება 23 ივლისიდ 10 აგვისტოს ჩათვლით.**
   ჩარიცხვა დამთავრდება 15 აგვისტომდე.
7. მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული მომსახურებისთვის აბიტურიენტებმა უნდა გადაიხადონ 14 მანეთი. ჩაჭრილ აბიტურიენტებს აღნიშნული თანხა უკ არ დაუბრუნდებათ.
8. აბიტურიენტთა პასუხი გამოცდებზე ათბალიანი სისტემით შეფასდება.
9. აბიტურიენტთა ჩარიცხვა უნივერსიტეტში მოხდებ მისაღებ გამოცდებზე დაგროვილი ქულათა ჯამის საფუძველზე.
10. თანაბარქულიანი აბიტურიენტები ჩაირიცხებია კომისიის მიერ შემუშავებული კრიტერიუმის მიხედვით

უნივერსიტეტში ღია კარის დღე მოეწყობა 29 ივნისს, 12 საათზე.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, დიღომ
380031, დავით აღმაშენებლის ხევან
მე-13 კმ. საქართველოს აგრარულ
უნივერსიტეტი, ავტ. 27, 5

☎ 51-92-66

კულტურის ფენომენისა და ეროვნული ფსიქოლოგიის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრთან არსებული ქ. თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ფასიანი ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის დღისა და საღამოს დასწრებული განყოფილებების შემდეგ სპეციალობებზე:

ფსიქოლოგია, სოციოლოგია, საერთაშორისო ჟურნალისტიკა, ისტორია, პოლიტოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.

ჰუმანიტარულ სპეციალობებზე გამოცდები მოეწყობა შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი), უცხო ენა; ეკონომიკურ სპეციალობაზე — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი), მათემატიკა (წერა).

საბუთების მიღება იწარმოებს 15 ივნისიდან 12 ივლისამდე. გამოცდები ჩატარდება 12-დან 18 ივლისამდე.

ინსტიტუტის მისამართია: ქ. თბილისი, დ.უზნაძის (ყოფილი კამოს) ქუჩა, 68 (რესპუბლიკის განათლების სამინისტროს II კორპუსის ეზოში).

ცნობებისა და კონსულტაციებისთვის შეგიძლიათ მიმართოთ აღნიშნულ მისამართზე დღის 14 საათიდან 17 საათამდე.

ტელეფონი: 95-70-01.

ინსტიტუტი სრულ სამეურნეო ანგარიშზეა.

სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
1) საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი (დანართთან ერთად);
2) სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086 უ);
3) ოთხი ფოტოსურათი (3X4);
4. პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

საქართველოს უშიშროების უმაღლესი სკოლა აცხადებს მსმენელთა მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის

უმაღლესი სკოლა ამზადებს იურისტებს უმაღლესი განათლებით, სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

დასწრებულ განყოფილებაზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე 30 წლამდე ასაკის მამაკაცები. საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის, თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სასაზღვრო ჯარების სარდლობის რეკომენდაციით საკონკურსო გამოცდების შედეგების საფუძველზე. სკოლის დამთავრების შემდეგ აღნიშნული პირები სამუშაოდ განაწილდებიან იმ ორგანოებში, რომელთა რეკომენდაციითაც იქნებიან ისინი მივლინებული უმაღლეს სკოლაში.

სწავლის ვადა დასწრებულ განყოფილებაზე 5 წელია, დაუსწრებელზე — 6 წელი.

დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან მხოლოდ საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები (დაწვრილებითი ცნობებისათვის თანამშრომლებმა უნდა მიმართონ შესაბამის კადრების აპარატებს).

საკონკურსო მისაღები გამოცდები იწარმოებს ერთდროულად სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან შემდეგ საგნებში: — სამართალმცოდნეობა (ზეპირი); — საქართველოს ისტორია (ზეპირი); — უცხო ენა (ზეპირი); — ფიზიკურ მომზადებაში ნორმატივების ჩაბარება (ჩათვლა). სწავლის მსურველებმა უნდა მიმართონ იმ ორგანოებს, რომელთა რეკომენდაციითაც აბიტურიენტები დაიშვებიან მისაღებ გამოცდებზე. მისაღები გამოცდები მოეწყობა 20 ივლისიდან 5 აგვისტოს ჩათვლით. ჩარიცხვა დამთავრდება 10 აგვისტოს.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ქერჩის ქ. 22.
ტელეფონი: 67-36-13, 67-52-47.



საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი

აცხადებს

სტუდენტთა მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. სუბტროპიკული მეურნეობის აგრონომია, აგრონომ-მენეჯერის კვალიფიკაციით (ქართული და რუსული სექტორები); 2. სუბტროპიკულ მცენარეთა სელექცია-მეთესლეობა, აგრონომ-ბიოლოგის კვალიფიკაციით (ქართული სექტორი); 3. სუბტროპიკულ მცენარეთა დაცვა, აგრონომ-ბიოლოგის კვალიფიკაციით (ქართული სექტორი); 4. საბაღო-საპარკო მშენებლობა და ლანდშაფტური არქიტექტურა, მწვანე მშენებლობის ინჟინრის კვალიფიკაციით (დასწრებულზე ქართული, დაუსწრებელზე ქართული და რუსული სექტორები); 5. სუბტროპიკული მეურნეობის მექანიზაცია, ინჟინერ-მენეჯერის კვალიფიკაციით (ქართული და რუსული სექტორები); 6. სუბტროპიკული კულტურებისა და გემო-კვების პროდუქტთა ტექნოლოგია, ტექნოლოგ-მენეჯერის კვალიფიკაციით (ქართული და რუსული სექტორები); 7. სუბტროპიკული მეურნეობის ეკონომიკა და მართვა, ეკონომისტ-მენეჯერის კვალიფიკაციით (ქართული სექტორი); 8. ბიოტექნოლოგია, ბიოტექნოლოგ-მენეჯერის კვალიფიკაციით (დასწრებული სწავლების ქართული სექტორი).

ინსტიტუტში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: — სუბტროპიკული მეურნეობის აგრონომიის, სელექცია-მეთესლეობისა და მცენარეთა დაცვის სპეციალობებზე: ბიოლოგია (ზეპირი), ქიმია (ზეპირი). საბაღო-საპარკო მშენებლობისა და ლანდშაფტური არქიტექტურის სპეციალობაზე: ხატვა, ბიოლოგია (ზეპირი). სუბტროპიკული მეურნეობის მექანიზაციის სპეციალობაზე: მათემატიკა (წერა), ფიზიკა (ზეპირი). სუბტროპიკული კულტურებისა და გემო-კვების პროდუქტთა ტექნოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის სპეციალობებზე: ქიმია (ზეპირი), მათემატიკა (წერა). სუბტროპიკული მეურნეობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაზე: მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი).

აბიტურიენტები ყველა სპეციალობაზე აბარებენ წერით გამოცდას მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში. გამოცდები მოეწყობა საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ 1992 წ. დამტკიცებული უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების პროგრამით. აბიტურიენტები ჩაირიცხებიან მისაღებ გამოცდებზე დაგროვილი ქულების ჯამის მიხედვით.

ინსტიტუტში მიღების შესახებ რექტორის სახელზე შეტანილ განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:
საშუალო განათლების მოწმობა (დედანი);
სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086);
6 ფოტოსურათი (3X4).
პასპორტსა და სამხედრო საბუთს აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.
აბიტურიენტთა განცხადებებისა და საბუთების მიღება — 1-დან 20 ივლისამდე.

აბიტურიენტებსა და სტუდენტებს ინსტიტუტი უზრუნველყოფს საერთო საცხოვრებლით.

მისამართი: 384904, ქ. სოხუმი, ქუთაისის ქ. 2.

თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის უმაღლესი პროფესიული კოლეჯი

საერთაშორისო გადაზიდვებში საქართველოს რესპუბლიკის ჩართვის აუცილებლობის გამო კვალიფიციური საინჟინრო-ტექნიკური კადრების მომზადების მიზნით, თბილისის რკინიგზის ტექნიკუმი გადაკეთდა უმაღლეს პროფესიულ კოლეჯად.
კოლეჯი მოამზადებს წარმოებათა საშუალო რგოლის მუშაობის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობისათვის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს.

1992-93 სასწავლო წლისათვის კოლეჯი აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

დღის განყოფილებაზე: 1. ლოკომოტივებისა და ვაგონების ექსპლუატაციის მენეჯერი (ქართული სექტორი — 11 კლასის ბაზა); 2. რკინიგზის ტექნიკური ექსპლუატაციის მენეჯერი (რუსული სექტორი — 9 კლასის ბაზა); 3. რკინიგზის ექსპლუატაციის კომერციული საქმის მენეჯერი (ქართული სექტორი — 11 კლასის ბაზა); 4. რკინიგზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის მენეჯერი (ქართული სექტორი — 9 კლასის ბაზა); 5. ენერგომომარაგების ექსპლუატაციის მენეჯერი (ქართული სექტორი - 9 კლასის ბაზა); 6. ავტომატიკა-ტელემექანიკის ექსპლუატაციის მენეჯერი (რუსული სექტორი - 11 კლასის ბაზა); 7. საბუღალტრო საქმის მენეჯერი (ქართული სექტორი - 11 კლასის ბაზა).

დაუსწრებელ განყოფილებაზე: 1. ლოკომოტივებისა და ვაგონების ექსპლუატაციის მენეჯერი (ქართული და რუსული სექტორები); 2. რკინიგზის ტექნიკური ექსპლუატაციის მენეჯერი (ქართული და 3. რკინიგზის ექსპლუატაციის კომერციული საქმის მენეჯერი (ქართული და რუსული სექტორები — 11 კლასის ბაზა); 4. რკინიგზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის მენეჯერი (ქართული სექტორი — 11 კლასის ბაზა); 5. ენერგომომარაგების ექსპლუატაციის მენეჯერი (ქართული და რუსული სექტორები — 11 კლასის ბაზა); 6. ავტომატიკა-ტელემექანიკის ექსპლუატაციის მენეჯერი (ქართული და რუსული სექტორები — 11 კლასის ბაზა); 7. საბუღალტრო საქმის მენეჯერი (ქართული და რუსული სექტორები — 11 კლასის ბაზა).

კოლეჯის დღის განყოფილების პირველ კურსზე ჩაირიცხებიან 9 კლასდამთავრებულები, ხოლო მეორე კურსზე — საშუალო-ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ან პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულები. დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩაირიცხებიან მხოლოდ საშუალო-ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ან პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულები. კოლეჯის დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე ჩარიცხულ სტუდენტებზე წარმოება-დაწესებულებები ყოველწლიურად იხდიან 1000 მანეთს სპეც. კურსებისა და სხვა ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის.

საბუთების მიღება — 1 ივლისიდან 1 აგვისტომდე, დაუსწრებელ განყოფილებაზე — 3 მაისიდან 1 აგვისტომდე, 10 საათიდან 15 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).
მისაღები გამოცდები მოეწყობა 1 აგვისტოდან:
1. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა); 2. მათემატიკაში (ზეპირი);

აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
1. ატესტატი (დედანი); 2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086 უ); 3. ექვსი ფოტოსურათი (3X4); 4. დაბადების მოწმობა ვაჟებისათვის (ასლი); 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან (დაუსწრებელი სწავლებისათვის); 6. შრომის წიგნაკი და ამონაწერი (დაუსწრებელი სწავლებისათვის);

კოლეჯში სწავლა უფასოა. სტუდენტებს მიეცემათ სტიპენდია დადგენილი წესით და რკინიგზელთათვის არსებული შეღავათები. სპეციალობათა სპეციფიკის გათვალისწინებით კოლეჯში უპირატესად მიიღებიან ვაჟები, რომელთათვისაც კოლეჯს აქვს კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებელი. კოლეჯის დამთავრებამდე სამხედრო სამსახურში ვაჟებს არ გაიწვევენ.

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, 138

მიმდინარეობს მიღება მსუბუქი ავტომობილების მძღოლთა მოკლევადიან მოსამზადებელ კურსებზე.
კურსდამთავრებულები მიიღებენ მძღოლის საერთაშორისო მოწმობებს.
მისამართი: ქ. თბილისი, ძმები გარიშვილების ქ. 6,
მეტრო „თემქასთან", № 154
პროფ.-ტექ. სასწავლებელი.
ტელეფონი: 68-39-30.

საბუღალტრო აღრიცხვისა და საგადასახადო კანონმდებლობის შემსწავლელთა საყურადღებოდ!

სასწავლო-სამეცნიერო მცირე საწარმო „ბუღალტერ-ექსპერტთან" არსებული 35-დღიანი კურსების დამთავრების შემდეგ ყველა დაინტერესებული პირი დამოუკიდებლად შესძლებს საბუღალტრო აღრიცხვის წარმოებას კოოპერატივებში, მცირე საწარმოებსა და ფირმებში.

ფუნქციონირებს ჯგუფი, სადაც ასწავლიან საბუღალტრო აღრიცხვას პერსონალური კომპიუტერის გამოყენებით.

ყველა კურსდამთავრებული მიიღებს შესაბამის მოწმობას.

მსურველები უნდა გამოცხადნენ 23 ან 24 ივნისს, პეტრიაშვილის ქ. 7-ში, ქართული გიმნაზიის შენობაში 18-დან 19 საათამდე.

სწავლა დაიწყება 25 ივნისს.
ტელეფონი: 22-20-11,
22-11-06.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ს. ს. ს. ა. სამართველოსთან არსებული ფასიანი მედიკო-ბიოლოგიური კოლეჯი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამკურნალო საქმე (საფერშლო); 2. ლაბორატორიული დიაგნოსტიკა (ფერშალ-ლაბორანტი); 3. მედდის საქმე (მედდა).

ყველა სპეციალობაზე მიღება იწარმოებს ქართულ და რუსულ სექტორებზე, როგორც არასრული (9 კლ. ბაზა), ისე სრული საშუალო სკოლ ბაზაზე. **განცხადებას დირექტორის სახელზე თან უნდა დაერთოს:** 1. სრული ან არასრული საშუალო სკოლის განათლების ატესტატი (დედანი); სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086); 3. 6 ფოტოსურათი (3X4). **საბუთების მიღება — ყოველდღიურად, კვირის გარდა 18 ივნისიდან 15 აგვისტომ 16 საათიდან 19 საათამდე.**

ჩარიცხვა გასაუბრებით (არასრული საშ. სკოლის ბაზაზე — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და ანატომიაში, სრული საშ. სკოლ ბაზაზე — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და ბიოლოგიაში).

სასწავლებლის მისამართია: თბილისი, ქავთარაძის ქ. 23, მე-2 ექსპერიმენტული საშუალო სკოლა. ტელეფონი: 31-17-28, 30-49

ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ მიმდინარე წლის 10 ივნისს საქართველოს მწერალთა კავშირის ინიციატივით გაიმართა შემოქმედებითი კავშირების პლენუმი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ თითქმის ყველა დარგის შემოქმედი მუშაკები — მწერლები, ჟურნალისტები, მხატვრები, კინემატოგრაფისტები, თეატრის მოღვაწეები, დიზაინერები, არქიტექტორები, მუსიკალური ხელოვნების წარმომადგენლები.

პლენუმზე გამოიკვეთა ერთსულოვანი აზრი, რომ თანამედროვე პირობებში უაღრესად კრიზისული ვითარება შეექმნა ქართული კულტურის განვითარებას, როგორც მორალური, ასევე მატერიალური ბაზის თვალსაზრისით. ამ ვითარების გამოსასწორებლად საჭიროა ხელისუფლების ორგანოებმა მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ ეროვნული კულტურის განვითარებისთვის. გამოიკვეთა აზრი, რომ საჭიროა მთელი შემოქმედებითი ძალების ერთიანობა და დარაზმვა, რათა ერთობლივი ძალისხმევით გზა გადაეკეტოს ეროვნული კულტურის წინააღმდეგ ყოველგვარ გამოხდომას.

პლენუმის გადაწყვეტილებით არჩეულია შემოქმედებითი კავშირების საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც შევიდნენ ყველა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარეები. გადაწყდა, რომ საკოორდინაციო საბჭოს რიგ-რიგობით ორ-ორ თვეს უხელმძღვანელებს თითოეული შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე. ქვემოთ გთავაზობთ გურამ ფანჯიკიძის სტატიას, რომელსაც საფუძვლად უდევს ამ პლენუმზე წარმოთქმული სიტყვა.

იმედია, მკითხველი გამოეხმაურება მწერლის მიერ მწვავედ აღძრულ საკითხებს.

საზრისი

ცალკეულთა გაბრძოლებანი საქმეს ვერ უშველის

გურამ ფანჯიკიძე

ვფიქრობთ, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ეს გაერთიანებული პლენუმი ადრე რომ მოწვეულიყო, თუნდაც რამდენიმე წლის წინათ, მაშინ ჩვენ შევძლებდით გაერთიანებული ძალებით თავიდან ბევრი უსიამოვნება და გულისტკივილი აგვეცილებინა, რამაც, საბოლოო ჯამში, მთელი ქართული კულტურა, ქართველი საზოგადოებრიობა დააზარალა.

არაერთხელ გვიგრძვნია ცენზურის, მთავრობის შემძრწუნებელი, შეურაცხმყოფელი ზემოქმედება, რომელთანაც ბრძოლაში უზარმაზარი ენერგია დაუხარჯავს მწერალს. ხშირად ეს ბრძოლა მას ჯანმრთელობის შერყევის, ნერვული სისტემის მოშლის ფასადაც დასჯდომია. რამდენ უსამართლოდ აკრძალულ, შეჩერებულ თუ შეკვეცილ სპექტაკლს შეუშფოთებია და გაუმწარებია თეატრის მთელი კოლექტივი, საზოგადოებრიობა.

ყოველ ასეთ ბრძოლას ეწირებოდა შემოქმედთა არა მარტო ჯანმრთელობა და უზარმაზარი ენერგია, არამედ ემატებოდა შეურაცხყოფის, ჯათელვის, აბუჩად აგდების დამთრგუნველი გრძნობა, სულიერად რომ ანადგურებდა ადამიანს.

ბევრს გული გაუტყდა და ასცდა ჭეშმარიტი შემოქმედის გზას, ბევრი შენილბვასა და კომპრომისებს შეეჩვია, ბევრმა საერთოდ ჩაიქნია ხელი. და ვინ მოთვლის, ამ ძალმომრეობის გამო რა ზარალი ნახა ჩვენმა კულტურამ.

პოლიტიკურ ბრძოლებს თან ერთვოდა ზოგიერთ ხელმოცარულ, ვალისიანებულ კრიტიკოსთა თავდასხმებიც, რომლებიც პოლიტიკურ შტამპებს, პოლიტიკურ კონიუნქტურას ამოფარებულნი და სხვების მიმართ პოლიტიკური ბრალდებებით ზურგგამაგრებულნი დაუნდობლად ილაშქრებდნენ ნიჭიერ შემოქმედთა წინააღმდეგ.

როგორ ვიბრძოდით, რა ძალა გვქონდა მაშინ, ან რა ძალა გვაქვს დღეს ამ უმსგავსოებასთან საბრძოლველად?

განა გუშინ არ იყო, უკანასკნელი სიტყვებით რომ ლანძღავდნენ ჩვენს საამაყო მწერლებს, ხელოვნების მუშაკებსა და მეცნიერებს? განა გუშინ არ იყო, „გაწუწკებულებს", „ჭამილოკიებსა" და „ქინქლა ბუზებს" რომ გვეძახდნენ? განა გუშინ არ იყო, მსოფლიოში აღიარებულ ხელოვანთა შემოქმედება ნულის დონეზე რომ დამყავდათ, ხოლო გამოჩენილ მეცნიერებს წერა-კითხვის უცოდინარებად ნათლავდნენ? განა გუშინ არ იყო, მკვდრებს რომ საფლავში არ აჩერებდნენ, ხოლო ცოცხლებს სიცოცხლეს უსწრაფებდნენ? განა გუშინ არ იყო, მთავრობის მიერ წაქეზებულმა უნიჭოთა არმიამ გიგმაზომიერი შეტევა რომ მიიტანა ყველა მწერალზე, ხელოვანზე თუ მეცნიერზე, რომელსაც სახელი და გვარი ჰქონდა?

თქვენ გგონიათ, ამ საშინელმა ალვირახსნილმა, უსამართლო, ცილისმწამებლურმა თავდასხმებმა თავისი ნაყოფი არ გამოიღო?

სამწუხაროდ, დღესაც არიან ადამიანები, რომლებიც წიგნებს ხევენ და ცეცხლში წვავენ. დღესაც არის ხალხი, რომლებიც ზიზღით იხსენიებენ და დაუნდობლად ლანძღავენ ერის ღირსეულ შვილებს. პირადად მე ისინი არ მაღიზიანებენ. პირიქით, მეცოდებიან. უნებურად მაგონდება რევოლუციის გამარჯვების პირველი წლები. ეკლესიებს რომ ანგრევდნენ, ერთი კაცი, თურმე ფეხით თელავდა ხატს და თან იძახდა, თუ რამე ძალა გაქვს, აგერ ვარ და გამისწორდიო. ამის შემხედვარე მეორე კაცს ჩაულაპარაკია, გადაურევიხარ და მეტი რა უნდა გიქნას, შე საცოდავოო.

მაგრამ დასაგმობია ის, ვინც შექმნა საშინელი ფსიქოზი ერის ღირსეული შვილების მიმართ. ვინც გააბედინა უნიჭოებს, ქუჩიდან მოსულ ყბედებს, უსაქმურებსა და დილეტანტებს, მიტინგზე ყვირილის მეტი რომ არა იცოდნენ რა, ავტორიტეტთა ლანძღვითა და განადგურებით განემტკიცებინათ საკუთარი ავტორიტეტი.

როგორ ვიბრძოდით ამ უმსგავსოებისა და უზნეობის, ძალმომრეობისა და გამანადგურებელი იერიშის წინააღმდეგ?

სამწუხაროდ, [illegible] კი არ ეთქმოდა ჩვენს ბრძოლას. მხოლოდ ინდივიდუალური გაბრძოლებანი, მხოლოდ ცალკეული აფეთქებანი საქმეს ვერ შველოდა.

ასე განცალკევებული ცხოვრება მომავალში აღარ გამოგვადგება! სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო, არ არის ის ფილოსოფია, სასიკეთო შედეგებს რომ მოგვიტანს. ისიც უნდა გვახსოვდეს, ხალხის, ამ შემთხვევაში ჩვენი — ბოლომდე მოხაწონი მთავრობაც არასდროს არ მოვა. დღეს უკვე ვგრძნობთ და მომავალშიც უნდა ველოდეთ ნიჰილიზმს, განქიქებასა და თავდასხმებს. დამეთანხმებით, შეტევა მწერლების, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენელთა წინააღმდეგ, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება პრესაში, თუ ზოგიერთ სამთავრობო რგოლში.

არ შეიძლება მწერალს არ აღელვებდეს თეატრის ბედი, თეატრალურ მოღვაწეს — მწერლისა თუ მუსიკოსის, მუსიკოსს — ჟურნალისტისა თუ არქიტექტორის ბედი. ჩვენ ერთმანეთის ცხოვრებით უნდა ვცხოვრობდეთ, ერთმანეთის ჭირსა და ლხინს უნდა ვიყოფდეთ, ჩვენი კულტურის საერთო მტერს გაერთიანებულნი უნდა ვებრძოდეთ. კარგად უნდა გავაგებინოთ ნიჰილისტებს, ხელმოცარულებს, სამწუხაროდ, მთავრობის ბევრ წარმომადგენელსაც, რომ ჩვენ არა მარტო ერის სულიერი საუნჯის მსახურნი ვართ, რომელთა შემოქმედებაც განსაზღვრავს ერის დონეს და ინტელექტს, არამედ ერთი მთლიანი ძლიერი სხეული ვართ, რომელსაც უნარი შესწევს გაუმკლავდეს ყოველგვარ უკუღმართობას, უსამართლო ცილისწამებასა და თავდასხმას.

ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ პლენუმი მიიღებს დადგენილებას, შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო, თუნდაც შემოქმედებითი კავშირების თავმჯდომარეების ან გამგეობის წარმომადგენლების საბჭო, რომლის საშუალებითაც ჩვენს გადატვირთულ და დაძაბულ ცხოვრებაში უმალვე გვექნება საშუალება გავიგოთ ერთმანეთის ტკივილიცა და სიხარულიც, რათა შემდეგ, რაც შეიძლება სწრაფად მოვახდინოთ სათანადო რეაგირება.

დღეიდან უნდა იცოდნენ ხელმოცარულებმა, ამბიციურმა, საკუთარ ერზე და კულტურაზე „ამაღლებულმა" პიროვნებებმა, მთავრობაში მოკალათებულმა ზოგიერთმა ბიუროკრატმა თუ ნიჰილისტმა ჩინოვნიკებმა, რომ ისინი ცალკეული პიროვნებების ან ცალკეული შემოქმედებითი კავშირის წინააღმდეგ კი არ ილაშქრებენ, არამედ საქართველოს მთელი შემოქმედი ინტელიგენციის წინააღმდეგ იმაღლებენ ხმას. უნდა იცოდნენ, რომ მათ ყოველგვარ გამოხდომას საკადრისს მივაგებთ!

მწერლებისა და ხელოვნების წინაშე, სამწუხაროდ, მეორე არანაკლებ ურთულესი პრობლემაც წამოიჭრა. საბაზრო ეკონომიკა დიდებული რამ არის. საბაზრო ეკონომიკის გარეშე წარმოუდგენლად მიგვაჩნია ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა და გაძლიერება. მაგრამ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ საბაზრო ეკონომიკის დასაწყისს, მის წინა წლებს განსაკუთრებით გამანადგურებელი შედეგები მოაქვს ხელოვნების დარგებისთვის. სანამ ქვეყანა გაძლიერდება, სანამ ერი შეძლებს უპატრონოს თავის კულტურას, მანამდე შეიძლება საერთოდ განადგურდეს და დაეცეს მწერლობა და ხელოვნების სხვა დარგები. ამის მაგალითი ბევრი იცის მსოფლიომ.

სამწუხაროდ, გაჩანაგებულ, ეკონომიკურად და, გნებავთ, პოლიტიკურადაც განადგურებულ ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკა თავისი პირველი დღიდანვე ხელოვნების ნიმუშთა შესაფასებლად ცნობს მხოლოდ ფულის ერთეულს, ჩვენს შემთხვევაში — მანეთს. დგება ის სამწუხარო მომენტი, როცა ხელოვნების ნიმუშის ფასი მხოლოდ მანეთით უნდა განისაზღვროს და ფულის შოვნის ორომტრიალში ჩათრეულ ქვეყანას აღარ ახსენდება კულტურის სულიერი ღირებულებანი.

მე ბედნიერება მქონდა გერმანიაში, ქალაქ დუისბურგში მენახა და მომესმინა ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი „აბესალომ და ეთერი". საოპერო თეატრი მხოლოდ სხვადასხვა სახელმწიფოებიდან და ქალაქებიდან ჩამოსული მუსიკოსებითა და თეატრალური კრიტიკოსებით იყო სავსე. ვერ წარმოიდგენთ, ბედნიერების როგორი გრძნობა დამეუფლა, როცა სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ნახევარ საათს გაგრძელდა აღტაცებული პროფესიონალების ტაში.

განა შეიძლება ეს მოვლენა მხოლოდ დახარჯული მანეთებით შევაფასოთ? განა საერთოდ შეიძლება ფასი დავადოთ ერის სულიერ-ინტელექტუალურ განძს?

იმ საღამოს ევროპამ აღმოაჩინა საქართველო, როგორც შესანიშნავი კლასიკური მუსიკის ქვეყანა. განა ასეთივე ზეიმი არ არის ხოლმე, როცა უცხოეთში ასე მოსწონთ და აღიარებენ ქართულ წიგნს, თეატრს, კინოს, სახვით ხელოვნებას. გაიხსენეთ ჩვენი მომღერლები და მუსიკოს-შემსრულებლები. მახსოვს, მოსკოვში, გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო საღამოს შემდეგ ხელოვნების ქართველი ოსტატების კონცერტი რომ გაიმართა, საათ-ნახევრის განმავლობაში სცენაზე მხოლოდ საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები გამოდიოდნენ, საყოველთაო აღტაცება და გაოცება რომ გამოიწვიეს!

თუ ვინმეს შეუძლია მსოფლიოში დაიტრაბახოს თავისი ხალხური შემოქმედებით, ცეკვებით, სიმღერებით, ალბათ, ერთ-ერთნი უპირველესნი ქართველები ვიქნებით. განა საერთაშორისო კონკურსებში ერთი და ორი ჯილდო მიიღეს ჩვენმა არქიტექტორებმა, რომელთა შესანიშნავი პროექტები განუხორციელებელი რჩება სახსრებისა და მასალის უქონლობის გამო?

განა ქართული კულტურა არ არის ის ერთადერთი უმაღლესი რანგის ექსპორტი, რომელიც ჩვენ მსოფლიოში გაგვაქვს და რომელიც თავისი სიმაღლეებით მსოფლიო სტანდარტებს აკმაყოფილებს?!

რა დღეში ვართ დღეს?

გაზვიადება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ნამდვილი კატასტროფის წინაშე ვდგავართ.

ფინანსური დახმარების გარეშე და, თანაც უნდა დავძინოთ, რომ ეს ფინანსური დახმარება ასმილიონობით მანეთით განისაზღვრება, მწერლობა და ხელოვნების ყველა დარგი უფსკრულის წინაშე აღმოჩნდება.

მე კარგად ვიცი, ხელოვნების ყველა დარგი რა კონკრეტული საშიშროების წინაშე დგას, ვიცი, რა პრობლემებიც აქვთ გადასაჭრელი. შემიძლია, ყველაფერზე დაწვრილებით და სათანადო ფაქტებით ვილაპარაკო, მაგრამ სჯობს ყველა შემოქმედებითი კავშირის წარმომადგენელმა თვითონ დაგვიხატოს თავის დარგში შექმნილი მდგომარეობა. მე მხოლოდ მწერლობის გასაჭირზე ვილაპარაკებ.

ჟურნალი „მნათობი" ქაღალდის უსაშველო გაძვირების გამო მილიონ-ნახევარ მანეთ ზარალს იძლევა, „ცისკარი" — კიდევ უფრო მეტს. სავალალო დღეშია გაზეთი „ლიტერატურული საქართველო" და სხვა ჟურნალ-გაზეთები და გამომცემლობები, სხვა სამწერლო ორგანიზაციები. მოგეხსენებათ, ტონა ქაღალდი ადრე, ხარისხისდა მიხედვით, ღირდა 240 მანეთიდან 600 მანეთამდე. ამჟამად ღირს 25 ათასი მანეთიდან 80 ათას მანეთამდე. ხდება პარადოქსი, თუმცა, არავითარი პარადოქსი, ქაღალდის ასეთი უსაშველო გაძვირების გამო მივიღეთ ლოგიკური, მაგრამ წარსულის საპირისპირო შედეგი — ტირაჟების მატება იწვევს ზარალის ზრდას, ამჟამად ჟურნალმა „ცისკარმა" თავი რომ შეინახოს, ერთი ეგზემპლარი უნდა ღირდეს 90 მანეთი. ვინ გამოიწერს ან ვინ იყიდის ამფასიან ჟურნალს? ანალოგიური მდგომარეობაა წიგნის გამოცემის საქმეშიც. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სრული კრახის წინაშეა საბავშვო წიგნის გამოცემის საქმე. როგორი თაობა უნდა გავზარდოთ უწიგნოდ? რა ნაბიჯები იდგმება ამ მიმართულებით? არავითარი! და ეს მაშინ, როცა კოოპერატივებმა აავსეს თაროები პორნოგრაფიით, იაფფასიანი ლიტერატურითა და სულიერი მაკულატურით.

მთავრობამ უნდა გაიგოს ჩვენი გასაჭირი. თან, რაც მთავარია, გულთან უნდა მიიტანოს. რასაკვირველია, სასურველი არ არის, როცა მთავრობა გაფინანსებს, გინდა თუ არ გინდა, მისი გავლენის ქვეშ ექცევი. ამიტომ ხელისუფლების დახმარება უნდა იყოს მეცენატური ხასიათისა, თუნდაც მუნიციპალურ საფუძვლებზე, როგორც ეს უცხოეთში ხდება.

ხშირად გვეუბნებიან, უცხოეთში არავითარი შემოქმედებითი კავშირები არ არსებობსო. ჩვენ ხომ ყველამ ვიცით, რომ არსებობს. ზოგან — ზუსტად ჩვენი სტრუქტურით, ზოგან — სრულიად განსხვავებული სახით, მაგრამ მაინც არსებობს.

ყველა კავშირი თუ ცალკეული ხელოვანი იღებს სახელმწიფო თუ სპონსორულ დახმარებას. ჩვენში სპონსორული დახმარება თითქმის გამორიცხულია, რადგან ჩვენი გაღატაკებული საწარმოები ვერ გაიღებენ მინიმუმ 800 მილიონ მანეთს.

მინდა მოგახსენოთ, რომ ქართული მწერლობა, კულტურა და ხელოვნება ქართველი ერის კუთვნილებაა. ამიტომაც უნდა გამოინახოს მისი შენახვის გზები. ამას ჩვენ მოვითხოვთ მტკიცედ და კატეგორიულად.

თავს არავის ვამადლით, ვიცით ჩვენი შემოქმედების ფასი და თამამად იმიტომ ვლაპარაკობთ.

მე მინდა ჰაინრიხ ბიოლის სიტყვები გავახსენო ირონიული ღიმილით პირდამშვენებულ სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატ ჩინოვნიკებს (მომყავს პერიფრაზი).

„ჩვენ, მწერლებმა, ხელოვნების მუშაკებმა, ჯერ კიდევ ვერ გავაგებინეთ მთავრობას, რამოდენა სამუშაოს ვასრულებთ. ისინი და სხვებიც, ვინც ჩვენი შრომის ფასი არ იცის, კარგად რომ მივახვედროთ დღევანდელი კაცობრიობის ცხოვრებაში რა წვლილიც მიგვიძღვის, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ გათენდა, ვთქვათ, ხვალინდელი დღე, არ გამოვიდა არც ერთი გაზეთი, არც ერთი ჟურნალი, არ აყიდება წიგნები, არ მუშაობს რადიო და ტელევიზია, არ გადის კინოფილმები, დახურულია თეატრები, საკონცერტო დარბაზები. და აი, მაშინ, როცა მსოფლიოს თავზე ჩამოწვება საშინელი დუმილი, როცა დაიხშობა ინფორმაციის ყოველგვარი წყარო და ჩამოწვება სულიერი წყვდიადი, მხოლოდ მაშინ მიხვდებიან, რამოდენა და რა უმნიშვნელოვანეს სამუშაოს ვასრულებთ ჩვენ".

სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ დღევანდელ ჩვენს მთავრობას მაინცდამაინც დიდად არ აღელვებს მწერლობისა და ხელოვნების ბედი. წინასწარ ვიხდი ბოდიშს, თუ ვცდები, მაგრამ არა მგონია, ვცდებოდე: ჩახედეთ წლის ბიუჯეტს. ამაოდ დავუწყებთ იქ ძებნას სიტყვა კულტურას!

მეტად დამაფიქრებელი, სამწუხაროა და გულსატკენი, რომ ჩვენმა მთავრობამ ორი მშრალი სტრიქონით ცივი უარი გვითხრა მწერლებს და ხელოვნების დარგების ორგანიზაციებს გადასახადებისგან განთავისუფლების თაობაზე. და ეს მაშინ, როცა რუსეთში და უკრაინაში, ორ უდიდეს ქვეყანაში, სადაც გაცილებით მეტი უნარი შესწევთ უპატრონონ საკუთარ კულტურას, მიიღეს 1992 წლის იანვრიდან გადასახადებისგან განთავისუფლების კანონები. კიდევ უფრო გულსატკენია უყურადღებობა და ხშირად ცინიკური გამოხდომები. შეურაცხმყოფელია, როცა გაზეთის ფურცლებიდან ვიგებთ, რომ ჩვენი კუთვნილი შენობა საელჩოებად გამოყოფილ შენობათა რიგშია მოხსენიებული. შეურაცხმყოფელია, როცა ჩვენს ზურგს უკან ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, თარგმანის კოლეგიას თავის შენობიდან გარეთ გამოყრას უპირებენ, რათა იქ თბილისის ვაჭრობის სამმართველო შეასახლონ.

ამას წინათ საბერძნეთში რამდენიმე კაცი მიგვიწვიეს. მოგეხსენებათ, ამ დაძაბულ ვითარებაში რამდენ სირთულესთანაა დაკავშირებული უცხოეთში თუნდაც სამი დღით გამგზავრება. იწყება საქმეების გადალაგება, სამუშაო გრაფიკის შეცვლა და სულ ბოლო წუთებში, ჩემოდანჩალაგებული, სრულიად შემთხვევით იგებ, რომ სიიდან ამოღებული ხარ და არავის აზრად არ მოსვლია შენი გაფრთხილება.

რა დავარქვათ ასეთ საქციელს? კი, ბატონო, არ გაქვთ სურვილი ჩვენი წაყვანისა, მაგრამ ნუთუ ძნელია, აიღოთ ყურმილი და კაცი წინასწარ გააფრთხილო, ამა და ამ მოსაზრების გამო სიიდან ამოგიღეთო?

ამას წინათ ტელევიზიით ისიც კი მოგვახსენა ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა, თუ არ ვცდები, ბათუმიდან, დღესდღეობით მუზეუმებისა და ბიბლიოთეკებისთვის არა გვცალიაო.

რატომ უმალვე არ შემოვკრავთ საგანგაშო ზარს, როცა ასეთ ამბებს ვისმენთ? რატომ არ გაისმის ჩვენი ერთობლივი პროტესტის ხმები?!

დღეს, როცა საქართველოში ამდენი უმსგავსობა ხდება, დღეს, როცა საქართველოში ფულის ქოთების მრავალი ხერხიდან მხოლოდ ერთი, ავტომატებით ფულის ქოთების გზა აირჩიეს, დღეს, როცა დამოუკიდებელი საქართველო ბანდიტების სახელმწიფოს ემსგავსება, დღეს, როცა საქართველოში ადამიანის სიცოცხლემ ფასი დაკარგა და კაცის მოკვლა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, დღეს, როცა მსოფლიოში ასე დაეცა საქართველოს და ქართველი კაცის ავტორიტეტი, მხოლოდ მწერლობას, კულტურასა და ხელოვნებას შესწევს უნარი, კვლავ წამოსწიოს ქართველი ერის სულიერ-კულტურული ღირებულებანი და კვლავ აამაღლოს ერის დაცემული ავტორიტეტი.

შეიძლება ვინმემ თქვას, რა დროს ჩვენს პრობლემებზე მსჯელობის დროა, ქვეყანა თავზე გვექცევაო. ეს მოსაზრება, თუკი ვინმეს დაებადება, ძირშივე მცდარია, რადგან მწერლობის, ხელოვნების პრობლემები იგივე ერის პრობლემებია. ჩვენს პრობლემებზე მსჯელობა ერის პრობლემებზე მსჯელობაა, რადგან მწერლობა და ხელოვნება სულია ერისა. ამიტომაც ჩვენს გამოსვლებში, ალბათ, მხარს დავუჭერთ, რაც მხარდასაჭერია, და დავგმობთ, რაც დასაგმობია. მაგალითად, მხარს ვუჭერთ კანონიერი პარლამენტისა და მთავრობის არჩევას, მივესალმებით უცხოეთის ქვეყნების მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ასეთ მასშტაბურ ცნობას. მხარს ვუჭერთ რესპუბლიკური შტაბის შექმნას, რომლის ხელმძღვანელი ყველა პასუხისმგებლობას იკისრებს რესპუბლიკაში წესრიგისა და მშვიდობის დასამყარებლად. ამავე დროს კატეგორიულად ვამბობთ: თავიდანვე პრინციპულად და დაუნდობლად უნდა ვიბრძოლოთ, რომ უმსგავსობამ ფეხები არ გაიდგას. ხალხს სისხლი იმისთვის არ დაუღვრია, რომ ახლა ტელევიზიის ეკრანიდან დაგვიმუქრონ და ავტომატებით შეგვაშინონ, ხალხს სისხლი იმისთვის არ დაუღვრია, რომ ქუჩაში გამოსვლისა გვეშინოდეს და ბავშვების სკოლაში წაყვანას ვერ ვბედავდეთ. ხალხს სისხლი იმისთვის არ დაუღვრია, რომ ყოველდღე შეურაცხყოფას ვულაპავდეთ და ფიზიკური უმწეობის გრძნობა გვტანჯავდეს, ადამიანს ნელ-ნელა რომ ულებს ბოლოს.

ვფიქრობ და იმედიც მაქვს, რომ ჩვენი პლენუმი ნათლად გამოკვეთს ყველა სატკივარს და იმ პრობლემას, ცხოვრებამ, დღევანდელმა დღემ რომ დააყენა ჩვენს წინაშე.

„რუსეთის სამხრეთის საზღვრების" დაცვა საქართველოს ტერიტორიაზე?!

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბ. ელცინს

მე, როგორც ქართველი, მადლობას მოგახსენებთ თქვენს მიერ გამოჩენილი ჰუმანური ყურადღებისათვის ცხინვალის რეგიონში შექმნილი ჩვენი ქვეყნისათვის მწვავე ქართველ-ოსთა კონფლიქტის პრობლემისადმი. ამავე დროს, ასევე, როგორც ქართველს, საჭიროდ მიმაჩნია თქვენი ყურადღება მივაპყრო ზოგიერთ გამოთქმასა და აზრს თქვენს მიმართვაში „საქართველოს, სამხრეთ ოსეთის, რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთის „ხალხებისადმი", რაც შეუთავსებელია ხალხების, მათი სახელმწიფოებისა და სახელმწიფოთა მეთაურების ურთიერთპატივისცემის საყოველთაოდ მიღებულ ნორმებთან. როცა ხმარობთ გამოთქმას „სამხრეთ ოსეთს" საქართველოს ტერიტორიის ნაწილის მიმართ, რომელსაც 1992 წელს უცხოელმა, კერძოდ, რუსმა დამპყრობლებმა დაარქვეს „ოსეთი", ამით თქვენ ეთანხმებით ამ კანონსაწინააღმდეგო აქტს, რომლის შედეგი — „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" გააუქმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის დადგენილებით.

„საქართველოს, სამხრეთ ოსეთის, რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ხალხების" ჩამოთვლისას თქვენ არაპირდაპირ, მაგრამ დასაშვებად მიგაჩნიათ, რომ საქართველოს და „სამხრეთ ოსეთის" ურთიერთობა ისეთივეა, როგორც რუსეთისა და „ჩრდილოეთ ოსეთის", ესე იგი ნამდვილი ოსეთისა, სინამდვილეში კი მათ შორის პრინციპული განსხვავებაა, რადგან ჩრდილოელი ოსებისთვის რუსეთი მათს ქვეყანაში მოსული სახელმწიფოა, ხოლო სამხრეთელი ოსებისთვის საქართველო არის სახელმწიფო, რომელმაც ისინი მიიღო. როცა ლაპარაკობთ „უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებზე", როგორც სისხლისღვრის ფაქტორზე, თქვენ არ ახსენებთ ყველაზე უკანონო და ამავე დროს ყველა შეიარაღებული ფორმირებიდან უძლიერესს — ერთი სახელმწიფოს (სახელდობრ, რუსეთის) შინაგან ჯარებს სხვა სახელმწიფოს (სახელდობრ, საქართველოს) ტერიტორიაზე, რომლებიც იქ იყვნენ ამა წლის აპრილამდე და ცეცხლითა და მახვილით უჭერდნენ მხარს ბანდებს მილიციის წინააღმდეგ (სახელდობრ, ოსთა ბანდებს ქართული მილიციის წინააღმდეგ), ჯავშანტრანსპორტიორებისა და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევების ცეცხლს უშენდნენ ქართულ სოფლებს (სახელდობრ, ქართულ სოფლებს თამარაშენიდან კეხვამდე) და ქართველ მგზავრებს გორის რაიონში. იქნებ, თქვენ კანონიერად მიგაჩნიათ კონფლიქტის რეგიონში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ვერტმფრენების პოლკისა და მესანგრეთა პოლკის ყოფნა, რომლებიც ცეცხლს არ უშენენ ქართველებს, მაგრამ თქვენ ანგარიშს უნდა უწევდეთ იმ ფაქტს, რომ ვერტმფრენები დღენიადაგ დასტრიალებენ თავს ქართველთა პოზიციებს თავზე, რომ ამ პოლკების იარაღი და ტყვია-წამალი განუწყვეტლივ ავსებს ოსთა ბანდების არსენალს ქალაქ ცხინვალში. ამრიგად, თქვენ საეჭვოა გქონდეთ საფუძველი იმედოვნებდეთ, რომ თქვენი ქვეყნის — როგორც რუსეთის და როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შემადგენელი ნაწილის — ხელი სუფთა იყოს რეგიონში დაღვრილი ორივე ეროვნების ბავშვების, ქალებისა და მამაკაცების სისხლისგან, ანდა მათ არ მიუძღოდეთ ბრალი დაღუპულთა და დაჭრილთა დაწვაში.

ამიტომ, თუ რუსეთის ფედერაცია ნამდვილად „მზად არის რეგიონში სიტუაციის მოწესრიგებისა ნებისმიერი ერთობლივი ღონისძიებებისათვის", როგორც ამას ამტკიცებთ თქვენს მიმართვაში, მან უწინარესად უნდა შეწყვიტოს ოსი ექსტრემისტების, რუსი „ლეგიონერებისა" და სხვა მკვლელებისთვის იარაღის მიწოდება რუსეთის ტერიტორიიდან საქართველოში და ოფიციალურად განაცხადოს, რომ არ შეიძლება „რუსეთის სამხრეთის საზღვრების" დაცვა საქართველოს ტერიტორიაზე.

პატივისცემით

ნ. ნათაძე.

საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე, ცხინვალის კონფლიქტის პრობლემათა სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე.

მიწის ძახილი

ამ დღეებში მეგობარმა დამირეკა და მითხრა: „იქნებ დაცხრეს ცეცხლის წვიმა! ჩვენს გვარდიელებს ცეცხლის კერები ჩაუქრიათ, უბრძოლიათ, ორმოცდაათამდე ავტომატი და ტყვიამფრქვევი წაურთმევიათ ბანდიტებისათვის.

ეს ის ავტომატებია, რომელთა ტყვიის წივილი წლობით სიმშვიდეს ურღვევდა სამაჩაბლოელ ძმებს, რომელთა იმედითაც სტაცებდნენ მათ პირუტყვს, ადამიანებს აწამებდნენ, ასახიჩრებდნენ, ცოცხლად წვავდნენ, დაჭრილ ფეხში ბაწარს უყრიდნენ და ცხენით ათრევდნენ სულის ამოხდომამდე... იქნებ ახლა ჩვენც გამოვილოთ ხელი და ვაჩვენოთ შეურიგებელ ბანდებს, რომ არც უმწეონი ვართ და არც ლეჩრები!

ლტოლვილი სამაჩაბლოელი ქალი ჩიოდა: „ჩვენ კი არ ვცხოვრობთ, ვკანკალებთ, თავბედს ვიწყევლით. როდემდე უნდა ვიცხოვროთ ნათესავებთან და სასტუმროებში? ვაჟკაცები მოგვიკლეს, ბავშვები დაგვიობლეს, თანაც გვაფრთხილებენ, ნუ ესვრითო: მაშ რა ვქნათ, ვუყუროთ სიკვდილს? როდემდე?"

ასეთი არც ჰუმანიზმი მწამს და არც თავისუფლება! გარიბალდი ჩვენზე დიდი ჰუმანისტი იყო, მაგრამ მთელი ცხოვრება ბრძოლაში გაატარა. მის სამშობლოს დიდი ერები ინაწილებდნენ, ჩვენ კი ჩვენივე გულკეთილობით შემოსახლებულნი და გამრავლებულები გვერეკებიან. მეთოდურად გვხოცავენ.

ექსტრემისტთა ბანდები, გადამთიელთა არამკითხე უსაქმურებით ზურგგამაგრებულნი, სამაჩაბლოდან ერეკებიან ქართველებს, გაგონებაც არ სურთ მორიგებასა და ურთიერთმიმტევებლობაზე.

ძველი შავი კატა ისევ დაძრწის ქართულ სოფლებში. ჯერ კიდევ 1840 წელს ითხოვდნენ მწყემსებად და მოჯამაგირეებად ჩამოსულნი: მაჩაბლები არ გვინდაო, საერთოდ ქართველები მოგვაშორეთო. ასეა დღესაც.

მე ნაციონალისტი ვარ, ამ სიტყვის საუკეთესო და ნამდვილი გაგებით. ამიტომაც რუსეთის პარლამენტს მივწერე: ჩვენ თვალწინ გვისვენია დასახიჩრებული გვამები. მაშვრალთა, ცოცხლად დამწვართა, ნამუსახდილთა... ჩვენ ვხედავთ აკვამლებულ სახლებსა და სოფლებს. მაგრამ ამ არნახულ ვანდალიზმზე ხმას არავინ იღებს, თვალს ხუჭავს პრესა და ტელევიზია. ორივე ხალხის მტრები ტყვიით დაცხრილული ავტობუსისა, ქალებისა და ბავშვების დახოცვის ჭორაც დაუდგენელ-გამოუძიებელი ამბავი კი მსოფლიოს მოსდეს, არიქა, ამოგვწყვიტეს ქართველებმაო!

ჩვენ კი რატომღაც იქით ვუბოდიშებთ ოსებს, რომლებმაც ცხინვალში არ შეგვიშვეს სიმართლის დასადგენად! ეს უგუნურებაა და სხვა არაფერი!

ომს არ ვქადაგებ. ჩვენ ვერავინ გვასწავლის მიმტევებლობას, ჰუმანურობას, მაგრამ სადაც შეუქცევადი ვანდალიზმია, იქ ძალაც უნდა ვუჩვენოთ მტერს, რათა შერიგებაზე მაინც დავითანხმოთ!

ჩვენ მიწას გვართმევენ, სამშობლოს გვეცილებიან, ქვეყნად სახელი გაგვიტეხეს, წინსვლის გზაზე დამაბრკოლებელი ლოდები დაგვიყარეს და კიდევ აქეთ გვედავებიან.

გონს მოდით ხალხო! ვისაც რა შეუძლია მამულისათვის, ის ვაკეთოთ, მხოლოდ ასე ვიხსნით ქვეყანას განსაცდელისაგან.

აკაკი ბელოვანი.

P. S. ვიდრე სტატია დაიბეჭდებოდა, მოხდა რამდენიმე ანტიქართული გამოხდომა, მათ შორის გათავხედებული პოლიტიკოსის რუსლან ხასბულატოვის განცხადება ტელევიზიაში.

მე მას გავუგზავნე დეპეშა, რომელსაც აქვე ქართულად თარგმნილს ვთავაზობ მკითხველს:

„ბ-ნ რუსლან ხასბულატოვს.

თქვენი უპასუხისმგებლო ანტიქართული გამოსვლა ნიმუშია უგუნური, აგრესიული, მზაკვრული გამოხდომისა, დიპლომატიური სიბრძნის კრახისა, მუქარისა, საკადრისი ნაბუქოდონოსორისა, რომელმაც დაანგრია წმინდა იერუსალიმი. მაგრამ საქართველოს ათი ათასი ტაძარი კლდეზეა ნაგები. ასეთი პოლიტიკოსები მოდიან და მიდიან, საქართველო რჩება. შეიგნეთ: არსად არასოდეს საქართველოს არავინ დაუჩაგრავს, არ შეუძლია გენოციდის მოწყობა, პირიქით გვიწყობენ გენოციდს უმადურნი ჩვენს ძველ მიწაზე, გვხოცავენ, გვწვავენ, გვასახიჩრებენ, ნაწილ-ნაწილ ყიდიან მაშვრალ ქართველთა სხეულის ნაწილებს. საქართველო იცოცხლებს და მოუნახავს საკადრის ადგილს ახალ ჩინგის-ყაენებს, რომელნიც პატივს არ სცემენ არც ხალხებს, არც კულტურას, არც მეზობელთა ტერიტორიულ მთლიანობას. თქვენ ხომ საკუთარ ერსაც უღალატეთ! ახლა თქვენი ტანკებიც შემოიჭრნენ გორში და ათობით ქართველი დახოცეს. აი, თქვენი პოლიტიკის ჰუმანური ნაყოფი!

ჩვენ აღშფოთებული და გაოცებული ვართ ამ უხეში ჩარევით რესპუბლიკის შინაურ საქმეში, ზღვის ონავარასავით რომ ფიქრობთ მოაგლიჯოთ ჩვენს ეროვნულ სხეულს მორიგი ნაწილი, რასაც ბრძენი რუსი ხალხიც არ მოგიწონებთ. ეს სასაცილოა. რომელ საუკუნეში აზროვნებთ, ბ-ნო რუსლან?

გვაოცებს თქვენი გამოხდომა თავისუფალი ხალხის წინააღმდეგ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ღვრიდა მხოლოდ მომხდურთა და რუსეთის მტრების სისხლს.

ზოგჯერ ხალხთა ისტორიაც უნდა წაიკითხოთ, ბატონო რუსლან, ვიდრე საკუთარი ისტორიის შექმნას განიზრახავდეთ ეგზომ უტაქტოდ, უსამართლოდ და განუსჯელად, რაშიაც მხოლოდ კულუმბეკოვი თუ გაგიწევთ მეტოქეობას".

ა. ბ.

ადოლფ ჰამპელი

თბილისი-კულტურულ ცივილიზაციათა მოზაიკა

კეთილმოსურნე, პირუთვნელი სტუმრის თვალით დანახული საქართველოს ისტორია და დღევანდელობა

და მართლაც რუსი პოეტების, მწერლების და მეცნიერების მიერ (მაიაკოვსკი, ტოლსტოი, პუშკინი, ლერმონტოვი და სხვა) საქართველოსადმი მრავალჯერ გამოცხადებულმა სიყვარულმა ქართველებში კმაყოფილების გრძნობა განამტკიცა. ცნობილმა ქართველმა რუსისტებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რუსული ლიტერატურის კვლევასა, გავრცელებასა და ინტერპრეტაციაში. პროფესორმა ვახტანგ გოგუაძემ რვა წლის წინათ მოახდინა მნიშვნელოვანი შედარება დოსტოევსკის ბერ ზოსიმესა და ტოლსტოის მამა სერგის შორის. 1990 წლის აპრილში თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სიმპოზიუმზე და აგრეთვე გისენის თეოლოგიის ფაკულტეტზე მან გარკვევით თქვა, რომ ლენინი ანტიქრისტე იყო, ხოლო სტალინი მისი წინასწარმეტყველი. ლენინი, რომლის უმაღლესი პასუხისმგებლობითაც საქართველო 1921 წელს საბჭოთა კავშირის მიერ იყო ანექსირებული, პატივისცემით აღარ სარგებლობს. მისი ძეგლის მოხსნას 1990 წლის შემოდგომაზე საზოგადოება ტაშით შეეგება, ხოლო იმ მოედანს, სადაც იგი წინათ იდგა, თავისუფლების მოედანი ეწოდა.

საჯაროობის შედეგად გამოფხიზლებულმა ეროვნულმა თვითშეგნებამ შეახსენა ხალხს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ენიჭებოდა ქართულ ორთოდოქსალურ ეკლესიას ეროვნული თანხმობის მიღწევის საქმეში. საეკლესიო განახლების პროცესს უკვე ხელმძღვანელობდა კათალიკოს-პატრიარქი ილია II, რომელიც 1977 წელს აირჩიეს მღვდელმთავრად. მან მოახერხა ეპისკოპოსების ვაკანტური ადგილების შევსება, ეკლესიის მმართველობიდან არასანდო და სუკ-თან თანამშრომლობით კომპრომეტირებული პირების განდევნა, აგრეთვე სასულიერო პირთა მომზადების დონის ამაღლება. მან შეძლო თბილისში საკუთარი სასულიერო აკადემიის გახსნა, რათა ქართველი თეოლოგები, რომლებიც უმაღლესი თეოლოგიური განათლებისაკენ მიისწრაფიან, აღარ იყვნენ დამოკიდებული მარტოოდენ ზაგორსკისა და პეტერბურგის რუსული ორთოდოქსალური ეკლესიის სასულიერო აკადემიებზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქუთაისის მახლობლად მდებარე გელათის მონასტრის სასულიერო ცხოვრების გამოცოცხლებას, სადაც საუკუნეების მანძილზე არსებობდა საქვეყნოდ ცნობილი აკადემია.

ქართული ეკლესიის გაძლიერებული თვითშეგნების გამოხატულებაა 1987 წლის 2 აგვისტოს პოეტისა და ერის წინამძღოლის ილია ჭავჭავაძის (1837-1907) წმინდანად გამოცხადება. ილია ჭავჭავაძე სიმბოლური ფიგურაა დემოკრატიული საქართველოს თვითდამკვიდრების, რუსული ცარიზმისა და მემარცხენე ექსტრემისტების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში.

პატრიარქმა გაითვალისწინა უახლოესი წარსული და განაცხადა: „საქართველოს ყველა დამპყრობი იმას უნდა შეეგუებოდა, რომ იგი ვერასოდეს შეძლებდა ქართული ორთოდოქსალური ეკლესიის განადგურებას ან ქართველი ხალხის იძულებას — უარი ეთქვა თავის რწმენაზე. ეს ვერ მოახერხა თვით იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილმა, სტალინად წოდებულმა". მემორიალური დაფა თბილისის ყოფილ სასულიერო სემინარიის კედელზე, რომელიც გვამცნობს, რომ . იგი აქ 1894-1899 წლებში თეოლოგიას სწავლობდა, 1989 წელს ჩამოხსნეს.

ტკივილი, რომელიც 70 წლის მანძილზე ქართული კულტურის მიმართ გატარებულმა ბარბაროსულმა პოლიტიკამ გამოიწვია და რომელსაც ასობით ეკლესია შეეწირა, გადაიქცა მოწოდებად, გადაერჩინათ ის, რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა. 1989 წლამდე საჭირო იყო სახელმწიფო საეკლესიო საბჭოს ნებართვა ეკლესიების ხელახლა ასამოქმედებლად. 1989 წლიდან კი სახელმწიფო ვეღარ ბედავს ხელი შეუშალოს ეკლესიების აღდგენას. სტუდენტთა დემონსტრაციებმა ჯერ კიდევ 1988 წელს აიძულეს სამხედროები სხვაგან გადაეტანათ პოლიგონი, რომელიც დავით გარეჯის მონასტრის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

საეკლესიო წარსულის ხელახალმა აღმოჩენამ ქართველების მზერა თურქეთის საზღვარს გაღმა მიაპყრო, სადაც მნიშვნელოვანი ქართული ეკლესიები მდებარეობენ, რომლებსაც დღეს ბოსლებად, საწყობებად და ქვის სატეხებად იყენებენ. პროტესტი მაჰმადიანი მეზობლების ვანდალიზმის წინააღმდეგ მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს შთამბეჭდავი, როდესაც კულტურული მემკვიდრეობა საკუთარ ქვეყანაში მეტნაკლებად მოვლილია.

კულტურული ძეგლების განადგურებაზე უფრო მეტად ქართველი მწერლები და ხელოვნების მოღვაწეები იმ სულიერი გამოფიტვის გამო ჩივიან, რამაც ასე იმძლავრა ადამიანებში. ამის შემეცნებამ გამოიწვია ლიტერატურული გმირის შეცვლა. სოციალისტური გმირის ნაცვლად, რომელიც ბუნებასა და საზოგადოებას იმორჩილებს, წინ წამოიწია კეთილი, ერთგული და თავმდაბალი ადამიანის სახემ, რომელიც თავისი გარემომცველი სამყაროს და ადამიანების მიმართ მოწიწებასა და პატივისცემას გამოხატავს, თავისი უბრალო ცხოვრებით ცხოვრობს და ღირსეულად კვდება. მოძალადე ტირანისათვის მიუწვდომელ ღირსეულ სიკვდილს ეხება პირველი საბჭოთა ანტიტირანული ფილმი „მონანიება". პატრიარქთან მჭიდრო თანამშრომლობით ქართველმა რეჟისორმა თ. აბულაძემ თავის ფილმს რელიგიური ხასიათი შესძინა. ფილმის დასასრულს შემდეგი დიალოგი იმართება: ქალი კითხულობს „ეს გზა ტაძრამდე მიგვიყვანს?" პასუხი — „არა". ფილმი თავდება ფრაზით: „მაშ, რა საჭიროა ქუჩა, თუ მას ტაძრამდე არ მივყავართ?"

დასავლეთევროპელი სტუმარი, მიუხედავად ტერიტორიულად დიდი დაშორებისა და გეოგრაფების მტკიცებისა, საქართველო აზიაში მდებარეობსო, თბილისში თავს უფრო შინაურულად გრძნობს, ვიდრე მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში. საბჭოთა ბიუროკრატიის მძიმე უღელი, რომელიც ყოველმა უცხოელმა სტუდენტმა, პროფესორმა და საქმოსანმა გადაიტანა, თბილისში უფრო მსუბუქია ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ცხოვრების სტილით. როდესაც მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში სახელმწიფოს მიერ შემოღებული ქსენოფობიის გამო შეუძლებელი იყო თვით დამეგობრებულ კოლეგებთან სტუმრობაც კი, თბილისში ვერ ავუდიოდით ოჯახებსა და მეგობრულ წრეებში სტუმრობას. მაგრამ სწორედ ეს გარემოება აძლევს უცხოელს შესაძლებლობას ჩაიხედოს ქალაქის შინაგან ცხოვრებაში.

მოხსენებებთან და დისკუსიებთან ერთად სუფრასთან ხშირი შეხვედრებიც კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებაა. ქართველებს უყვართ დიდი და პატარა სუფრები. ისინი ამის საბაბს ყოველთვის პოულობენ: სტუმრის ჩამოსვლა, ცოცხალი ან გარდაცვლილი კოლეგის დაბადების დღე, ქალიშვილის ან ვაჟის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა, სამუშაო კვირის დასასრული და სხვა. სტუმრად ბევრს ჭამენ და სვამენ, მაგრამ ის მცირერიცხოვანი მთვრალები, რომლებიც მე თბილისში მხვდებოდნენ, ქართველები არ იყვნენ. ალკოჰოლიზმი, ჩრდილოეთის ხალხის ეს მძიმე მანკი, ამასთანავე ძვირიც რომ ჯდება, ქართველებისათვის, რომელთაც სხვა ადამიანური სისუსტეები გააჩნიათ, პრობლემას არ წარმოადგენს. ფორმისა და რიტუალების დიდი პატივისცემა დროსტარებას თითქმის არასოდეს აქცევს მარტოოდენ ჭამა-სმის ადგილად. სუფრის მსვლელობის დონეს არჩეული თამადა განსაზღვრავს, რომელიც ნებისმიერი თავშეყრის დროს სუფრას ხელმძღვანელობს, იქ მყოფთა ინტერესებს ითვალისწინებს და ზნე-ჩვეულებებს კარგად იცნობს, იგი არის სუფრაზე საუბრებისა და სადღეგრძელოების წარმმართველი, მასზეა დამოკიდებული გადაიქცევა თუ არა თავშეყრა სიმპოზიუმად, რაც ყოველი განათლებული მასპინძლის პატივმოყვარეობით არის გაპირობებული.

თბილისი არის მრავალი ერისა და რელიგიის თანაარსებობის ქალაქი. უნივერსიტეტის მემორიალური ძეგლისა და საკათედრო ტაძრის გვერდით, რომლებიც ქართული სულის გამოვლენაა, არსებობენ მცირე საზოგადოებრივი ცენტრებიც, ქალაქის საერთო ხედში რომ არიან მოქცეულნი: სომხური საეპისკოპოსო ეკლესია, სინაგოგა, რომაულ-კათოლიკური ეკლესია, ბაპტისტთა თემი, მეჩეთი და სხვა...

ქართველი ინტელიგენტები დიდხანს ამაყობდნენ იმ ინტეგრაციით, რომელიც თბილისს ახასიათებდა. ამიტომ ამ ფენაში განსაკუთრებით დიდია იმედგაცრუება ზვიად გამსახურდიას, დემოკრატიულად არჩეული პირველი პრეზიდენტის მიმართ, რომელსაც უნარი არ აღმოაჩნდა მოესპო არსებული დაძაბულობა, ერთი მხრივ, ქართველებსა და, მეორე მხრივ, ქვეყანაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს, ამ შემთხვევაში აფხაზებსა და ოსებს შორის. პირიქით, მისმა პოლიტიკამ ქართველების პოლარიზაცია გამოიწვია, რომელმაც სამოქალაქო ომის მსგავს შეიარაღებულ კონფლიქტამდე მიიყვანა ქვეყანა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა" № 104.

მეზობლებთან, ფესტივალზე...

ლარისა ხუბულური

სულ ახლახან თურქეთში გამართული ხელოვნების ახალგაზრდული მეხუთე საერთაშორისო ფესტივალი საქართველოს ტელერადიოდეპარტამენტის სიმფონიურმა ორკესტრმა (ხელმძღვანელი ზაზა აზმაიფარაშვილი) გახსნა.

ტელერადიოდეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **ვახტანგ ხანიტაშვილი** ორკესტრთან ერთად თურქეთში იმყოფებოდა. მან გვითხრა, რომ ფესტივალში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ახალგაზრდული მუსიკალური და თეატრალური კოლექტივები მონაწილეობდნენ. ხელოვნების მოყვარულთ საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ სიმფონიურ ჯაზურ მუსიკას, ენახათ საუკეთესო საბალეტო დადგმები.

— და რაც მთავარია, ფესტივალი სახელმწიფო სახსრებით კი არ იყო ორგანიზებული, — თქვა მან, — არამედ კერძო ბანკმა დააფინანსა. თურქეთის საზოგადოებისათვის ამ მეტად საინტერესო ფესტივალის მოწყობისათვის ბანკს სახელმწიფო მთელი წლით გადასახადისაგან ათავისუფლებს. ასეთი რამ, ალბათ, ჩვენმა მთავრობამ და ბიზნესმენებმაც უნდა გაითვალისწინონ. უსახსრობის გამო ჩვენში კულტურული ცხოვრება თითქმის ჩამკვდარია. არადა, ხალხს ჰაერივით სჭირდება სულიერი საზრდო.

ჩვენი სიმფონიური ორკესტრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისმა წევრებმა სამ-ოთხ დღეში შეისწავლეს ახალგაზრდა თურქი კომპოზიტორის სადიკა ოზდილის რთული სავიოლინო კონცერტი, რომელსაც პირველ კონცერტზე უხელმძღვანელა თურქმა დირიჟორმა ქალმა ინჯი ოზდილმა. ქალბატონი ინჯი ამ შემოდგომას ჩამოვა საქართველოში.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ახალგაზრდა, ნიჭიერ დირიჟორს ზაზა აზმაიფარაშვილს, რომლის ხელმძღვანელობით ორკესტრმა ჩინებულად შეასრულა ქართველ, რუს და საზღვარგარეთელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

მოგეხსენებათ, თურქეთში რამდენიმე ასეული ათასი ქართველი ცხოვრობს. მარტო სტამბოლში 100.000 ქართველია. ფესტივალის დღეებში მოწმენი გავხდით ქართველთა სათვისტომოს „ბათუმის" დაარსებისა. აქ შევხვდით ბევრ ჩვენს თანამემამულეს. მათ გულით სწადიათ შეინარჩუნონ წინაპრების ადათ-წესები, ითხოვენ დახმარებას, განსაკუთრებით ქართულ წიგნებს, „დედაენას", თურქულ-ქართულ ლექსიკონებს, სურთ კულტურული ურთიერთობა დაამყარონ თანამემამულეებთან. განზრახული აქვთ დააარსონ ქართული კულტურის ცენტრი. ისინი კარგად არიან ინფორმირებულნი ჩვენში მიმდინარე ამბებით და გულისტკივილით გვითხრეს: რას წაეკიდეთ ერთმანეთს და მტერს ახარებთო. დაუჯერეთ იმ დიდ კაცს, მსოფლიო რომ ასე აფასებს; ედუარდ შევარდნაძე საქართველოს გადაარჩენსო.

აქვე შევხვდით აფხაზებსაც, ერთ-ერთის გამონათქვამი ვიდეოზე ჩავიწერე. მან გვითხრა: თურქეთში მცხოვრები აფხაზები და ქართველები ერთმანეთში მეგობრულად ვცხოვრობთ. ასე იყო ოდითგანვე, და თქვენ რა დაგემართათო.

მართალია, ბატონ ვახტანგთან ჩვენი საუბრის თემა თურქეთში მოგზაურობით მიღებულ შთაბეჭდილებებს ეხებოდა, მაგრამ მაინც გვერდი ვერ ავუარეთ დღევანდელ ვითარებას. დეპარტამენტის ერთ-ერთი ახალგაზრდა ხელმძღვანელი აღნიშნავდა, რომ ვერა და ვერ მიაღწიეს, რომ საქართველოს რადიოს გადაცემებს მთელი რესპუბლიკა ისმენდეს. არადა, საყვედურებით სავსე წერილებს იღებენ აჭარიდან, საინგილოდან, და არა მარტო შორეული რაიონებიდან, კახეთის ბევრ რაიონშიც არ ისმის საქართველოს რადიოს ხმა.

ასე იყო წლების მანძილზე: პრობლემის არსებობას ყველა აღიარებდა, გადასაწყვეტად კი დადგენილებების იქით საქმე არ მიდიოდა.

დღეს აღარც დადგენილებებია და ჯერ-ჯერობით არავითარი პერსპექტივაც არა ჩანს საკითხის მოსაგვარებლად: საქართველოს რადიო თბილისსა და მის შემოგარენს ძლივს სწვდება.

გზა დაგელოცოთ!



ბოლო ზარი

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაირეკა ბოლო ზარი. პოლიტიკურმა ვნებათაღელვამ წელს ხშირად შეწყვიტა მეცადინეობა. და მაინც, სასწავლებლებმა შედარებით წარმატებით დაასრულეს სასწავლო წელი.

მიმდინარე წლის ბოლო ზარი განსაკუთრებული იყო. მის შემდეგ მრავალი მოსწავლე მივიდა დეკემბერ-იანვრის მოვლენათა შედეგად დანგრეულ თბილისის № 1 საშუალო სკოლასთან. აქ მათ ერთმანეთს გაუცვალეს ავტოგრაფები ახლანდელი რთული პერიოდის სამახსოვროდ, შეჰფიცეს ერთმანეთს, რომ ერთგულებენ სამართლიანობის იდეალებს.

სურათზე: მოსწავლეები ერთმანეთს უცვლიან ავტოგრაფებს თბილისის № 1 საშუალო სკოლის ნანგრევებთან.

ირაკლი გედენიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

სიყვარული სიყვარულის წილ

შეიქმნა ნოდარ დუმბაძის სახელობის ფონდი

რა სასიხარულოა, რომ აფიშებმა თბილისელებს აუწყეს ნოდარ დუმბაძის ფონდის შექმნის ამბავი. ამ აქციას მიეძღვნა საღამო, რომელიც ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა. აი, უკვე მესამე წელიწადია ქართველი ხალხის საყვარელი მწერლის სახელი იშვიათად თუ იხსენიებოდა ჩვენში. და თუ ეს მაინც მოხდებოდა, მხოლოდ ასეთ კონტექსტით: „კრიმინალური ინტელიგენციის მამამთავარი".

საეჭვოა, რომ საქართველოს გარეთ საერთოდ არსებობდეს ასეთი ცნება — „კრიმინალური ინტელიგენცია", მაგრამ თუ ნეოლოგიზმი ჩვენი პრიორიტეტია, მით უფრო დასაგმობია. მით უმეტეს, როცა ეს ერის სასიქადულო შვილს შეეხება. ბოლო წლებში ბევრი რამ დაატყდა თავს ჩვენს ხალხს. ლიტერატურისთვის, კულტურისთვის არავის ეცალა. საკმარისია ითქვას, რომ ვერ აღინიშნა თვით აკაკის და გალაკტიონის საიუბილეო თარიღები.

მაგრამ ნოდარ დუმბაძე ამ დროსაც კეთილსინდისიერად ემსახურებოდა თავის ერს. შეერთებულ შტატებში დაიდგა სპექტაკლი მისი ნაწარმოების მიხედვით — „მე ვხედავ მზეს". საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში გამოვიდა მისი წიგნები. დღესაც მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოდის მის სახელზე წერილები.

ნოდარ დუმბაძის ფონდი ჩამოყალიბდა თბილისის მრავალდარგოვან ფირმა „ორბთან", რომლის პრეზიდენტია ახალგაზრდა კომერსანტი დიმიტრი ბლიაძე. სწორედ მან ითავა ფილარმონიაში საღამოს გამართვა, რომლის შემოსავლის უმეტესი ნაწილი უპატრონო ბავშვთა სახლებს გადაერიცხება.

ამავე საღამოს თავი მოიყარეს ნოდარ დუმბაძის სახელობის ფონდის გამგეობის წევრებმა ჯ. ჩარკვიანმა, შ. ნიშნიანიძემ, ტ. ჭანტურიამ, გ. ლორთქიფანიძემ, გ. ქავთარაძემ, ვ. გვერდწითელმა, მ. ლორთქიფანიძემ, ე. კვიტაიშვილმა და დ. ჯაიანმა. გადაწყდა რამდენიმე საორგანიზაციო საკითხი. ამ დღეებში თეატრალურ მოღვაწეთა კავშირში გაიმართება საქმიანი შეხვედრა, რომელზეც დამტკიცდება ფონდის წესდება. ლაპარაკი იქნება ნოდარ დუმბაძის ოცნების — საბავშვო ქალაქის „მზიურის" კომპლექსის მშენებლობაში ფირმის მონაწილეობაზე და ა. შ.

ლამაზი სანახაობა

ცისანა სიხარულიძე

სიყვარული, სიკეთე და სილამაზე...

ასე მღეროდნენ დიდ საბავშვო ზეიმზე, იმ დღეს ყმაწვილები, რომელიც აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდმა ვერის პარკში მოაწყო.

ყველაფერი კი იმ ახდენილი ზღაპარივით წარიმართა, ბავშვობისას ასე რომ გვიყვარდა და გვიოცნებია... პირველად ზღაპრულმა ჯადოქარმა ორი ჯუჯა მოუვლინა პატარებს. დაიწყო სიმღერა და სცენაზე მათი სათაყვანო ზღაპრის გმირებიც გაჩნდნენ. მღეროდნენ მსახიობები, და უცებ მოხდა საოცრება: ხალხით გაჭედილი, გარინდული დარბაზი ერთბაშად ახმაურდა, აგუგუნდა, ამღერდა. მღეროდა დიდი და პატარა, ქალი და კაცი. სიყვარულს, სილამაზის, სიკეთის, მშვენიერებას, სინაზეს და სათნოებას უმღეროდა ყველა. ფიქრით და დარდით გადაღლილ, განაწამებ ხალხს ისე მონატრებოდა მშვიდი, ბედნიერი განწყობილება, რომ იმ დღეს, იმ წუთში ეს სიმღერა ყველა იქ მყოფთათვის მშვენიერ ჰარმონიულ ჰიმნად იქცა. ჯადოქარმა და ორმა ჯუჯამაც არ დააყოვნეს, თავისკენ იხმეს პატარები. უფრო აგუგუნდა დარბაზი. თვალებმახარა გოგო-ბიჭები დარბაზიდან სცენისაკენ დაიძრნენ, თოჯინების თეატრისა და ცირკის მსახიობებთან ხელიხელჩაკიდებული ბავშვები სცენაზე ცეკვით უვლიდნენ წრეს. მათ სიხარულს ბოლო არ უჩანდა. რა ლამაზები, რა მშვენივრები იყვნენ ისინი. ასე გაგრძელდა ბოლომდე, სიმღერას ცეკვა ენაცვლებოდა, მოცეკვავეებს — ნორჩი დეკლამატორები, ანსამბლები — „მზიური", „ჩიორა", „ჯადოსნური გზები", „ხორუმი", ბალერინები, ნ. დუმბაძის სახელობის ბავშვთა ქალაქ „მზიურთან" არსებული ბავშვთა მუსიკალური თეატრი, რომელმაც მრავალფეროვანი სანახაობა აჩუქეს მაყურებლებს.

იმ დღეს ყმაწვილებს მათი სათაყვანო მომღერალი ირმა სოხაძე და პოეტი გივი ჭიჭინაძეც ეწვივნენ, ხოლო პოეტმა ხუტა ბერულავამ — საქართველოს ბავშვთა ფონდის თავმჯდომარემ — ამ ფონდის სტიპენდიატებს ჯილდოები გადასცა. და ეს ყოველივე კი ლამაზად და ჰარმონიულად იყო შერწყმული, რასაც შესანიშნავად აწონასწორებდა და არეგულირებდა ზღაპრული „ჯადოქარი" — რუსთაველის თეატრის მსახიობი გოჩა კაპანაძე.

გული იჯერეს იმ დღეს პატარებმა. კონცერტისთვის განკუთვნილი დრო, მართალია, კარგახანია ამოიწურა, მაგრამ მათი მხიარული ხმები დიდხანს გაისმოდა დარბაზში. ბოლოს, ვარსკვლავთვალება გოგო-ბიჭები საყვარელი ზღაპრების გმირებს — მსახიობებს დაემშვიდობნენ და ამღერებული გულითა და გაბრწყინებული თვალებით ვერის ბაღში მიმოიფანტნენ.

ამ ლამაზი სანახაობის მოთავეს, საქართველოს საბავშვო ფონდის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს იამზე მაჭავარიანს რომ შევეკითხეთ, ამ სიძვირეში ამდენი ნუგბარის, უამრავი ფერად-ფერადი ბუშტების შოვნა თუ სანახაობების დადგმა როგორ მოახერხეთ-მეთქი, გვიპასუხა:

— ბედნიერი წუთები გვინდოდა გვეჩუქებინა პატარებისათვის, ჩვენი გამგეობის ამ ჩანაფიქრს ხელი შეუწყვეს სპონსორებმა: საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდმა, ფირმებმა „კაქტუსმა" და „ოკეიმ". ვიმედოვნებთ, ასეთ საღამოს კვლავაც გავუმართავთ ყმაწვილებსო, დასძინა ბოლოს.

რაღა გვეთქმოდა. ღმერთმა ინებოს, ასეთი ლამაზი და ბედნიერი დღეები სამუდამოდ დაებედოს საქართველოს მომავალს!

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

კატასტროფები არ დააყოვნებენ

ამას წინათ რომში მიმდინარეობდა გადაუდებელი და კატასტროფათა მედიცინის პრობლემისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონფერენცია. იგი მუშაობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციისა და გადაუდებელი და კატასტროფათა მედიცინის მსოფლიო ასოციაციის ეგიდით. კონფერენციაზე პერსონალურად იყო მიწვეული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რეანიმატოლოგიის, ანესთეზიოლოგიისა და კატასტროფათა მედიცინის კათედრის გამგე, კატასტროფათა და კრიტიკული მედიცინის საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი ზურაბ ხელაძე. საქართველოს დელეგაციაში შედიოდა აგრეთვე ამავე ასოციაციის უცხოეთთან ურთიერთობის საქმის კოორდინატორი ექიმი ვლადიმერ ბენდელიანი.

პროფესორი ზურაბ ხელაძე როგორც ამ ორგანიზაციათა ერთ-ერთი მთავარი ექსპერტი, კონფერენციის პირველსავე პლენარულ სხდომაზე წარსდგა შემდეგი მოხსენებით: „კრიტიკულ მდგომარეობათა დიაგნოსტიკის პროფილაქტიკისა და მკურნალობის ალტერნატიული მეთოდები". გარდა ამისა საქართველოს დელეგაციამ კონფერენციის დღეებში მოწყობილ „მრგვალი მაგიდის" მუშაობაშიც მიიღო მონაწილეობა, რომელიც გადაუდებელი და კატასტროფათა მედიცინის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს მიეძღვნა.

ჩვენი კორესპონდენტი ეწვია პროფესორ ზურაბ ხელაძეს, რათა უფრო დაწვრილებით მოეთხრო მას იტალიაში გამართული კონფერენციის შესახებ.

— კონფერენციაზე პერსონალურად 14 ქვეყნის 34 მეცნიერი იყო მიწვეული, — ამბობს ზ. ხელაძე. — დაახლოებით 200-მდე ამ დარგის სპეციალისტი კიდევ საკუთარი ინიციატივით ჩამოვიდა მსოფლიოს 60-მდე ქვეყნიდან, მათ შორის თურქეთიდან. რაც შეეხება ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ ქვეყნებს, მათ წარმოადგენდა მხოლოდ საქართველო და რუსეთი. კონფერენცია ძირითადად ტექნოლოგიურ კატასტროფათა პრობლემებს მიეძღვნა. თეზისები უკვე დაიბეჭდა, მოხსენებები კი ცალკე წიგნად გამოიცემა.

— **რამდენადაც ინფორმირებული ვარ, ბატონო ზურაბ, თქვენი მოხსენება იმ შრომათა რეტროსპექტივა იყო, რომელიც თავის დროზე საბჭოთა კავშირის სამედიცინო აკადემიამ მიიჩნია პრიორიტეტულ სამეცნიერო გამოკვლევებად ფუნდამენტური მედიცინის დარგში და გასაიდუმლოებულიც გახლდათ საბჭოთა კავშირის აღმოჩენათა და გამოგონებათა სახელმწიფო კომიტეტის მიერ.**

— აქ შეიძლება ისიც დაგვემატებინა, ქ-ნო ია, რომ საბჭოთა კავშირი ისე „გარდაიცვალა", საიდუმლოების გრიფი არ მოუხსნია ამ შრომებზე. ეს არის მკვდრის გაცოცხლების ანუ სიკვდილის მკურნალობის პრობლემა. ეს უკანასკნელი დასაბამიდან აწუხებს კაცობრიობას, რასაც მიუთითებს პრომეთესა და ილია წინასწარმეტყველის თქმულებების აგრეთვე ცნობილი ფაქტი, რომ ქრისტემ 4 დღის მკვდარი ლაზარე გააცოცხლა...

მათგან განსხვავებით დღევანდელ მედიცინას მკვდრის გაცოცხლება სიკვდილის ჩაქრობიდან მხოლოდ სამი-ხუთი წუთის განმავლობაში შეუძლია. ეს დრო კი იმდენად მცირეა, სამედიცინო დახმარების აღმოჩენაც კი ვერ ხერხდება და ადამიანთა უმრავლესობა ისევე იღუპება, როგორც ცივილიზაციის დასაწყისში — გაცოცხლების უდროდ. თავისთავად ცხადია, აქ მრავალი ასპექტი არსებობს, მაგრამ ერთი მათგანი, — როგორც ჩანს, ჩვენი კვლევის პროცესში აღმოჩენილი — მანამდე უცნობი ტოქსიკური ბუნების ნაერთთანაა დაკავშირებული. ეს უკანასკნელი მომაკვდავი და მკვდარი ადამიანების სისხლისაგან იყო გამოყოფილი. ამ ნაერთს შეუძლია დათრგუნოს სუნთქვის, სისხლის მიმოქცევისა და ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციები. ასევე უნარი აქვს დააკნინოს იმუნოკომპეტენტურ უჯრედთა აქტივობა, დააზიანოს სხვადასხვა უჯრედთა გარსები და შეაფერხოს მათ ბირთვში მოთავსებული დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის გაორმაგების პროცესი.

კატასტროფათა და კრიტიკული მედიცინის საქართველოს ასოციაცია რეკომენდებულია საერთაშორისო ორგანიზაციებში გასაწევრიანებლად

ეს ნაერთი მომაკვდავი ადამიანის ორგანიზმში ცირკულირებს სისხლთან ერთად. მეტნაკლები ინტენსივობით აზიანებს მის უჯრედებს და ხელს უწყობს სიცოცხლის საბოლოოდ ჩაქრობას. გაცოცხლებისას, როცა გულის მასაჟის მეშვეობით სისხლის მიმოქცევა აღსდგება, ეს ნაერთი სისხლთან ერთად ორგანიზმში კვლავ ანახლებს ცირკულირებას და აღრმავებს თავის ტვინის თუ სხვა ორგანოთა უჯრედების დაზიანებას, ხელს უშლის გაცოცხლების პროცესის სრულყოფილად წარმართვას.

დღეს გაშიფრულია „სიკვდილის ფაქტორად" მონათლული ამ ნაერთის მოლეკულის მასა და ქიმიური ბუნება. შექმნილია სისხლში მისი აღმომჩენი საშუალება (დიაგნოსტიკუმი), აგრეთვე ჯანმრთელ ორგანიზმში ამ ტოქსინის პათოლოგიური ეფექტის გამანეიტრალებელი ანტისხეულების წარმომქმნელი საშუალება (ანატოქსინი), მიღებულია ამ ტოქსინის საწინააღმდეგო მზა ანტისხეულები (იმუნოგლობულინი) და მისი სისხლისგან გამომლექი საშუალება (იმუნოსორბენტი). ექსპერიმენტული თერაპიის დონეზე დადგენილია ამ პრეპარატების ეფექტიანობა და, როგორც ჩანს, ისინი უახლოეს მომავალში ფრიად საჭირო საშუალებანი გახდებიან სიკვდილთან ბრძოლის საქმეში.

პერსპექტივაში ეს პრეპარატები და მათი ანალოგები სამკურნალოდ გამოადგება მძიმე მდგომარეობაში მყოფ ყოველ ადამიანს. უპირველესად კი სამხედროებს, კოსმონავტებს, ატომური რეაქტორების, ქიმიური ქარხნებისა და სიცოცხლისათვის საშიში სხვა ტექნოლოგიების მუშაკებს, აგრეთვე ბუნებრივი კატასტროფების განვითარებისათვის საშიშ კერაში მცხოვრებ ადამიანებს.

— **„მრგვალი მაგიდის" მუშაობისას გაკეთებული ინფორმაცია რას შეეხებოდა?**

— ეს იყო ჩვენი ასოციაციის მუშაობის ანალიზი. ამგვარი ასოციაცია ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველად საქართველოში შეიქმნა. რომის კონფერენციის მიმდინარეობისას ეს ასოციაცია შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობისათვის იქნა რეკომენდებული. საწევროს გადახდის შემდეგ ის ამ ორგანიზაციათა სრულუფლებიანი წევრი გახდება.

ჩვენდა საუბედუროდ საქართველო და მისი მახლობელი რეგიონი მეოცე საუკუნის მიწურულს კატასტროფების კლასიკურ კერად იქცა. ასე რომ ასოციაციის წევრებს საკმაო გამოცდილება დაუგროვდათ ისეთი კატასტროფებისა და სოციალური კატაკლიზმების სამედიცინო უზრუნველყოფის საქმეში, როგორიცაა სომხეთის, ირანისა და საქართველოს მიწისძვრები, თბილისის 9 აპრილის ტრაგედია და სხვ. მოგეხსენებათ, მსგავსი პრობლემები ყველა ქვეყანას აწუხებს და ერთმანეთის გამოცდილების გაცნობა საინტერესოა. ამასთან ერთად აღნიშნული იყო კატასტროფათა და კრიტიკული მედიცინის საქართველოს საერთაშორისო ცენტრის დაარსების ფაქტი.

— **როგორია ამ ცენტრის კონცეფცია?**

— ეს ცენტრი შექმნილია რეანიმატოლოგიის, ინტენსიური თერაპიისა და კატასტროფათა მედიცინის საერთაშორისო სიმპოზიუმის გადაწყვეტილებით, რომელიც ჩვენმა ასოციაციამ მოაწყო 1990 წელს თბილისში. ცენტრის მუშაობის ძირითადი მიმართულებებია სამეცნიერო კვლევა, პრაქტიკული მედიცინა და კადრების მომზადება-გადამზადება. მიღწეულია შეთანხმება ამ ცენტრის გადაუდებელი და კატასტროფათა მედიცინის მსოფლიო ასოციაციის ეგიდით ფუნქციონირების შესახებ. მასვე დაეკისრება ამ სამსახურის კოორდინატორის როლი კავკასიასა და მახლობელ რეგიონში (წინა აზია, ახლო აღმოსავლეთი).

ამ ცენტრის მუშაობა ახალი დაწყებულია და მისი მომავალიც მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნაზეა დამოკიდებული. ეს კი საშური საქმეა, რადგან, როგორც ამბობენ — კატასტროფები არ დააყოვნებენ.

ესაუბრა
ია კალანდარიშვილი.

პრივატიზაცია

როგორ შევისყიდოთ ბინა

დილით, თბილისის № 83 საბინაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსის ჯემალ ბერძენიშვილის კაბინეტის კარი ათიოდე მოქალაქემ შემოაღო. ყველა მათგანის თხოვნა თითქმის ერთგვარი იყო: ბინის პრივატიზაციას ვაპირებთ, რა საბუთებია საჭირო, იქნებ გზაზე დაგვაყენოთო.

ბატონი ჯემალი ყურადღებით უსმენდა თითოეულს და კედელზე გაკრული განცხადებისა და სხვა საბუთების ნიმუშებზე მიუთითებდა, ამასთან არიგებდა, პირველად ვისთან უნდა მისულიყვნენ. ბუღალტერი ეთერ ჩიქოვანი გულდასმით ანგარიშობდა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ბინის ქირის სხვაობას, ამასთან უხსნიდა, რომ ნებისმიერი შემნახველი ბანკიდან უნდა გამოეტანათ ორი ცალი სპეციალური გადასახდელი ქვითარი, რომლებიც ორ ეგზემპლარად უნდა შეევსო თითოეულს და სალაროში გადაეხადა საჭირო თანხა. ამის შემდეგ იდება ხელშეკრულება საექსპლოატაციო უბნის უფროსსა და მობინადრეს შორის, იმის თაობაზე, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის დადგენილების თანახმად, ამა თუ იმ მოქალაქის პირად საკუთრებაში უსასყიდლოდ გადადის ესა თუ ის საცხოვრებელი ბინა. ამ ხელშეკრულებას კი ადასტურებს სანოტარო კანტორა.

იმ დღეს თბილისის მე-19 სანოტარო კანტორის ვიწრო ოთახში ბევრ დაინტერესებულ პიროვნებას მოეყარა თავი, რიგი თანდათანობით მცირდებოდა. სახელმწიფო ნოტარიუსი ზურაბ რაზმაძე ამოწმებდა საბუთებს და ისტუმრებდა მოქალაქეებს. რა თქმა უნდა, ახლა საქმე მოემატათ ნოტარიატის თანამშრომლებს, მაგრამ ცდილობენ ყველას პროფესიულად მოემსახურონ.

ყოველივე ამის შემდეგ ალმაშენებლის პროსპექტის 108 ნომერში მდებარე ტექინვენტარიზაციის ბიუროში მეოთხე სართულზე, მარჯვენა მხარეს, სალაროში თქვენს საბუთებს თავაზიანად მიიღებენ, დაამოწმებენ, და თავისუფალი ბრძანდებით. ხელშეკრულების ერთი ასლი თქვენ დაგრჩებათ, მეორეს სახლმმართველობაში დატოვებენ, და იმ დღიდან ბინა თქვენია.

ბინების პრივატიზაციის დროს გარკვეული შეღავათები ეძლევათ დიდი სამამულო ომის ინვალიდებს და ისინი ბოლო ორი წლის ბინის ქირის გადასახადს შორის სხვაობას საერთოდ არ იხდიან, სხვა უმნიშვნელო თანხას კი მთლიანად.

დიახ, ბინების პრივატიზაცია დაიწყო, მაგრამ ჩანს, თბილისელებს მაინც რატომღაც ეშინიათ და არ ჩქარობენ ამ საქმის დროულად მოგვარებას. იმედია, საზოგადოება აქტიურად გაითვალისწინებს პრივატიზაციის სიკეთეს და ინტენსიურად დაიწყება ბინების საკუთარ მფლობელობაში გადაფორმება.

ლალი ქინქლაძე.

საპროტესტო აქცია

„რუსო ოკუპანტებო, წაეთრიეთ საქართველოდან!" — ასეთი პლაკატებით დახვდნენ მჯდომარე საპროტესტო აქციის მონაწილენი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წინ.

ამ აქციაში ჯერჯერობით მონაწილეობს საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს ოცდაათი წარმომადგენელი. ისინი მოითხოვენ, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ განსაზღვროს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული ყოფილი საბჭოთა არმიის ჯარების სტატუსი, დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება შტაბის ხელმძღვანელობასთან ჯარების გაყვანის შესახებ, მოითხოვოს საქართველოს ეროვნული გვარდიის მეომართა მკვლელების დასჯა.

თუ ყველა ამ მოთხოვნას არ გაეცემა პასუხი, აქციის მონაწილეები მიმართავენ პროტესტის სხვა ფორმებს — მიტინგებს, დემონსტრაციებს, შიმშილობას.

კრიმინალური ქრონიკა

გასული კვირის განმავლობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ცნობით, რესპუბლიკაში სისხლის სამართლის სამძებრო ხაზით რეგისტრირებულია 185 დანაშაული. „ცხელ კვალზე" უკვე გახსნილია 70. აღსანიშნავია, რომ შარშანდელი წლის ამავე პერიოდში რეგისტრირებული იყო 124 ფაქტი, საიდანაც 75 ოპერატიულად გაიხსნა. ჩადენილ დანაშაულში, სამწუხაროდ, კვლავ ჭარბობს სახელმწიფო და პირადი ქონების ქურდობა, ძარცვა-ყაჩაღობა, ავტომანქანების გატაცება, ავტოსაგზაო შემთხვევები; არის მკვლელობის ფაქტებიც...

7 ივნისს გაგრის ზონაში, დაბა განთიადში მცხოვრები ექიმის ადა ჩელენკოს ბინაში შეიჭრა სამი ნიღბიანი ბოროტმოქმედი, რომლებმაც ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით დიასახლისს წაართვეს მაგნიტოფონი „ხიტაჩი", სხვადასხვა საოჯახო ნივთი, მისი კუთვნილი ავტომანქანა „ვაზ-2108" და მიიმალნენ.

7 ივნისს წალკის რაიონის დაბა თრიალეთში სამი დაუდგენელი ნიღბიანი ბოროტმოქმედი თავს დაესხა ივანე მურადოვის სახლს. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ივანე მურადოვს, მის მეუღლეს და ორ არასრულწლოვან შვილს შეუკრეს ხელ-ფეხი, გაიტაცეს ოქროს სამკაული, 14 ათასი მანეთი, სხვადასხვა ტანსაცმელი. მიმდინარეობს გამოძიება.

8 ივნისს დაბა მახინჯაურში აღმოაჩინეს გოჩა ფალავას გვამი, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული აქვს ექვსი ჭრილობა. გამოძიებას აწარმოებს პროკურატურა.

10 ივნისს 00 საათსა და 30 წუთზე, მცხეთის რაიონის ხოველისში, მეღორეობის ფერმაში წაკინკლავების ნიადაგზე უმუშევარმა ვალერიან წივწივაძემ გულმკერდის არეში დაჭრა დილმელი მურთაზ აღნიაშვილი, რომელიც იქვე გარდაიცვალა. ვალერიან წივწივაძე დაკავებულია.

9 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს ფეხსაცმელვაჭრობის ბაზაში კომისიური წესით შემოწმდა ქალაქ რიგიდან გამოგზავნილი ვაგონი. გამოვლინდა 21 ათასი მანეთის ღირებულების რეზინის ფეხსაცმლის დანაკლისი. ვაგონი შემოვიდა სადგურ ბატაისკიდან საერთო ფორმის აქტით და დამლით. მიმდინარეობს გამოძიება.

9 ივნისს სავაჭრო ბაზის ტერიტორიაზე კომისიურად შემოწმდა ქალაქ ანდიჟანიდან გამოგზავნილი ვაგონი. გამოვლინდა 8 ათასი მანეთის ელექტრონათურების დანაკლისი.

8 ივნისს საღამოს გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოს ტერიტორიაზე გამავალ ცენტრალურ გზაზე გვარდიელისფორმიანმა, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულმა სამმა ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა ნორიოელ მირიან გონიაშვილს წაართვა [illegible], საქენერგოს კუთვნილი ავტომანქანა „კამაზი".

9 ივნისს ღამით ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ხუთი დაუდგენელი ბოროტმოქმედი თავს დაესხა საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში მცხოვრებ ოთარ გუჩიაურის სახლს. გაიტაცეს 15 ათასი მანეთი და სხვადასხვა საოჯახო ნივთი.

შსს პრესცენტრი

გავაზი
სადაზღვევო კომპანია

საწარმოებს, ფირმებსა და კერძო პირებს

ჩვენი კომპანია გთავაზობთ უნივერსალურ სადაზღვევო მომსახურებას თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ სფეროში

«გავაზში» გადასახდელის ყველაზე დაბალი განაკვეთი და ზარალის ოპერატიული ანაზღაურება

გახსოვდეთ!
ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით.
«გავაზი»
თქვენი ფინანსური წონასწორობის გარანტია!

ჩვენი მისამართი: თბილისი ვაჟა ფშაველას 43, ტელ: 39 55 67, 39 11 64
ქუთაისი, ავტომშენებლის 41 აეროპორტის სასტუმრო.

[illegible]

● ჭადრაკი

მანილაში მიმდინარე საჭადრაკო ოლიმპიადაზე გაიმართა მეშვიდე ტური.

ჩვენმა მოჭადრაკე ვაჟებმა ფრედ — 2:2 ითამაშეს ჰოლანდიელებთან.

ქალებიც ფრეს დასჯერდნენ გერმანიის გუნდთან — 1,5:1,5.

ამრიგად, შვიდი ტურის შემდეგ ვაჟებს 18,5 ქულა აქვთ. ქალებს — 15.

გუშინ საღამოს მანილადან სასიხარულო ინფორმაცია მივიღეთ, საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა მერვე ტურში სძლია ინგლისის ძლიერ გუნდს — 2,5:1,5; ზურაბ აზმაიფარაშვილმა პირველ დაფაზე დაამარცხა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე ნაიჯელ შორტი.

გამოსათხოვარი

კობა კვანტალიანი

ტრაგიკულმა შემთხვევამ კიდევ ერთი ქართული ოჯახი დაამწუხრა. სიმონ ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარი უბედურებისას დაიღუპა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკისა და თეორიული მექანიკის კათედრის პროფესორი კობა იონას ძე კვანტალიანი.

მან 1955 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, ხოლო 1958 წელს ასპირანტურა. ორი წელი მუშაობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ასისტენტად.

1959-1977 წლებში კობა კვანტალიანი თბილისის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ჯერ უმცროსი, ხოლო შემდგომ უფროსი მეცნიერი თანამშრომელი იყო. 1968 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1977 წლიდან 1991 წლამდე კ. კვანტალიანი მუშაობდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკისა და თეორიული მექანიკის კათედრის გამგედ, ხოლო დღემდე — კათედრის პროფესორის თანამდებობაზე.

იგი ყველგან გამოირჩეოდა დიდი პროფესიონალიზმით, ავტორი იყო 14 სამეცნიერო შრომისა. მოულოდნელად წავიდა ჩვენგან იშვიათი მეგობარი, ოჯახზე და სიცოცხლეზე შეყვარებული, კეთილი, გულთბილი და გულისხმიერი კაცი და დიდი ტკივილი დაგვიტოვა.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი.

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ჟურნალისტი

ია სიმონის ასული მესხი

პანაშვიდი 17 VI 8 ს, გამოსვენება 18 VI 8 ს. კუტუზოვის I კორპუსი, ბინა № 42.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის მხატვართა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მხატვარი

ალექსანდრე (შურა) ბანძელაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 16 ივნისს თბილისში, ჩიქოვანის ქუჩაზე ტრაგიკულად დაიღუპა

მირანდა ფილიპეს ასული იმნაიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი ზურაბ [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]